საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№31 (266)
20 აგვისტო – 9 სექტემბერი, 2014
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**შემდეგი ნომერი გამოვა 10 სექტემბერს**

4



# «აბი მარგველაშვილი» — ირაკლი ალასანიას იარაღი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

# სიკვდილის რეცეპტი,
## ანუ რა უნდა ვიცოდეთ ურეცეპტოდ წამლების გაყიდვის აკრძალვის შესახებ 12

**მარგველიადა-2014 და «ნაცმოძრაობის» ცეცხლოვანი ოცნებები** 6

8 **«კეზერაშვილი არ გადმოგვცა და სააკაშვილს გადმოგვცემს დასავლეთი?»**

10 **ჰკა მაგ ევროლაქიათა!**

«ჟამი არს, მტერი მამულის მივცეთ მახვილსა ლესულსა!»

**«როგორც ივანიშვილი ვეღარ ცნობს მარგველაშვილს, ისე ვეღარ ვცნობ წულუკიანს»** 11

13 **რა უნდა გავითვალისწინოთ კომპიუტერული ტექნიკის მოხმარებისას**

## უკრაინის არმიის დანაკარგები სამოქალაქო ომში 2
# გენოციდი,
## რომელიც პოროშენკოს ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს მოუწყო

## მიხეილ ეპილირებული და დოროთეას ნაკბენი



9

მიშა, არასოდეს გიფიქრია, რომ ამ გოგონასთან სპეცსამსახურებმა წაიმუშავეს? შენ კი წამოეგე ყველაზე პრიმიტიულ პროვოკაციას, როგორც უკანასკნელი არიფი...

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გარდა იმისა, რომ ფაშისტი ბანდერას მემკვიდრეები იარაღის ნაკლებობას განიცდიან, ცოცხალი ძალის დეფიციტიც აქვთ. მესამე მობილიზაცია, რომელიც ოფიციალურმა კიევმა რამდენიმე კვირის წინათ გამოაცხადა, ჩავარდა. უკრაინელთა დიდი ნაწილი, მათ შორის, დასავლეთ უკრაინაში მცხოვრები ანტირუსულად განწყობილი ადამიანებიც, უარს ამბობენ მათ გამოყენებაზე საზარბაზნე ხორცად.**

## უკრაინის არმიის დანაკარგები სამოქალაქო ომში

# გენოციდი, რომელიც პოროშენკოს ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს მოუწყო

**ორი კვირის წინათ უკრაინის მოვლენებზე გაეროს მიერ გამოქვეყნებულმა მოხსენებამ, რომელიც სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა, მსოფლიოს საზოგადოებრიობა შოკში ჩააგდო. გაეროს მონაცემებით, უკრაინაში კონფლიქტის დაწყებიდან 3 თვეში 2086 მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა, 5 ათასზე მეტი კი დაიჭრა. იმავე გაეროს მიერ უფრო ადრე გამოქვეყნებული მონაცემებით, უკრაინაში საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა 117 ათასმა პირმა, რუსეთში დევნილია 168,7 ათასი ადამიანი. უკვე რამდენიმე თვეა, დიდი ევროპული კატასტროფა დაიწყო, მაგრამ მსოფლიომ მხოლოდ ახლა შეიტყო უკრაინელი ნაციონალისტების მიერ ჩადენილი მხეცობების მასშტაბების შესახებ, რადგან დასავლურ მედიას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.**

ვითარება უკრაინაში დღითიდღე მწვავდება. ე. წ. ანტიტერორისტული ოპერაცია, რომელიც კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ოლიგარქებისა და ნაციონალისტებისგან შემდგარმა უკრაინის ხელისუფლებამ აშშ-ისა და ევროკავშირის დაფინანსებითა და წაქეზებით წამოიწყო, სინამდვილეში სადამსჯელო ოპერაციაა მათ მიმართ, ვისაც არ სურს ფაშისტი სტეპან ბანდერასა და ანარქისტი ბატკო მახნოს მემკვიდრეების ბრძანებებსა და განკარგულებებს დაემორჩილოს.

თავდაპირველად, **აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ წაქეზებულმა უკრაინელმა ნაციონალისტებმა, რომლებმაც სისასტიკით თავიანთ ფაშისტ წინამორბედებსაც კი გადააჭარბეს, ბალისტიკური რაკეტების, ფოსფორიანი ბომბების, მძიმე არტილერიისა და ავიაციის გამოყენებით მიწასთან გაასწორეს დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების დასახლებული პუნქტები, დახოცეს ათასობით მშვიდობიანი მოსახლე, მაგრამ ბლიცკრიგი, რომელიც აღმოსავლეთ უკრაინაში მათი ძალაუფლების დამყარებას ითვალისწინებდა, არ გამოუვიდათ — სახალხო ლაშქარმა მათ უმძიმესი დარტყმები მიაყენა:**



2014 წლის 2 მაისიდან 10 აგვისტომდე უკრაინის არმიამ 20 ათასამდე კაცი დაკარგა, მათ შორის მოკლული და დაჭრილია 12 ათასი, 100-მდე — დატყვევებული, 7,6 ათასი კი დეზერტირად იქცა. მთლიანად განადგურებულია უკრაინის უშიშროების სამსახურის სპეცრაზმი „ალფა“ (115 თანამშრომელი), მოკლულია 360 დაქირავებული: პოლონეთის კერძო სამხედრო კომპანია ASBS Othogo-მ 144 კაცი დაკარგა; ამერიკულმა სამხედრო კომპანია „გრეისტაუნმა“ — 60, Academi-მ (ყოფილი Blackwater) — 130, სახალხო ლაშქარმა გაანადგურა უკრაინელთა შემდეგი საომარი ტექნიკა:



* **თვითმფრინავები:** 1 — „მიგ-29“; 2 — „ან 26“; 1 — „ან 30“; 2 — „ილ-76“; 16 — „სუ-25“; 7 — „სუ-24“; 6 — უპილოტო.
* **20 ვერტმფრენი** („მი-24“; „მი-17“ და „მი-8“).
* **ტანკები:** 215 — „ტ-64“; 7 — „ტ-72“; 19 — „ტ-84უ“, ანუ „ოპლოტი“; 2 — „ბულატი“.
* **5 „ჰამერი“** (მათ შორის ერთი ამერიკელებთან ერთად ჩაიგდეს ხელში სახალხო ლაშქრის წარმომადგენლებმა).

განადგურებულია **ასეულობით ნალმტყორცნი, საზენიტო დანადგარი, ქვეითთა საბრძოლო მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი.**

ეს სამხედრო ტექნიკა კი ასეულმილიონობით დოლარი ღირს. მაგალითად, „მიგ 29“-ის ფასი 30 მლნ დოლარია, „სუ-25“-ის — 16 მლნ, „ილ-76“-ის — 27 მლნ. სწორედ იმიტომ, რომ ცოცხალი ძალისა და საომარი ტექნიკის უდიდესი დანაკარგები განიცადეს, **უკრაინის ხელისუფლებამ არა ერთხელ მიმართა ნატოსა და ევროკავშირს თანამედროვე ტექნიკის მიწოდების და სხვა სახის სამხედრო დახმარების თაობაზე, მაგრამ უარი მიიღეს:**

„ეს შეუძლებელია ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან, **რადგან ნატო სამხედრო დახმარებას მხოლოდ თავის წევრებს უწევს. ევროკავშირს კი სიმძლავრე არ ჰყოფნის, ასეთი დახმარება უზრუნველყოს**. ევროკავშირი და რუსეთი მყიფე ურთიერთობების გაჭიანურებულ პერიოდში არიან. ომმა 2008 წელს საქართველოში და კრიზისმა უკრაინაში წარმოაჩინა, რომ რუსეთი თავისი პოლიტიკის გასაძლიერებლად მზად არის, ძალა გამოიყენოს. ამიტომ ჩვენ ინტერესებშია, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის აღმართული კედელი რაც შეიძლება დაბალი იყოს“, — აი, ასე უპასუხა ფინეთის პრემიერმინისტრმა **ალექსანდრე სტებმა** უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის თხოვნას სამხედრო დახმარებაზე. ზოგიერთი სამხედრო ექსპერტის მონაცემებით კი, **დასავლეთი უკრაინას მოძველებული სამხედრო ტექნიკით ამარაგებს.** ეს იარაღი სსრკ-ის დაშლის შემდეგ დარჩა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს, რომლებიც დღეს ნატოს წევრები არიან.

**გარდა იმისა, რომ ფაშისტი ბანდერას მემკვიდრეები იარაღის ნაკლებობას განიცდიან, ცოცხალი ძალის დეფიციტიც აქვთ. მესამე მობილიზაცია, რომელიც ოფიციალურმა კიევმა რამდენიმე კვირის წინათ გამოაცხადა, ჩავარდა. უკრაინელთა დიდი ნაწილი, მათ შორის, დასავლეთ უკრაინაში მცხოვრები ანტირუსულად განწყობილი ადამიანებიც, უარს ამბობენ მათ გამოყენებაზე საზარბაზნე ხორცად**. მაგალითად, უწყების მიღების შემდეგ **კიეველთაგან თითქმის არავინ გამოცხადდა სამხედრო კომისარიატებში,** თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ **„ევრომაიდნის“ დედაქალაქის მოსახლეობას ძალა აღარ დაატანეს, „თუთიის კუბოებით“ კიდევ უფრო რომ არ გაემწვავებინათ ისედაც მწვავე სიტუაცია.** საზარბაზნე ხორცად გამოყენებულმა ბევრმა უკრაინელმა სამხედრომ კი მას შემდეგ, რაც ძმათამკვლელი ომის სისასტიკე და საშინელებები იხილა, უარი განაცხადა ბრძოლებში მონაწილეობაზე და რუსეთში გადავიდა.

აღსანიშნავია, რომ **უკრაინის პროკურატურამ 500-მდე სისხლის სამართლის საქმე აღძრა იმ უკრაინელთა წინააღმდეგ, რომლებმაც თავი აარიდეს უკრაინის ჯარში სამხედრო სამსახურს. საქმეები აღიძრა დეზერტირების მიმართაც, რომლებიც რუსეთში გადავიდნენ და ამბობენ, რომ ძმათამკვლელ ომში მონაწილეობა არ სურთ.**

ალბათ, პასუხისმგებლობას ვერც ის ადამიანები გაექცევიან, რომლებმაც ეს სისხლიანი კალო მოაწყვეს. მაგალითად, სამხედრო ექსპერტების აზრით, სამხედრო ტრიბუნალის წინაშე უნდა წარდგნენ პირები, რომლებმაც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ბალისტიკური რაკეტების გამოყენების ბრძანება გასცეს.

ოპერატიულ-ტაქტიკური კლასის ბალისტიკური რაკეტები („ტოჩკა-უ“) უკრაინელებს სსრკ-ის დაშლის შემდეგ

**დასავლეთი დაგმობს რუსეთის შეჭრას უკრაინაში მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, მაგრამ საკუთარ თავს არ დაუსვამს კითხვებს, თუ ვინ დააფინანსა სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში; ვინ და ვისი მხარდაჭერით დაიწყო ქვეყანაში ხოცვა-ჟლეტა, რომელიც შეიძლება მსოფლიოსთვის კატასტროფად გადაიქცეს. ევროპა ვერ ხვდება (ან იძულებულს ხდიან, ვერ მიხვდეს), რომ აშშ-ის ხელშეწყობითა და რუსეთის დემონიზაციით, უგულებელყოფს იმ გაკვეთილებს, რომლებიც პირველ და მეორე მსოფლიო ომებში მიიღო...**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბალისტიკური რაკეტების გაშვების ნებართვა ქვეყნის მთავარსარდალმა, ანუ პრეზიდენტმა უნდა გასცეს, ამიტომ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს პეტრე პოროშენკოსა და მის გენერლებს, რომლებმაც დასავლეთის წაქეზებით გენოციდი მოუწყვეს საკუთარ ხალხს — ისინი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე უნდა წარდგნენ.




დარჩათ. მათ ამ რაკეტების გაშვების სპეციალისტები არ ჰყავთ, ზუსტად ვერ ისვრიან და ამიტომაც არის დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში (ისე, მადლობა ღმერთს, რომ უკრაინას ატომური იარაღი არ აქვს). **ბალისტიკური რაკეტების გაშვების ნებართვა ქვეყნის მთავარსარდალმა, ანუ პრეზიდენტმა უნდა გასცეს, ამიტომ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს პეტრე პოროშენკოსა და მის გენერლებს, რომლებმაც დასავლეთის წაქეზებით გენოციდი მოუწყვეს საკუთარ ხალხს — ისინი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე უნდა წარდგნენ.** და კიდევ — **პეტრე პოროშენკომ რამდენიმე დღის წინათ საომარი მოქმედებების ზონაში მყოფ პოლიციელებს უფლება მისცა, გაუფრთხილებლად ისროლონ** (როგორ ჰგავს პოროშენკოს ეს განკარგულება მისი მრჩევლის, პრეზიდენტყოფილი სააკაშვილის განკარგულებას: „ნულოვანი ტოლერანტობა — ყველანი ციხეში!“).

მსოფლიოზე ჰეგემონიის მსურველი აშშ და მისი პროპაგანდისტული მანქანა — დასავლური მედიასაშუალებები — დუმილს ამჯობინებენ უკრაინელი ნაციონალისტების მიერ ჩადენილ მხეცობებზე და მათი არმიის კატასტროფულ მდგომარეობაზე, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ **უკრაინის არმიის პოლკოვნიკის — მიხეილ პუშენკოს ელექტრონულ ფოსტაზე რუსული ჰაკერული ჯგუფის „კიბერბერკუტის“ მიერ განხორციელებული შეტევის შედეგად ყველაფერი ცნობილი გახდა.**

ერთ-ერთ პატაკში უკრაინის №0849 სამხედრო ნაწილის მეთაური ზემდგომებს აცნობებს, რომ **„16 ივლისს მე-3 მექანიზებული სამხედრო ბატალიონის, სატანკო ბატალიონისა და სნაიპერების ასეულის 149 ჯარისკაცმა და მეთაურმა თვითნებურად მიატოვეს პოზიციები, ხოლო 23 აგვისტოს უკრაინული ბლოკპოსტები 32 მებრძოლმა მიატოვა**“.

ეს ინფორმაცია იმაზე მეტყველებს, როგორი საბრძოლო განწყობა და მეომრული სულია უკრაინის „დამცველებში“. ასეულობით უკრაინელი სამხედრო ყრის იარაღს და თავისი ნაწილიდან გარბის, მიუხედავად იმისა, რომ იცის, შეიძლება მკაცრად დაისაჯოს.

ჰაკერების მიერ მოპოვებული დოკუმენტების მიხედვით, **„2014 წლის 21 ივლისიდან 5 აგვისტომდე უკრაინელებმა სახალხო ლაშქარს „აჩუქეს“: 22 ტანკი; 26 ქვეითთა საბრძოლო მანქანა; 17 ჯავშანტრანსპორტიორი; 4 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი „ნონა“ და 4 „გვოზდიკა“; 12 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „გრადი“; 5 ჰაუბიცა D-30; 10 ერთეული 82 მმ კალიბრის ნაღმსატყორცნი; 13 საზენიტო დანადგარი; 75 გამწევი ავტომობილი“.** გარდა ამისა, **ჰაკერებმა გაასაჯაროეს უკრაინის უშიშროების სამსახურის შეფის მიერ პრეზიდენტ პოროშენკოს სახელზე გაგზავნილი სრულიად საიდუმლო დოკუმენტი, რომელშიც ლაპარაკია უკრაინის შეიარაღებულ ძალებში დეზერტირების რაოდენობის ზრდაზე:**

„14-დან 19 ივლისს უკრაინის შეიარაღებული ძალებისა და ნაციონალური გვარდიის რიგებში დეზერტირთა რაოდენობის კატასტროფული ზრდა (3473 კაცი, 47%) აღინიშნა გასული კვირის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1847 კაცი, 25%) შედარებით, გარდა ამისა, მოცემულ პერიოდში გაიზარდა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რაოდენობაც (1344 კაცი, 47%; წინა კვირა — 344 კაცი, 10%).

ეს დაკავშირებულია მოწინააღმდეგის მზარდ აქტიურობასთან დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში და დიდ დანაკარგებთან ზემოაღნიშნულ ძალოვან სტრუქტურებში. **მოცემული ფაქტი გავლენას ახდენს პირად შემადგენლობაზე და ანტიტერორისტული ოპერაციის მომავალში გაგრძელებას შეუძლებელს ხდის. თუ ნეგატიური დინამიკა იმავე დონეზე შენარჩუნდება, 4-5 დღის შემდეგ ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფების 2/3 არსებობას შეწყვეტს.**

უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი **ვ. ნალივაიჩენკო**“.

დოკუმენტს ადევს პეტრე პოროშენკოს რეზოლუცია: „განაგრძეთ, ვიდრე შეძლებთ“.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სამხედრო ექსპერტი და პოლიტოლოგი, ვითარების კიდევ უფრო გამწვავების შემთხვევაში, უკრაინაში რუსეთის შეჭრას და კიევის აღებასაც არ გამორიცხავს. ასეთ შემთხვევაში **დასავლეთი დაგმობს რუსეთის შეჭრას უკრაინაში მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, მაგრამ საკუთარ თავს არ დაუსვამს კითხვას, თუ ვინ დააფინანსა სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში, ვინ და ვისი მხარდაჭერით დაიწყო ქვეყანაში ხოცვა-ჟლეტა, რომელიც შეიძლება მსოფლიოსთვის კატასტროფად გადაიქცეს.**

**ევროპა ვერ ხვდება (ან იძულებულს ხდიან, ვერ მიხვდეს), რომ აშშ-ის ხელშეწყობითა და რუსეთის დემონიზაციით უგულებელყოფს იმ გაკვეთილებს, რომლებიც პირველ და მეორე მსოფლიო ომებში მიიღო...**

**ნიკა გელაშვილი**

**P.S. ბოლო ხანს უკრაინაში მოიმატა ფასმა კომუნალურ გადასახადებზე, პურსა და ბენზინზე, დაეცა ეროვნული ვალუტის — გრივნის კურსი; მუშაობა შეწყვიტა დიდმა სამრეწველო საწარმოებმა; მაღალია უმუშევრობის დონე; 5 მილიარდი დოლარის დავალიანების გამო რუსეთი უკრაინას ბუნებრივ აირს აღარ აწვდის და უკვე ჩანს ენერგეტიკული კრიზისის ნიშნები. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უკრაინაში გლობალური ეკონომიკური კრიზისი დაიწყო.**




**2014 წლის 2 მაისიდან 10 აგვისტომდე უკრაინის არმიამ, სხვადასხვა მონაცემებით, 20 ათასამდე კაცი დაკარგა, მათ შორის მოკლული და დაჭრილია 12 ათასზე მეტი, რამდენიმე ასეული — დატყვევებული, 7,6 ათასი კი დეზერტირად იქცა. მთლიანად განადგურებულია უკრაინის უშიშროების სამსახურის სპეცრაზმი «ალფა» (115 თანამშრომელი), მოკლულია 360 დაქირავებული**













ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ ინიციატივის უმთავრესი მნიშვნელობა ისაა, რომ ხსენებული უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესასრულებლად უნდა არჩეულიყო კანდიდატი, რომელიც შეძლებდა, მოკლე პერიოდში მიეღო კონკრეტული შედეგი და ჩაებარებინა ანგარიში საზოგადოებისთვის ან, წარუმატებლობის შემთხვევაში, გადამდგარიყო.**

# «აბი მარგველაშვილი» — ალასანიას იარაღი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

**ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი ამომრჩეველს ხელების გადაგრეხის ხარჯზე მოახვია თავს. იგი მარგველაშვილს თავდებად დაუდგა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — მე ვიცი ადამიანების ცნობა, გიორგი საუკეთესო კანდიდატია და, გინდათ თუ არა, უნდა მენდოთო...**



წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, როდესაც ივანიშვილი საზოგადოებას აიძულებდა, „აბი მარგველაშვილი“ მიეღო, პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ პრეზიდენტის ინსტიტუტის შესახებ ქართულ მედიაში შემდეგი ინიციატივა წამოაყენა:

**„საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.**

**მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს... საჭიროა გარღვევა, ამ სამუშაოს ხარისხობრივად ახალ დონეზე აყვანა. საჭიროა მაღალი სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე პირი, რომელიც გავა პირდაპირ მოლაპარაკებაზე უმაღლესი ხელმძღვანელობის რგოლებთან და დაძრავს საქმეს მკვდარი წერტილიდან... ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის საჭიროა მესამე პირი ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან — ანუ პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ სტატუსს, არამედ პიროვნულ საკითხსაც. ახალი პრეზიდენტი არაფრით უნდა იყოს დაკავშირებული წინა რეჟიმებთან, რომლებიც ჩვენი პარტნიორების აღქმაში ომთან და სისხლთან ასოცირდებიან. სასურველია, რომ იგი მათთვის პოზიტიურად ცნობილი იყოს, თუმცა, შესაძლოა, ის იყოს აბსოლუტურად ახალი სახე. მთავარია, აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას — ერთ-ორ წელიწადში ვითარების კარდინალურად შეცვლას... თუ ამ თანამდებობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგელობით დავტვირთავთ და დავადგენთ, რომ ერთ-ორ წელიწადში პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები, მაშინ ამ პოსტის დაკავების მსურველთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდება.**

**სხვათა შორის პრეზიდენტის ფუნქციის ასეთი განმარტება მოხსნის კონკურენციის, ამ თანამდებობისთვის ბრძოლისა და ამ ბრძოლის თანმდევი ინტრიგების პრობლემას. არა მგონია, ბევრი პრეტენდენტი მოიძებნოს, რომელთაც ამ ჩიხში მოქცეული საკითხებით დაკავების სურვილი ექნებათ. ამ საკითხებს მხოლოდ ლამაზი და ფუყე დაპირებებით ვერ მოაგვარებ, ახალი პრეზიდენტის ფხა და შესაძლებლობა პირველივე თვეებში გამოჩნდება. ამიტომ ამ პოსტის დაკავებას მხოლოდ ის ადამიანი დათანხმდება, რომელიც დარწმუნებულია წარმატებაში და ფლობს აუცილებელ პოტენციალს — კავშირებს, პირად ავტორიტეტს, სერიოზული წინადადებების პაკეტს. ასეთი ადამიანები კი ბევრნი არ არიან...**

**ვთვლი, რომ ეს მაღალი პოსტი აუცილებლად კონკრეტული ამოცანების, მიზნების მისაღწევად უნდა იქნას გამოყენებული... ახალ ხელისუფლებას, რომლის სინდისზე არც სისხლია და არც დანაშაული, აქვს მცირე შანსი, გამოიყვანოს შექმნილი ვითარება ჩიხიდან. ამისთვის საჭიროა პრემიერმინისტრის (ბიძინა ივანიშვილის — რედ.) პოლიტიკური ნება და პრეზიდენტის შესაბამისი ფუნქციებით დატვირთვა. ეს აუცილებელია ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. ეს აუცილებელია, რათა ივანიშვილმა ერის ნდობა შეინარჩუნოს“.**

**არც ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარებული არ არის, უკმაყოფილება იზრდება, სახელმწიფოს მდგომარეობა მძიმდება, ივანიშვილის რეიტინგი ეცემა, რადგან თავიდანვე ცხადი იყო, რომ ტერიტორიულ და საგარეოპოლიტიკურ, გნებავთ, სამეზობლო პრობლემათა კომპლექსის მოგვარების გარეშე, ის ერის ნდობას ვერ შეინარჩუნებდა**

**ამ ინიციატივის უმთავრესი მნიშვნელობა ისაა, რომ ხსენებული უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესასრულებლად უნდა არჩეულიყო კანდიდატი, რომელიც შეძლებდა, მოკლე პერიოდში მიეღო კონკრეტული შედეგი და ჩაებარებინა ანგარიში საზოგადოებისთვის ან, წარუმატებლობის შემთხვევაში, გადამდგარიყო.**

ამ იდეას საზოგადოებაში მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდა. გამოიკითხა არაერთი ექსპერტი, საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური ცნობილი პიროვნებები, ბევრი დაეთანხმა ალექსანდრე ჭაჭიას წინადადებას, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას, კერძოდ კი, ბიძინა ივანიშვილს, ნომინალური პრეზიდენტი, ფუფუნებით გარემოცული უსაქმური სჭირდებოდა, რომელსაც მხოლოდ დეკორაციის დანიშნულება ექნებოდა და შესაბამისად, ზემოხსენებულ სასიცოცხლო მნიშვნელობის შეთავაზებაზე მას რეაქცია არ ჰქონია...

თქვა ბიძინამ, გიორგიო, წამოაყენა ადამიანი ფუტლარი პრეზიდენტობის კანდიდატად და არჩევნების შედეგებმაც ექოდ გამოსცა მარგველაშვილის გვარი ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტად...

მაგრამ, ვაი, რომ უსაქმური და უფუნქციო პრეზიდენტი დეკორაციადაც არ გამოდგა და ავსტრალიელი აბორიგენების ბუმერანგს შეშურდებოდა ის სიზუსტე, როგორითაც ივანიშვილს მოუბრუნდა უკან მარგველაშვილის ქებადიდება — კონსტიტუციითა და ფუნქციურად უსაქმურმა პრეზიდენტმა რამდენიმე თვეში სააკაშვილის იმდენი თანაგუნდელი დააწინაურა, ისეთი, მსუბუქად რომ ვთქვათ, ლღლვობები ჩაიდინა, რომ ივანიშვილი იძულებული გახდა, საჯაროდ ეღიარებინა:

**„არ დავმალავ, ველოდი უკეთესს. პრინციპულად განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა (მარგველაშვილს — გ. გ.)... ხასიათი გამოავლინა მარგველაშვილმა არჩევნების შემდგომ. 60 წლის ვცხდები და მსგავსი მაგალითი არ მახსოვს“.**

ივანიშვილის ეს აღიარება ნამდვილად იმსახურებს რეპლიკას: **„ხომ გეუბნებოდი, გაფრინდება-მეთქი, შე გალსტუკიანო, შენა!“** . მან მართლაც მიიღო ის, რისთვისაც იბრძოდა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ღრმა ჩიხშია, არც ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარებული არ არის, უკმაყოფილება იზრდება, სახელმწიფოს მდგომარეობა მძიმდება, ივანიშვილის რეიტინგი ეცემა, რადგან თავიდანვე ცხადი იყო, რომ ტერიტორიულ და საგარეოპოლიტიკურ, გნებავთ, სამეზობლო პრობლემათა კომპლექსის მოგვარების გარეშე, ის ერის ნდობას ვერ შეინარჩუნებდა; ხოლო ადამიანი ფუტლარები, მაღალი თანამდებობის უსაქმურები თავის გადარჩენაზე ფიქრობენ და ხელისუფლებას გაცილებით მძიმე პრობლემებს უქმნიან, ვიდრე ყაისნაღიანი მარგველაშვილის ჭირვეულობაა. ცნობისათვის: „აბი მარგველაშვილი“ უბრალო ჭირვეულობას აღარ სჯერდება და ამერიკის ელჩის — რიჩარდ ნორლანდის ღია მხარდაჭერით უკვე მთავარსარდლის მანტიას ირგებს, თან ცდილობს, ეროვნული უშიშროების საბჭო მთლიანად საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს. თუმცა მოდით, ეს პრობლემები საფუძვლიანად და თანმიმდევრულად განვიხილოთ.

ქსოვის მოყვარული ფილოსოფოსი პრეზიდენტისგან, რომელიც სააკაშვილის სასახლეში ფუფუნებით ტკბება და რომელიც აქამდე ყველა დამცირებას იტანდა, მოულოდნელი იყო გაჯიუტება და პრემიერ ღარიბაშვილთან ღიად დაპირისპირება, მაგრამ ეს მოულოდნელი იყო საზოგადოებისთვის და არა ხელისუფლებისთვის. **ხელისუფლებაში, უკვე დიდი ხანია, საოცარი ეჭვიანობა შეინიშნება ბიძინა ივანიშვილის კონტროლიდან გამოსული მარგველაშვილის მიმართ, პრემიერის მაპროვოცირებელი კრიტიკა კი ერთგვარი კატალიზატორი იყო.** ▶

# „აბი მარგველაშვილი“ უბრალო ჭირვეულობას აღარ სჯერდება და ამერიკის ელჩის — რიჩარდ ნორლანდის ღია მხარდაჭერით უკვე მთავარსარდლის მანტიას ირგებს, თან ცდილობს, ეროვნული უშიშროების საბჭო მთლიანად საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს.

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარგველაშვილს ნერვებმა უმტყუნა, იგი ანკესს წამოეგო და, ფაქტობრივად, თვითლუსტრაცია მოახდინა.**

ფაქტია: მარგველაშვილმა თავისი განცხადებით დროზე ადრე გამოამჟღავნა თავი, როგორც პოლიტიკურმა პოლუსმა, რომელსაც, მისი სტატუსიდან გამომდინარე, აუცილებლად ექნება მიზიდულობის ძალა და, შესაძლოა, ახალი პოლიტიკური კონფიგურაციის მნიშვნელოვან ნაწილად იქცეს.

**ღარიბაშვილის წინააღმდეგ მიმართული ძალის სათავე სულ სხვაგანაა და ის მარგველაშვილი ნამდვილად არ არის.**

აქედან გამომდინარე, მთავარი შეკითხვაა არა „რა უნდა მარგველაშვილს?“, არამედ — **„ვის გაქაჩვას შეეცდებიან ღარიბაშვილის შემცვლელად?“**

თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ, დავინახავთ, რომ **იზრდება ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის შეშფოთება ივანიშვილის ხელდასმული მთავრობის მიმართ.** ეს ნათლად ჩანს ამერიკელი სენატორებისა თუ წამყვანი ჟურნალისტების ანალიტიკურ სტატიებში. რეალობაა, რომ ამერიკელებმა სააკაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საკუთარ შეურაცხყოფად მიიღეს, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც უკრაინაში მიმდინარე პროცესებში სააკაშვილი ამერიკელების მხარესაა და ერთგვარ დასაყრდენადაც ქცეულა უკრაინის პროამერიკული ხელისუფლებისთვის. პირად საუბრებში არაერთი გავლენიანი სენატორი თუ პოლიტოლოგი აღნიშნავს, რომ სააკაშვილისთვის ბრალდების წაყენება საეჭვოდ ემთხვევა უკრაინის მოვლენებში სააკაშვილის აქტიურ მონაწილეობას და რუსული რევანშის ხასიათს ატარებს. ეს მცდარი შეხედულებაა, მაგრამ ამერიკელებს მისი სჯერათ. ამასთანავე, ამერიკელებისთვის მათ მიერ დემოკრატიის შუქურად წოდებული, რეფორმების გამტარებელი და რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ხელისუფლების წამომადგენლების კრიმინალური საქმიანობის წარმოჩენა სერიოზული პრობლემაა, რადგან სააკაშვილის ამერიკელი მფარველები, ფაქტობრივად, თანამონაწილენი გამოდიან იმ დანაშაულებისა, რომლებზეც საქართველოს პროკურატურა საუბრობს. **კონსპიროლოგიის მოყვარულები უკვე ღიად წერენ, რომ ამერიკელები სერიოზულად ემზადებიან საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად და თავისი ერთგული კადრის მოსაყვანად.**

აშკარაა, რომ „ნაციონალების“ გაფუჭებულ იმიჯს ვერაფერი უშველის და მათი რეინკარნაცია ამერიკელებისთვისაც კი, პრაქტიკულად, შეუსრულებელი ამოცანაა, ამიტომ „ნაციონალების“ დაბრუნებაზე ისინი ფსონს არ დებენ და ეს ლოგიკურია, თუმცა „ნაციონალების“, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობის, გადარჩენა და პოლიტიკურ ასპარეზზე დატოვება მათი ერთ-ერთი მიზანია. **ხელისუფლებაში „ნაციონალების“ დაბრუნების პერსპექტივის გამორიცხვის შემდეგ დგება ისეთი ძალის, ლიდერის გამოძებნის საკითხი, რომელსაც ხელეწიფება ხელისუფლებაში მოსვლა. დიდი ალბათობით, ასეთ ძალად და ლიდერად ამერიკელები განიხილავენ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასა და მის ფრაქციას, აგრეთვე, მის თანაგუნდელ მინისტრებს, „ნაცმოძრაობის“ დარჩენილ რესურსსა და პრეზიდენტ მარგველაშვილის სტატუსთან ერთობლიობაში.**

ალასანია კოალიციის ერთ-ერთი ლიდერიც იყო, ივანიშვილის ფავორიტიც და პრეზიდენტობის კანდიდატადაც განიხილებოდა, მაგრამ ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლიდან მოკლე ხანში ისეთი დარტყმა მიიღო, არათუ პრეზიდენტობაზე ფიქრი შეწყვიტა, ვიცეპრემიერის პოსტიც დაკარგა.

ცხადია, **ამერიკელებთან შეხმატკბილებული თავდაცვის მინისტრი ალასანია შესაფერის მომენტს ელოდება შურის საძიებლად. იგი გამოირჩევა იმით, რომ არასოდეს ებრძვის მტერს ღიად, მუდამ დაფარულ-კულუარულ ბრძოლას ამჯობინებს, რადგან ასეთ ბრძოლაში (როგორც ყოფილი დიპლომატი და უშიშროების ყოფილი კადრი) გაცილებით გამოცდილია, ვიდრე მისი ოპონენტები.**

უკვე დიდი ხანია, ალასანიას ომი აქვს გამოცხადებული ღარიბაშვილის წინააღმდეგ. **ალასანიას გარემოცვაში კარგა ხანია, ქირქილებენ, რომ მისთვის ღარიბაშვილი აღიქმება, როგორც გამოუცდელი პატარა ბიჭი, რომელმაც მხოლოდ ივანიშვილის ფავორიტობის გამო აჯობა**. ალასანიას გარემოცვა პირად საუბრებში არც მალავს, რომ ღარიბაშვილი მათთვის წინაღობა არ არის, რომ მას სერიოზულად არ აღიქვამენ და რომ მათი მოწინააღმდეგე ივანიშვილია, რომელმაც საფინალო გარბენიდან მოხნა ალასანია.

**ცხადია, რომ ალასანიას, როგორც ამერიკის სპეცსამსახურების გაზრდილ კადრს, ოკეანის გაღმიდან ყველაზე სერიოზული მხარდაჭერა აქვს და ვაშინგტონის მიერ ფსონის მასზე დადება არც არავის გაუკვირდება.**

აქამდე ალასანიას მთავარი პრობლემა პოლიტიკური პარტნიორების სიმწირე იყო, რადგან კოალიცია ივანიშვილის გარშემო არსებობდა, მაგრამ დღეს ეს სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია.

**პრეზიდენტი მარგველაშვილი და ალასანია, ფაქტობრივად, ერთი გუნდია (ამას დაამატეთ მათი ნათესაური კავშირიც), „ეროვნული ფორუმი, რომელიც გუბაზ სანიკიძის ფარული ჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ ივანიშვილმა, ფაქტობრივად, გარიყა თავისი პოლიტიკური სივრციდან, ალასანიას მხარდამჭერია. ამას დაამატეთ ფორუმის ლიდერის — შარტავას ნათესაური კავშირი და მორალური ვალი, რომელიც მამია ალასანიას მიმართ აქვს კახა შარტავას, რადგან სწორედ მამია ალასანიასთან ერთად დაიღუპა მამამისი — ჟიული შარტავა. არ დაგვავიწყდეს, რომ თვითონ ალასანიას შთამბეჭდავი დეპუტაცია ჰყავს პარლამენტში. მისი გუნდი მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი მთავრობაშიც იუსტიციის მინისტრ წულუკიანის, სახელმწიფო მინისტრ პეტრიაშვილის, საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძისა და რამდენიმე საკვანძო მინისტრის მოადგილისა და ელჩის სახით, რომლებიც ასევე ალასანიას გუნდის წევრები არიან.** თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ **ალასანია და კომპანია, პლუს მარგველაშვილი და „ნაცმოძრაობის“ ნაშთი შთამბეჭდავი ძალაა, რომელიც მომავალ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ კუდით ქვას ასროლინებს.** ადგილობრივი არჩევნების შედეგების ანალიზი ამის ნათელი დასტურია.



**დღეს თუ არა, ხვალ, უფუნქციო უსაქმური, პრეზიდენტად დეკორაციული მიზნებისთვის არჩეული მარგველაშვილი ახალი პოლიტიკური კონფიგურაციის ნაწილი გახდება და, თუ მისი დახმარებით კვლავ მოხერხდა ერთპოლუსიანი პოლიტიკური სივრცის შენარჩუნება, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი იმ ფორმალური სტატუსითაც კი, რომელიც მის თანამდებობას შემორჩა, გაჩენის დღეს აწყევლინებს ბიძინა ივანიშვილის გუნდს...**

ალასანიას აქტივში უნდა ჩავწეროთ სამოქალაქო სექტორის უდიდესი ნაწილი და რესპუბლიკელები, რადგან ისინი ყოველთვის იმოქმედებენ იმ დირექტივის მიხედვით, რომელსაც ამერიკელი პატრონებისგან მიიღებენ.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტების შემდეგ ძნელი წარმოსადგენი არ არის ახალი პოლიტიკური კონფიგურაციის კონტურები — პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი, 2 ან 3 ძლიერი საპარლამენტო ფრაქცია, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მფარველობა, აშშ-ის საელჩოს უშუალო პატრონაჟი და დახმარება, ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელთ არსებული დიდძალი შავი (და არამარტო) ფული, მათი ფარული პოლიტიკური მხარდაჭერა, აბსოლუტური უპირატესობა ტელევიზიებსა და პრესაში...

ვფიქრობ, ჩამოთვლილი ფაქტორები საკმარისზე მეტია ნებისმიერი არჩევნების მოსაგებად.

ზემოხსენებული კონფიგურაცია არჩევნების წინა პერიოდში გამოიკვეთება, რადგან სწორედ წინასაარჩევნო პერიოდია ყველაზე ხელსაყრელი ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად. მანამდე ალასანიაც და მისი გუნდის მინისტრებიც ყველანაირ მეთოდს იხმარენ, რათა თანამდებობები და გავლენა შეინარჩუნონ, რადგან სწორედ თანამდებობებიდან იქნება შესაძლებელი უფრო მძლავრი ძალის ჩამოყალიბება. ეს ფაქტორი განსაზღვრავს იმას, რომ ახლა **პრეზიდენტიც და ალასანიაც მაქსიმალურად ეცდებიან ნაადრევი კონფლიქტის ამოწურვას ღარიბაშვილთან, უკანაც დაიხევენ, შესაძლოა, ბოდიშიც მოიხადონ პრემიერის წინაშე და საჭირო მომენტში განახორციელონ დარტყმა, რომელიც მათთვის სასურველი შედეგის მომტანი იქნება.** ნაადრევად ამ დარტყმის განხორციელება წამგებიანია, ამიტომ მარგველაშვილ-ღარიბაშვილის ტანდემი დროზე ადრე თავს არ გაიშიფრავს და კონსპირაციის დაცვით იმოქმედებს, თუმცა დარტყმა ღარიბაშვილის წინააღმდეგ გარდაუვალია არჩევნების წინ.

აქვე საინტერესოა, ვინ დარჩება ღარიბაშვილის მხარეს. **თითქმის ნულოვანია პოლიტიკური ინტელექტი და კაპიტალი მეტად უნიათო და არაპროფესიონალი საპარლამენტო გუნდისა, რომელიც, ძირითადად, მოჭიდავეებით, მომღერლებითა თუ მსახიობებითაა დაკომპლექტებული და ერთი ხეირიანი სპიკერიც არ ჰყავს საკუთარი პოზიციების დასაცავად. ამიტომ მასზე შეჩერებაც არ ღირს. ამას დაამატეთ მრეწველი პენსიონერების არარსებული პარტია, რომელიც, საითაც სიო დაბერავს, იქით გადაიხრება და ორკაციანი კონსერვატორები, რომლებიც, ფაქტობრივად, ცარიელ ადგილს წარმოადგენენ, ანუ ღარიბაშვილის საპარლამენტო პოლიტიკური გუნდი, ფაქტობრივად, არ არსებობს.**

ღარიბაშვილმა თავის პოლიტიკურ დასაყრდენად რატომღაც აირჩია ყოფილი თუ მოქმედი ძალოვანები. მან ძირითადი თანამდებობები — გუბერნატორები, მრჩევლები, მინისტრები, გამგებლები და ა. შ. მეტწილად ძალოვანებით დააკომპლექტა. **ეს ღარიბაშვილს მძიმე შედეგებით მოუბრუნდება, რადგან ამ ძალოვანთა უმეტესობა საოცრად არაპოპულარულია, არაპროფესიონალია და, რაც მთავარია, მათი უმრავლესობა ვანო მერაბიშვილისა და დათა ახალაიას ყოფილი კადრია. მათი გადასვლა მარგველაშვილ-ალასანიას ბანაკში მხოლოდ დროის საკითხია.**

ცალკე თემაა სახელმწიფო კანცელარიის რუხ კარდინალებად მიჩნეული **ძმები ჩხენკელები — სამი ძმა, რომლებიც, როგორც არაკეთილმოსურნენი ამტკიცებენ, ფაქტობრივად, მართავენ ქვეყანას, აკონტროლებენ ყველა ძირითად ბიზნესს, მხოლოდ მოგება აინტერესებთ და ღარიბაშვილს დიდი მოგების მისაღებ ობიექტად აღიქვამენ. ძმებ ჩხენკელებს „ნაციონალურ“ წარსულსაც უხსენებენ და მათგან ტროას ცხენის ფუნქციის შესრულებასაც არ გამორიცხავენ.**

**ყოფილი ძალოვანებით, პოლიტიკისგან შორს მდგარი მოჭიდავე-მუსიკოსი პარლამენტარებით, ძმები ჩხენკელებითა და უუნარო მინისტრებით დაკომპლექტებული გუნდით ღარიბაშვილი ვერ შეძლებს წინააღმდეგობის გაწევას დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ალასანია-მარგველაშვილის ტანდემისთვის.** აღსანიშნავია ღარიბაშვილის გუნდის ერთ მნიშვნელოვანი პრობლემაც — პარტიის არარსებობა! პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ ,ფაქტობრივად, არ არსებობს და მხოლოდ საარჩევნო შტაბების დონეზე მოქმედებს საარჩევნო პერიოდში. ამას დაემატა პარტიულ შტაბებში მომუშავე აქტივისტთა მასობრივი უკმაყოფილება, რომელიც მათი სრული იგნორირების გამო შეიქმნა და პარტია, ფაქტობრივად, აქტივის გარეშე დარჩა.

ამ ფონზე ცხადია, რომ **ღარიბაშვილის პოლიტიკური გუნდი მოუმზადებელია პოლიტიკური ბატალიებისთვის. ამ გუნდის ერთადერთი იმედი ღარიბაშვილის დადებითი პიროვნება და ივანიშვილის ფაქტორია, ფაქტორი, რომელზეც დგას არსებული აღმასრულებელი ხელისუფლება, თუმცა ივანიშვილის ფაქტორის ძალა დღითიდღე იკლებს**. დიდი ალბათობით, თვითონ **ივანიშვილიც არ არის კმაყოფილი იმ ბაქანალიით, რომელიც მთავრობაში სუფევს და არც იმ ბიზნესგადანაწილებებით, რომელიც „საოცნებო საქართველოში“ ხდება**. ამიტომ სრულიად **რეალურია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ღარიბაშვილის მთავრობას ივანიშვილის ფაქტორიც გამოეცალოს.** ამერიკელებიც ამაზე არიან ჩასაფრებულნი და, **თუ ღარიბაშვილმა თავის პოლიტიკურ გუნდში რადიკალური ცვლილებები არ განახორციელა, ძლიერი პარტია — პოლიტიკური გუნდი არ ჩამოაყალიბა, ნათესაურ-მეგობრულ-პოლიციური გარემოცვით ვერაფერს გახდება და ე. წ. პროამერიკელების** (რომლებიც „ნაციონალებისგან“ ფარულად მხარდაჭერილები იქნებიან) **ხელისუფლებაში მოსვლა მხოლოდ დროის ფაქტორი იქნება!**

მოკლედ, როგორც წესი, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენ. თავის დროზე ახალმა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა გონივრული შეთავაზება — დაეტვირთა ქვეყნის პრეზიდენტი **აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან, ურთიერთობების დარეგულირების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციით, რადგანაც ამ მიმართულებით მთლიანად დასავლეთის მაამებლობაზე გადართულ ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში არავინ მუშაობდა.**

შედეგიც ნათელია: **დღეს თუ არა, ხვალ, უფუნქციო უსაქმური, პრეზიდენტად დეკორაციული მიზნებისთვის არჩეული მარგველაშვილი ახალი პოლიტიკური კონფიგურაციის ნაწილი გახდება და, თუ მისი დახმარებით კვლავ მოხერხდა ერთპოლუსიანი პოლიტიკური სივრცის შენარჩუნება, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი იმ ფორმალური სტატუსითაც კი, რომელიც მის თანამდებობას შემორჩა, გაჩენის დღეს აწყევლინებს ბიძინა ივანიშვილის გუნდს...**

ივანიშვილს ვინ ჩივის, საკითხავი ის არის, გაუხდება თუ არა საქმე თავ-ბედის საწყევლად მათ, ვინც არჩევნებზე 41 შემოხაზეს...

**გიორგი გაჩეჩილაძე**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარგველაშვილი ცდილობს, დროის გაწელვა და პროკურატურისთვის პრობლემების შექმნა „ყურადღების უაღრესად ფაქიზი მიქცევით“ და ძნელად ამოსაცნობი საგარეოპოლიტიკური ფაქტორებით გაამართლოს, მაგრამ ეს არ აუქმებს მთავარ გარემოებას — პრეზიდენტმა გააკეთა ზუსტად ის, რაც სჭირდებოდა სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“...**

# მარგველიადა-2014 და «ნაცმოძრაობის» ცეცხლოვანი ოცნებები



**პრემიერმინისტრისა და პრეზიდენტის კინკლაობა ახალ სტადიაში გადავიდა. თუ ადრე ადგილი მხოლოდ გამაღიზიანებელ რეპლიკებსა და სიმბოლურ ჟესტებს ჰქონდა, ამჯერად დაპირისპირებამ გამოიწვია პირველი შეფერხება სახელმწიფოს მექანიზმების მუშაობაში — ჯერჯერობით მცირე და თითქმის შეუმჩნეველი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ხელისუფლების წიაღში განვითარებული პროცესების ანალიზისთვის. საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილს სჭირდება სულ რაღაც ხუთი წუთი იმისთვის, რომ მარგველაშვილი და ღარიბაშვილი შეარიგოს ან, როგორც მინიმუმი, საჯარო სკანდალების მოწყობა აუკრძალოს, მაგრამ „მოქალაქე №1“ ამას არ აკეთებს. საინტერესოა, რატომ.**



## უაღრესად ფაქიზი პრეზიდენტი

წინა სერიის მოკლე შინაარსი: ამა წლის 12 ივლისს და 6 აგვისტოს მთავარმა პროკურატურამ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ორი წერილი გააგზავნა და მოითხოვა საიდუმლო გრიფის მოხსნა საბუთებისთვის, რომლებიც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის (მიხეილ სააკაშვილის მითითებით) საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას ეხება. პროკურატურის აზრით, თავის დროზე გრიფი ამ დოკუმენტებს უკანონოდ მიანიჭეს. მარგველაშვილმა ეს თხოვნა მხოლოდ 8 აგვისტოს, პროკურატურის ხელმძღვანელებთან საგანგებო შეხვედრის შემდეგ შეასრულა. ამასთანავე, მისმა ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პროკურატურამ თავის წერილებსაც დაადო გრიფი „საიდუმლოდ“, შემდეგ კი მასმედიას მათი გაგზავნის შესახებ ამცნო, რითაც თითქოს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის მოთხოვნები უგულვებელყო. პროკურატურამ და შსს-მ საპასუხო განცხადებები გამოაქვეყნეს და ეს ამ ბრალდება უარყვეს. შემდეგ დაიწყო ამ დაუსრულებელი სერიალის ახალი სერია.

15 აგვისტოს ირაკლი ღარიბაშვილმა ამ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა: „პროკურატურამ დაასრულა საქმეზე მუშაობა და სწორედ ამიტომ გაკეთდა მოთხოვნა მასალებზე გრიფის მოხსნის თაობაზე. ჯობია, პრეზიდენტ მარგველაშვილს ჰკითხოთ, რატომ დასჭირდა ერთი თვე გრიფის მოხსნას. ეს, ზოგადად, ძალიან მარტივი პროცედურაა. მით უმეტეს, ჩვენთვის, თითოეული მოქალაქისთვის ცნობილი იყო, რომ ხდებოდა ასეთი ხარჯების გაწევა. გირჩევთ, მიმართოთ პრეზიდენტს და ჰკითხოთ, რატომ დასჭირდა ამდენი დრო. მე არ ვიცი, მე მიმაჩნია, რომ ეს იყო ძალიან მარტივი პროცედურა და არ სჭირდებოდა ამდენი დრო“ (ინტერპრესნიუსი).

მარგველაშვილმა პრემიერმინისტრს მყისიერად უპასუხა: „პრეზიდენტს ვერავინ ეტყვის, კანონით დაგეგმილ ვადაში, ხუთი წუთი იფიქროს თუ მეტი იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის. იმისათვის, რომ დააჩქარო ვინმეს გადაწყვეტილება, რაიმე ძალაუფლება ან შესაძლებლობა უნდა გქონდეს. 9 წლის განმავლობაში სწორედ ეს არ მომწონდა, რომ მათ არ იცოდნენ, სად იწყება და მთავრდება კანონი, სად მთავრდება ვალდებულებები და ხელისუფლებების გამიჯვნა. საქართველოს პრეზიდენტმა და მისმა აპარატმა მაშინ გადაწყვიტეს ეს საკითხი, როდესაც მიაჩნდათ სწორად; ყურადღება უაღრესად ფაქიზად მიაქცია საკითხს, რომელიც არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის შიგა პოლიტიკური საკითხი. დღეს ყველასთვის ნათელია, რომ ეს საკითხი საქართველოს საგარეო პოლიტიკას დაუკავშირდა“.

**ივანიშვილს შეუძლია ხუთ წუთში ბოლო მოუღოს პრემიერისა და პრეზიდენტის დაპირისპირებას; ყოველ შემთხვევაში, — მათ საჯარო კინკლაობას (და სხვათა შორის, თითოეული მათგანის კარიერას), მაგრამ ამას არ აკეთებს და, ალბათ, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ შექმნილ სიტუაციაში გარკვეულ პოლიტიკურ რესურსს ხედავს.**

ყველაზე საინტერესო ამ პასაჟში, საკუთარი მაღალი სტატუსის დაფიქსირების დაჟინებული სურვილის გარდა, ალბათ, უკანასკნელი ორი წინადადებაა. **მარგველაშვილი ცდილობს, დროის გაწელვა და პროკურატურისთვის პრობლემების შექმნა „ყურადღების უაღრესად ფაქიზი მიქცევით“ და ძნელად ამოსაცნობი საგარეოპოლიტიკური ფაქტორებით გაამართლოს, მაგრამ ეს არ აუქმებს მთავარ გარემოებას — პრეზიდენტმა გააკეთა ზუსტად ის, რაც სჭირდებოდა სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“:** ჯერ პრობლემის გადაწყვეტა გააჭიანურა, შემდეგ კი პროკურატურა კანონის დარღვევაში დაადანაშაულა სწორედ მაშინ, როდესაც ის იგერიებს ბრალდებებს სააკაშვილის საქმეში პოლიტიკური დაკვეთის შესრულების თაობაზე. ზოგიერთი კომენტატორი შეიძლება უფრო შორს წავიდეს და იმ ინციდენტში სააკაშვილის და ძველი რეჟიმის სხვა მაღალჩინოსნების მომავალი შეწყალების ერთგვარი წინა სახე დაინახოს (თუ სასამართლო მათ დამნაშავედ სცნობს). გამოვა ერთ მშვენიერ დღეს მარგველაშვილი და იტყვის: „საკითხის სიფაქიზიდან გამომდინარე...“ და ა. შ. თუმცა მსგავსმა ვარაუდებმა შეიძლება ძალიან შორს წაგვიყვანოს. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის კონსტატაციით შემოვიფარგლოთ, რომ **ამ საქმეში პრეზიდენტმა განსაკუთრებული, „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან და ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა, რომელიც ყველაზე მეტად „ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევდა ხელს.**

ირაკლი ღარიბაშვილმა თავი შეიკავა პოლემიკაში შემდგომი ჩაღრმავებისგან და პასუხი პრეზიდენტს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნინო კობახიძემ გასცა. ამან მარგველაშვილის გულშემატკივრები გააცოფა, რადგან შედარებით დაბალი რანგის მოხელის გამოსვლაში პრეზიდენტის დამცირების კიდევ ერთი მცდელობა დაინახეს. ამის შემდეგ მედიასა და სოციალურ ქსელებს ემოციური დისკუსიების კიდევ ერთმა ტალღამ გადაუარა. მთლიანობაში ეს ძალიან ცუდად ჩანდა. საზოგადოება უშედეგოდ ეძებდა პასუხს კითხვაზე „რატომ ჭამენ ერთმანეთს?“ და ამ კითხვით, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, მაინც ბიძინა ივანიშვილს მიმართავდა, რომელმაც თავად შეარჩია როგორც პრემიერობის, ისე პრეზიდენტობის კანდიდატი და გადადგომის წინ (სავარაუდოდ) თამაშის ძირითადი წესები გააცნო.

## მეფის გამბიტი: ნაწილი მეორე

ბიძინა ივანიშვილი არ ერევა მიკრომენეჯმენტში და ხელისუფლების პირველ პირებს ყოველდღიურ ინსტრუქციებს არ აძლევს, მაგრამ, როდესაც მისი რჩეულები აშკარა შეცდომებს უშვებენ, ცდილობს, ვითარება გამოასწოროს. ასე მოხდა სახელმწიფო მოხელეების მაღალ ხელფასებთან და პრემიებთან დაკავშირებით: როდესაც საზოგადოების პროტესტმა პიკს მიაღწია, ივანიშვილმა გააკეთა მოკლე კომენტარი და უკმაყოფილება გამოხატა. ამის შემდეგ მთავრობამ პრაქტიკულად დაუყონებლივ წარმოუდგინა საზოგადოებას ახალი ნორმები, რომლებმაც ჩინოვნიკების გაუმაძღრობა ნაწილობრივ მაინც შეზღუდეს. ჩვენ, აგრეთვე, შეგვიძლია გავიხსენოთ პრეზიდენტის მრჩეველ ვანო მაჭავარიანთან დაკავშირებული ეპიზოდი. ივანიშვილმა განაცხადა, რომ იმედგაცრუებულია და მარგველაშვილი („სახის შენარჩუნებისთვის“ აუცილებელი პაუზის შემდეგ) მაჭავარიანს დაემშვიდო- ▶

---

მთავარი

# ილია მეორე: ჩვენში აუცილებლად მოხდება ფერისცვალება, მადლი, რომელიც შეცვლის ჩვენს ფიზიკურ და სულიერ ბუნებას!

**საქართველო დაეხმარება სხვა ერებსაც ფერისცვალებაში, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 19 აგვისტოს მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში, სადღესასწაულო წირვის შემდეგ.**

„დღეს ჩვენ ვფიქრობთ იმის შესახებ, როდის მოხდება ფერისცვალება საქართველოში და დაწყებულია თუ არა ეს ფერისცვალება? მრავალი განსაცდელის წინაშე დგას კაცობრიობა, კაცობრიობა თანდათან კარგავს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, საქართველო კი პირიქით — ძლიერდება ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიაში. ის წინასწარმეტყველება, რომ საქართველო გაბრწყინდება, ეს პროცესი, ეს ფერისცვალება, ეს გაბრწყინება დაწყებულია. ჩვენ ვმადლობთ უფალს, ამ დიდი წყალობისთვის. ჩვენში აუცილებლად მოხდება ფერისცვალება, მადლი, რომელიც შეცვლის ჩვენს ფიზიკურ და სულიერ ბუნებას. საქართველო დაეხმარება სხვა ერებსაც ამ ფერისცვალებაში. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და ღმერთმა ინებოს წყალობა, მშვიდობა, სიყვარული და სიხარული გაძლიერდეს ჩვენში“, — ბრძანა უწმინდესმა ქადაგებისას.



პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მარგველაშვილისა და ღარიბაშვილის დაპირისპირება საჯაროა. „ქართული ოცნების" შიგნით და ივანიშვილის ახლო გარემოცვაში უმწვავესი კონკურენცია მიმდინარეობს, მაგრამ მის შესახებ საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცის.

◀ბა. დღეს კი ივანიშვილი დუმს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფავორიტები აწყობენ საჯარო სკანდალებს კომუნალური სამზარეულოს სტილში და ამით ამცირებენ როგორც „ქართული ოცნების" (შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილის) ავტორიტეტს, ისე მოსახლეობის ნდობას შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

ბიზნესსა და პოლიტიკაში ხელმძღვანელები ხშირად არ კრძალავენ, მეტიც, ხელს უწყობენ ხელქვეითების გააფთრებულ კონკურენციას, რადგან გონივრულ ჩარჩოებში მან შეიძლება განვითარება-წინსვლის საქმეში დადებითი როლი შეასრულოს. მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი — **მარგველაშვილისა და ღარიბაშვილის დაპირისპირება საჯაროა. „ქართული ოცნების" შიგნით და ივანიშვილის ახლო გარემოცვაში უმწვავესი კონკურენცია მიმდინარეობს, მაგრამ მის შესახებ საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცის.** აქ კი ყველაფერი თითქოს თეატრის სცენაზე (თუ ცირკის არენაზე) ყველას დასანახად ხდება. გამორიცხული არაა, რომ სწორედ ეს სიტყვები — „ყველას დასანახად" ამ რებუსის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს.

აქ, ალბათ, ორიოდე სიტყვით, „ნაციონალური მოძრაობის" დღევანდელი მდგომარეობა უნდა აღვწეროთ. მისი მხარდამჭერების ბირთვი და პროპაგანდისტული მანქანის მნიშვნელოვანი ნაწილი შენარჩუნებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის თანდათან სუსტდება. პარტიის „შავი სალარო" ულევი ნამდვილად არ არის და, რაც მთავარია, **„ნაცმოძრაობის" წინააღმდეგ მუშაობს უპერსპექტივობის განცდა, რომელიც მისი მხარდამჭერების რიგებში ვრცელდება. არჩევნების შედეგები და სოციოლოგიური მონაცემები ნათლად ადასტურებს, რომ ხელისუფლებაში დაბრუნება პრაქტიკულად გამორიცხულია.** შესაბამისად, წარმოდგენილია პოლიტიკოსებისა და ამომრჩევლების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც რევანშის იმედით და „ქართული ოცნების" სიძულვილით სულდგმულობს, ქვეყნის სტაბილურობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რა არჩევანს გააკეთებენ ისინი მომავალში.

საკაშვილის ზოგიერთი ოპონენტი ოცნებობს იმ დღეზე, როდესაც „ნაციონალები" „მაიდანზე" გამოსვლას გაბედავენ, რადგან ეს მათთან საბოლოო ანგარიშსწორების შესაძლებლობას მისცემს. მაგრამ ეს ემოციური მიდგომა, ალბათ, მაინც ანტისახელმწიფოებრივია. მიუხედავად იმისა, რომ ჰიპოთეტური პუტჩი, 99%-იანი ალბათობით, „ნაცების" სრული კრახით დასრულდება, ის ქვეყანასაც დააზარალებს. ამიტომ გაცილებით გონივრული ჩანს თერაპიული მეთოდების გამოყენება, კერძოდ კი „ნაციონალების" ენერგიისთვის უსაფრთხო კალაპოტის გაჭრა. მერე რა, რომ ეს ცრუ იმედი და არსებითად მართვადი ილუზია იქნება; მერე რა, რომ ამ ილუზიას მარგველაშვილი ერქმევა?!

პოლიტიკაში მოსვლის წინ ბიძინა ივანიშვილმა კარგად შეისწავლა სააკაშვილის და მისი თანაპარტიელების ფსიქოლოგია, რომლის „საფირმო ნიშანია" სასურველის გასაღება რეალურად და კრიტიკული აზროვნების დაქვემდებარება ემოციური აღტკინების მიმართ. თუ „ნაციონალები" დაიჯერებენ, რომ მარგველაშვილისა და ღარიბაშვილის კონფლიქტი სავსებით რეალურია (დაპირისპირების საჯარო, დემონსტრაციული ხასიათი ამისთვის აუცილებელი წინაპირობაა) და მათ შეუძლიათ პრეზიდენტი თავის მოკავშირედ თუ მარიონეტად გადააქციონ, მომავალს ამ მოედანზე თამაშს (და, შესაძლოა, ალასანია-რესპულიკელების ჰიპოთეტურ „ჯანყს") დაუკავშირებენ და არა „მაიდნის" მოწყობის განწირულ გეგმებს და სხვა მსგავს სისულელეებს.

მარგველაშვილი (ისევე, როგორც ალასანია) სუსტი პოლიტიკოსია, რომელსაც დამოუკიდებლად მოქმედება არ შეუძლია, მაგრამ მას ნამდვილად ძალუძს უიმედო, დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ „ნაციონალებს" იმედი მისცეს, როგორც ეს „საიდუმლო ხარჯებთან" დაკავშირებულ ეპიზოდში გააკეთა. სავარაუდოდ, სწორედ აქ გამოვა წინა პლანზე ფსიქოლოგიური ასპექტი, მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკა უკარნახებთ, რომ არაგონივრულია საკუთარი გეგმების დაკავშირება ადამიანთან, რომლის კარიერა ივანიშვილმა შეიძლება ხუთ წუთში დაასრულოს, აღგზნებული წარმოსახვა საპირისპირო სურათს დაუხატავს — მოახლოებულ კრიზისს „ოცნებაში", „პროდასავლური" ძალების ერთობლივ ბუნტს ივანიშვილის წინააღმდეგ და ბოლოს — ტრიუმფალურ დაბრუნებას ხელისუფლებაში. თვალი გადავავლოთ სოციალურ ქსელებს — სწორედ ამ მიმართულებით მიდიან.

დესტრუქციული ილუზიების ჩანაცვლება ცრუ იმედებით, პრინციპში, საინტერესო კომბინაციაა. თუ საჭადრაკო ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, ეს, ალბათ, მაინც გამბიტია. იწირება პაიკი — „ოცნების" და ივანიშვილის ავტორიტეტის ნაწილი, რომელიც პრეზიდენტისა და პრემიერის კონფლიქტის გამო მცირდება, სამაგიეროდ, მოწინააღმდეგე ხვდება იმ მდგომარეობაში, როდესაც მისი ყველა მომდევნო სვლა იძულებითი, წინასწარ განსაზღვრული ხდება და თანდათან პოზიციას აუარესებს. ცხადია, ყოველივე თქმული მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ სივრცე მსგავსი მანევრისთვის ნამდვილად არის.




**«ნაცმოძრაობის» წინააღმდეგ მუშაობს უპერსპექტივობის განცდა, რომელიც მისი მხარდამჭერების რიგებში ვრცელდება. არჩევნების შედეგები და სოციოლოგიური მონაცემები ნათლად ადასტურებს, რომ ხელისუფლებაში მათი დაბრუნება პრაქტიკულად გამორიცხულია**

## თბილისი-ჰამელნი-თბილისი

სააკაშვილის რეჟიმის რადიკალურ მოწინააღმდეგეებს სურთ, რომ „ნაციონალების" იზოლაცია გაგრძელდეს მანამ, სანამ სრულად არ გაქრებიან. მაგრამ აქ, ალბათ, ყურადღება ერთ ბანალურ ჭეშმარიტებას უნდა მივაქციოთ: არც ბუნებაში, არც პოლიტიკაში უკვალოდ არაფერი ქრება. **ალყამ, „ნაცმოძრაობის" სრული იზოლირებით, როგორც პოლიტიკური ბრძოლის მეთოდმა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სამნაწილიანი საარჩევნო მარათონის დროს, მაგრამ ამ ეტაპზე, სავარაუდოდ, თავი ამოწურა.** ახლა, შესაძლოა, გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ე.წ. ბირთვი ციხესიმაგრიდან გამოვიდეს და მანევრირება სცადოს, რადგან ასე მისი ნაწილებად დაშლა და დამარცხება გაცილებით იოლი იქნება.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ერთი გარემოების გააზრება: დამნაშავე მაღალჩინოსნების გასამართლების მოთხოვნა სავსებით ლოგიკური და სამართლიანია, მაგრამ მათ გარდა არსებობენ სხვა „ნაციონალებიც", რომელთაც ხელები სისხლში გასვრილი არ აქვთ და მძიმე დანაშაული არ ჩაუდენიათ. მათთვის პოლიტიკაში მონაწილეობის აკრძალვა, ერთგვარ „პოლიტიკურ გეტოში" მოქცევა არადემოკრატიულია. ალბათ, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, იმედები მარგველაშვილს (ან, მაგალითად, ალასანიას) დაუკავშირონ და ამით (ეს ყველაზე მნიშვნელოვანია) თანდათან დაშორდნენ რევანშის კაცთმოძულე იდეოლოგიას, რომელსაც „ნაცლიდერები" მათ რიგებში ნერგავენ. მოგვიანებით მარგველაშვილმა შეიძლება მათ იგივე დამართოს, რაც ერთმა ფლეიტაზე დამკვრელმა ქალაქ ჰამელნის ვირთხებს დამართა, თუმცა ეს უკვე სხვა ეტაპია. მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, ამ ეტაპზე „ნაციონალებმა" რაღაც პერსპექტივა უნდა დაინახონ. ამ პერიოდმა და დაახლოებამ მმართველი კოალიციის „პროდასავლურ" ფრთასთან მათთვის შეიძლება ერთგვარი „საფილტრაციო ბანაკის" როლი შეასრულოს და ნორმალურ პოლიტიკურ პროცესში ინტეგრაციის შესაძლებლობა მისცეს არა ძველი „ნაცმოძრაობის", არამედ ახალი ჯგუფების შემადგენლობაში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — თუ საქართველოში ფართოდ დამკვიდრდება მოსაზრება მარგველაშვილის (და კოალიციის ზოგიერთი სხვა ლიდერის) სიღრმისეულ „ოპოზიციურობაზე", უცხოელი პარტნიორებიც თანდათან ამ მოდელის ფარგლებში ოპერირებაზე გადავლენ. ეს კი გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე მათი მცდელობები, ოპოზიციური ბანაკის ფორმატირება თავად მოახდინონ (ასეთ, ჯერ-ჯერობით გაუბედავ მცდელობებს ადგილი ნამდვილად აქვს).

კიდევ ერთხელ: **ივანიშვილს შეუძლია ხუთ წუთში ბოლო მოუღოს პრემიერისა და პრეზიდენტის დაპირისპირებას; ყოველ შემთხვევაში, — მათ საჯარო კინკლაობას (და სხვათა შორის, თითოეული მათგანის კარიერას), მაგრამ ამას არ აკეთებს და, ალბათ, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ შექმნილ სიტუაციაში გარკვეულ პოლიტიკურ რესურსს ხედავს.**

**დიმიტრი მონიავა**

**სააკაშვილის ზოგიერთი ოპონენტი ოცნებობს იმ დღეზე, როდესაც «ნაციონალები» «მაიდანზე» გამოსვლას გაბედავენ, რადგან ეს მათთან საბოლოო ანგარიშსწორების შესაძლებლობას მისცემს**



## გუბერნატორს, რომელმაც ობამასთან შეხვედრაზე უარი განაცხადა, ბრალდება წაუყენეს

**ტეხასის შტატის გუბერნატორს — რიკ პერის, რომელმაც უარი განაცხადა პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრაზე, 15 აგვიტოს ოფიციალურად წაუყენეს ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და თანამდებობის პირზე ზემოქმედების შესახებ.**

ტეხასის პროკურატურის წარმომადგენელთა განცხადებით, რიკ პერი, რომელსაც პოლიტოლოგები აშშ-ის 2016 წლის საპრეზიენტო არჩევნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კანდიდატად (რესპუბლიკური პარტიიდან) მიიჩნევენ, ცდილობდა, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერი, საოლქო პროკურორი როზმარი ლემბერგი.

მცდელობა კი გამოიხატებოდა იმაში, რომ მას შემდეგ, რაც ლემბერგი შემჩნეული იქნა არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვაში, გუბერნატორი პროკურატურის ანტიკორუფციულ განყოფილებას, რომელსაც ლემბერგი ხელმძღვანელობს, დაფინანსების (7,5 მილიონი დოლარი) შეწყვეტით დაემუქრა. რიკ პერის წარმომადგენლები უარყოფენ ბრალდებას და აღნიშნავენ, რომ ლემბერგის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურისთვის დაფინანსების შეწყვეტა არ სცდება გუბერნატორის უფლებამოსილების სფეროს, ამიტომ სასამართლო პროცესს გუბერნატორი მოიგებს.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში პერი პირველი გუბერნატორია, რომელსაც ბრალდება წაუყენეს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დამნაშავედ ცნობს გუბერნატორს, მას 5-დან 99 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის ივნისის დასაწყისში ტეხასის გუბერნატორმა უარი განაცხადა აეროპორტში ობამას დახვედრაზე.

მოკლედ

## პირადობის ახალი მოწმობის აღება ერთი თვის განმავლობაში 15 ლარი ეღირება

**იუსტიციის მინისტრის ინიციატივით გამოცხადებული აქციის ფარგლებში, 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე პირადობის ახალი მოწმობის აღება ,34 ლარის ნაცვლად, 15 ლარი ეღირება.**

აქციის პირობების თანახმად, პირადობის ახალი მოწმობის მიღების მსურველები პირადობის დამადასტურებელ ახალ დოკუმენტს 15 ლარად 10 დღის ვადაში მიიღებენ და გათავისუფლდებიან ფოტოსურათის გადაღების 3 ლარის გადასახადისგანაც. დაჩქარებული მომსახურების მიღების მსურველებს კი, 15 ლართან ერთად, მხოლოდ დაჩქარების ღირებულების გადახდა მოუწევთ.

აქციით სარგებლობის საშუალება ექნებათ ნებისმიერი ასაკის მოქალაქეებს. აქციაში ჩართვა შეუძლიათ იმათაც, ვინც მისამართის გარეშე არიან რეგისტრირებულნი. პირადობის ახალი მოწმობის მისაღებად მოქალაქეებმა იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს უნდა მიმართონ.

ელექტრონულ პირადობის მოწმობას უკვე 1 200 000 ადამიანი ფლობს.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, ამერიკისთვის სააკაშვილი „ჩვენი ძაღლიშვილი“ რომ არ ყოფილიყო, საქართველოს, როგორც ომის დამწყებ ქვეყანას, იცით, რას უზამდნენ? მშვიდობიანი ხალხის დახოცვა გენოციდია, ხალხო! ვიდრე ქართველი ერი დანაშაულს არ აღიარებს და დასასჯელის დასჯას არ მოითხოვს, ყოველთვის იდაყვზე გაუხდება საკბენი.**



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# კეზერაშვილი არ გადმოგვცა და სააკაშვილს გადმოგვცემს დასავლეთი?

**რამდენიმე დღის წინათ, დიდი სჯა-ბაასისა და პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის „ხელის გადაგრეხვის“ შემდეგ, მთავრობამ ექსპრეზიდენტ სააკაშვილს კიდევ ერთი ბრალდება წაუყენა — სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა. ამ დანაშაულის დამადასტურებელ დოკუმენტაციას გრიფს „საიდუმლოდ“ ერთი თვის განმავლობაში არ ხსნიდა პრეზიდენტი მარგველაშვილი...
საპრეზიდენტო არჩევნების წინ პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა, პრეზიდენტის თანამდებობა ერთი ადამიანისა და მისი გარემოცვის კომფორტულად ცხოვრების გამო ბუტაფორიად აქციესო. მან კიდევ ბევრი საინტერესო რამ განაცხადა, რაც საქართველოს აუხდა.
ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**



**«კიდევ ერთხელ დავეთანხმები ალექსანდრე ჭაჭიას და ვიტყვი, რომ პრეზიდენტი მაღალი რანგის უსაქმურია. ის ხაპავს თავისას და ზის თბილად თავის გარემოცვასთან ერთად, ხაპავს თავისას და არაფერი ადარდებს. მთავრობაც ხაპავს და ხანდახან ახსენებს ხალხს იმისთვის, რომ თვალში ნაცარი შეაყაროს»**

**— ბატონო ჰამლეტ, სააკაშვილს ბრალდება რამდენიმე მუხლით წაუყენეს და ერთ-ერთი ბრალდება არის ის, რომ ბიუჯეტის ფულით ქიშმირის პალტო და პიჯაკები იყიდა. არადა, ყოფილი პრეზიდენტის სახელი ყველა ქართველისთვის 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებასთან, საკუთარი ხალხისთვის გენოციდის მოწყობასა და პატიმრების ცოცხებით გაუპატიურებასთან ასოცირდება...**

— ვიდრე მიშაზე დავიწყებ საუბარს, ორიოდე სიტყვით დღეს არსებულ ვითარებას შევეხები. ვფიქრობ, ხალხი ხელკეტებით უნდა გამოვიდეს და ხელისუფლება გარეკოს.

**— ამას რატომ ამბობთ ან ვისი მისამართით?**

— ჯანდაცვის მინისტრის მისამართით, რომელიც ჩემს ჯანმრთელობაზე „ფიქრობს და ზრუნავს“. **დავით სერგეენკოს, მინდა, ვუთხრა, რომ ჩემს ჯანმრთელობას ვნებს პენსია 150 ლარი; ვნებს ის, რომ საავადმყოფოში სანიტარს ხელფასი 120 ლარი აქვს; ქალაქის ქუჩები სავსეა ნაგვით და არვინ დაიწყოს იმის მტკიცება, რომ ნაგავი გააქვთ; ჩემს ჯანმრთელობას ვნებს ის, რომ ყველგან რიგში დგომა მიწევს და ახლა უკვე, ჯანდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, კუჭი რომ ამეშლება, ნახევარი დღე ექიმის ლოდინში უნდა გავატარო, წამლის რეცეპტი რომ გამომიწეროს...**

**— სერგეენკო ერთ-ერთი წარმატებული მინისტრია.**

— არ გამოდგა წარმატებული ან საიდან უნდა იყოს, ის ხომ გარეთ არ გამოსულა?! **სერგეენკო წლების განმავლობაში ივანიშვილის შვილებს ოჯნას უკეთებდა...**

ბევრს ვსაუბრობთ სააკაშვილზე და სასაუბროც ნამდვილად არის, მაგრამ ამათ რა გააკეთეს? შესაძლებელია, ჯერ იმდენი არ აქვთ მოპარული, რამდენიც სააკაშვილს, მაგრამ **ესენი ოფიციალურად იპარავენ. თავდაცვის მინისტრმა საკუთარ თავს გამოუწერა პრემია 83 ათასი ლარი. ეს ქურდობა არ არის? ნებისმიერი პარლამენტარი ქურდი არ არის? მაშინ, როდესაც ქვეყანაში ხელფასი ზოგიერთს 120 ლარი აქვს, რატომ უნდა ჩადოს თავისი გვამი 150-ათასიან ჯიპში ირინა იმერლიშვილმა, ქალმა, რომელსაც ფუნქცია აღარ გააჩნია.**

დანგრეული ქვეყნის მმართველები არიან, „ზაპოროჟეცის“ გარდა, მანქანა არ ეკუთვნით.

ახლა მიხეილ სააკაშვილზე გადავიდეთ. სააკაშვილის დაჭერა არავის უნდა, მით უმეტეს, მისი საქართველოსთვის გადმოცემა... **დავით კეზერაშვილი არ გადმოგვცა და სააკაშვილს გადმოგვცემს დასავლეთი.**

სააკაშვილზე გამოცხადებული არ არის ინტერპოლით ძებნა, რომც იყოს, მერე რა? **ის, რასაც წლების განმავლობაში სააკაშვილი აკეთებდა, აშშ-ის ელჩებმა მშვენივრად იცოდნენ, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. მათი პირდაპირი დავალება იყო, საზოგადოება გარყვნილიყო, ამისთვის საუკეთესო კანდიდატი სააკაშვილი გახლდათ, ის ბუნებით ისედაც გარყვნილი და „გადაქანებულია“.**

**მიშას პირველი და უდიდესი დანაშაულია ის, რომ 40 წელს გადაცილებულ ადამიანებს კონსტიტუციით აუკრძალა მუშაობა და მშიერი დატოვა, ბევრი დაიღუპა. სააკაშვილმა საკუთარი ხალხის გენოციდი მოუწყო.**

2008 წლის აგვისტო ცალკე თემაა, რადგან უმნიშვნელოვანეს დასკვნაში ეწერა, რომ ომი საქართველომ დაიწყო, რაც უკვე დანაშაულია, ამას დიდი ძიება აღარ სჭირდება. რა მოჰყვა ამ დანაშაულს? გაიჟლიტა მშვიდობიანი მოსახლეობა, დაიკარგა ტერიტორიის 20%, თანაც სამარადისოდ. როგორ მოიქცა ქართველი საზოგადოება? **იმის ნაცვლად, რომ ბანდიტი ხელისუფლება ქვებით, თოხებითა და ჩანგლებით ჩაექოლა, როგორც ბაქრაძე იტყოდა, დაიწყეს რუსეთის ლანძღვა და ბღავილი: „მიშა“, „სარკო“. გრანდიოზული კონცერტი მოაწყვეს „ინტელიგენციის“ წარმომადგენლება მაშინ, როცა ომში დაღუპულები გადმოსვენებულები არ იყვნენ. საზოგადოებამ ვერ აღიქვა ის, რომ სწორედ საკუთარი ხელისუფლებაა მისი პირველი მტერი, რომ ჩვენი ყველა უბედურების სათავე სწორედ ესენი იყვნენ და არა რუსები, რომლებიც საქართველოსკენ საერთოდ არ გამოიხედავდნენ, სააკაშვილს ომი რომ არ დაეწყო.**

დღევანდელ ხელისუფლებას უნდა შეეგროვებინა დოკუმენტები და პირდაპირ ჰააგის სასამართლოში შეეტანა. აი, მაშინ იქნებოდა სარწმუნო, რომ მათ სააკაშვილის დაპატიმრება და დასჯა ნამდვილად სურთ. ესენი ყოფილ პრეზიდენტს ვერ გაასამართლებენ. საქმე ის არის, რომ სააკაშვილთან ერთად ქართველი ხალხიც დამნაშავეა, რადგან რეალობა დროულად და სათანადოდ ვერ შეაფასა.

ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, ამერიკისთვის სააკაშვილი „ჩვენი ძაღლიშვილი“ რომ არ ყოფილიყო, საქართველოს, როგორც ომის დამწყებ ქვეყანას, იცით, რას უზამდნენ? მშვიდობიანი ხალხის დახოცვა გენოციდია, ხალხო! ვიდრე ქართველი ერი დანაშაულს არ აღიარებს და დასასჯელის დასჯას არ მოითხოვს, ყოველთვის „იდაყვზე გაუხდება საკბენი“.

**— სააკაშვილს კონტრაბანდული იარაღით ვაჭრობაშიც ადანაშაულებენ. მისი თანხმობით, იარაღს უკრაინაში ყიდულობდნენ, საქართველოში ჩამოჰქონდათ და აქედან სირიაში გაჰქონდათ. ამ ინფორმაციით ჰილარი კლინტონიც დაინტერესდა. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები რომ შეეგროვებინათ სააკაშვილის დაპატიმრება და ექტრადიცია, ალბათ, არ გაჭირდებოდა, თანაც, იარაღს სავარაუდოდ, სირიაში ამბოხებულებზე ყიდდნენ.**

— ამბოხებულებს რომ ამბობთ, ფიქრობთ, ამერიკის ნების წინააღმდეგ მიდიოდა? არ დაიჯეროთ! ამერიკაში პოლიტიკოსების რამდენიმე ჯგუფია, რომლებიც ერთმანეთს ჭამენ. ჩვენდა საუბედუროდ, სააკაშვილს ურთიერთობა გავლენიან ჯგუფებთან ჰქონდა და, რასაც აკეთებდა, ამერიკელთა დაკვეთა იყო. ამბოხებულების, ანუ „ალ ქაიდას“ შეიარაღება ამერიკის ინტერესებში იყო, ამას აკეთებდნენ ნატოს წევრი ქვეყნებიც. ასე რომ, **ყველა დანაშაული, რომლებიც კი სააკაშვილს ჩაუდენია, აშშ-ის ხელდასხმით ხდებოდა. ეს თუ ასე არ არის და ამერიკა სააკაშვილს აფრთხილებდა, თითს უქნევდა და ეს მაინც თავისას აკეთებდა, მაშინ საქართველო ყოფილა ზესახელმწიფო. თუ ჩვენი მტერი იყო სააკაშვილი, ათჯერ მეტი მტერი დასავლეთია — აი, ამის გაგება არ სურს ხალხს.**

ამას წინათ გოკა გაბაშვილი გამოვიდა ტელევიზიით და ილაპარაკა, ბიუჯეტი გადაჭარბებული გვქონდა და პრეზიდენტი თავს ხარჯვის უფლებას ამიტომ აძლევდაო. ასეთი რამ დასაშვები რომ იყოს, მაშინ ჩინეთის მმართველმა რა უნდა ქნას — ბოზებით კოსმოსში იფრინოს? ასე აზროვნება არ შეიძლება.

**— ბატონო ჰამლეტ, ახალ პრეზიდენტზეც ვილაპარაკოთ. ალექსანდრე ჭაჭიამ ზუსტი პროგნოზი გააკეთა, როცა თქვა: „ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოსახლეობის კისერზე დასვას მაღალი რანგის უსაქმური, რომელიც დახვდება უცხოელ სტუმრებს, ხელს მოაწერს მთავრობის მიერ მომზადებულ ქაღალდებს და პერიოდულად ტელევიზორის ეკრანიდან მოგვიყვება, როგორ ძლიერ, დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს ეს ხელისუფლება“. ფაქტია, რომ ასეა. რატომ არ გვიმართლებს პრეზიდენტებში?**

— მართალია ალექსანდრე ჭაჭია. მარგველაშვილმა თბილი ბუნაგი მოირგო და ხანდახან წამოიკნავლებს ხოლმე, თავისი არსებობა რომ გაამართლოს. მარგველაშვილი რომ შეუფერებელი იყო თუნდაც განათლების მინისტრობისთვის, ამის მიხვედრას დიდი ფილოსოფოსობა არ სჭირდება. **ადამიანს რომ შეხედავ, ხომ უნდა მიხვდე, ვინ არის? რა, ძნელი მისახვედრი იყო, რას წარმოადგენდა მარგველაშვილი? ის ყველანაირად აუწყობელია, პირველ რიგში, ფსიქიკა აქვს აუწყობელი და ასეთი ადამიანი დანიშნეს ჯერ განათლების მინისტრად და შემდეგ ხალხი აიძულეს, პრეზიდენტად აერჩიათ, თანაც, ძალიან მალე სანანებელი გაუხდათ. ივანიშვილმა აირჩია მარგველაშვილი, ივანიშვილის რა ვუთხარი და სააკაშვილ-მარგველაშვილსაც.**

**ივანიშვილი ხალხმა ხატად გაიხადა და, რაც დაგვემართა, ვხედავთ, მან მოგვიყვანა მარგველაშვილი, რომელიც დანაშაულს დანაშაულზე სჩადის. მარგველაშვილმა ისე მოსპო პრეზიდენტობის ინსტიტუტი, ხვალ მისი აღდგენა რომ დაგვჭირდეს, ვერაფრით აღვადგენთ.** საქმე ის კი არ არის, რომ დღეს დაკოდილი პრეზიდენტი გვყავს, არა, საქმე ის არის, ხვალ რა გვეშველება. **ხალხი უკვე მიეჩვია, რომ პრეზიდენტი ცარიელი ადგილია.**

კიდევ ერთხელ დავეთანხმები ალექსანდრე ჭაჭიას და ვიტყვი, რომ პრეზიდენტი მაღალი რანგის უსაქმურია, ის ზის თბილად თავის გარემოცვასთან ერთად, ხაპავს თავისას და არაფერი ადარდებს; მთავრობაც ხაპავს და ხანდახან ახსენებს ხალხს იმისთვის, რომ თვალში ნაცარი შეაყაროს.

ყველაფერი, რაც ხდება, გათვლილია ბრიყვ საზოგადოებაზე და შევთანხმდეთ, რომ ეს საზოგადოება ბრიყვია. მათ თვალი თქვენ, ჟურნალისტებმა, უნდა აუხილოთ, რადგან ყველა პოლიტოლოგი ნაყიდი ჰყავთ.

სააკაშვილი თუ არ დაისაჯა, მის დანაშაულებს ისევ გაიმეორებენ... ხომ ხედავთ, რას ითხოვენ აფხაზები და ოსები: მათ სურთ, რომ თბილისმა ხელი მოაწეროს თავდაუსხმელობის აქტს, მათ საქართველოს მთავრობის ნდობა აღარ აქვთ.

ნდობა არც ჩვენ აღარ გვაქვს. დღეს საზოგადოების ყურადღების გადასატანად სჭირდებათ, რომ ადამიანებმა არ იფიქრონ დაბალ ხელფასზე, რომ „ნიმესილი“ ურეცეპტოდ არ გაიცემა, რომ კუჭი ცარიელი აქვთ... ამ ყველაფრის გასანეიტრალებლად, მტერი მიშა სააკაშვილი რომ უნდა დაისაჯოს, კარგი თემაა. **თუ მიშას თემამ ვერ გაქაჩა, მარგველაშვილის თემა გაქაჩავს და ა. შ. სულ ეს არის, დაწყებული საქმიდან ამაზე მეტი არაფერი გამოვა, თუმცა იდეაში არც არაფერი იყო.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ალბათ, ყველამ ერთად უნდა ვთხოვოთ ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, სად აღმოჩნდება საბოლოოდ სააკაშვილი, საკანში თუ ნაქირავებ ბინაში სადღაც ოკეანს გაღმა, გადაუგზავნოს მას ქალბატონ მერედიტ ოსტრომის მკერდით შესრულებული ნახატი. სახელმწიფოს ამით არაფერი დააკლდება, ფიგურანტს კი შესაძლებლობა მიეცემა, საღამოობით შეხედოს მას და დაფიქრდეს იმაზე, თუ რატომ უარყო საქართველომ მისი რეჟიმი.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ ეპილირებული და დოროთეას ნაკბენი

**დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, მიხეილ ეპილირებული... შესანიშნავი დასაწყისი და უაღრესად სევდიანი ფინალი. მთავარმა პროკურატურამ გამოაქვეყნა მონაცემები სახელმწიფოს კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვის თაობაზე, საიდანაც გაირკვა, რომ 2009-2012 წლებში მიხეილ სააკაშვილის კოსმეტიკურ პროცედურებზე 399 495 ლარი დაიხარჯა. მათ შორის ეპილაციაზე, მაგრამ არა მხოლოდ ეპილაციაზე, როგორც შეცდომებით ჩათვალა ზოგიერთმა კომენტატორმა და, შესაბამისად, გაოგნდა, რადგან ეს თანხა არათუ საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის ცხვრების გაპარსვას ეყოფოდა.**

საქართველოს კანონმდებლობა მამაკაცებს ეპილაციის გაკეთებას არ უკრძალავს და, პრინციპში, არც საბალეტო კაბით სიარულს უშლის, ვიდრე ეს საზოგადოებრივ მორალთან აშკარა და გადაულახავ წინააღმდეგობაში არ შევა. მაგრამ, როდესაც ეპილაცია ბიუჯეტიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გასაიდუმლოებული ხარჯების მეშვეობით ფინანსდება, როგორც პროკურატურას, ისე საზოგადოებას, სავსებით ბუნებრივად შეიძლება რამდენიმე კითხვა გაუჩნდეს. აქ მნიშვნელოვანია ერთი ნიუანსის დაფიქსირება — **ამ ხარჯების პარალელურად ხდებოდა სააკაშვილის წარმომადგენლობითი ხარჯების დაფარვა პრეზიდენტის ადმინისტრაციის და სსიპ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ განკარგულებაში არსებული თანხებიდან,** დაცვის სამსახურს კი უკავშირდება სწორედ ის ხარჯები, რომელთა კანონიერებამ და მიზანშეწონილობამ შეიძლება სერიოზული ეჭვი გამოიწვიოს. მაგალითად, **თბილისის ყოფილი მერის — გიგი უგულავას სასტუმროს მომსახურებასა და სამკურნალო-გასახდომი პროცედურებისთვის ქალაქ ინსბრუკში გადახდილია 26 388 ლარი. ფხუკეტში მიხეილ სააკაშვილის, დავით ბაქრაძისა და ლევან ვარშალომიძის ორდღიანი სტუმრობა 127 858 ლარი დაჯდა. დიდ ბრიტანეთში სააკაშვილმა 49 499 ლარის ტანსაცმელი შეიძინა, იქვე 15 989 ლარად იყიდა ნივთი, რომელიც პროკურატურამ აღწერა, როგორც „მკერდითმხატვარ მერედიტ ოსტრომის მიერ შესრულებული ნახატი“** (ამაზე ოდნავ ქვემოთ) და ა. შ. ასე რომ, მხოლოდ ეპილაციაზე როდი ვსაუბრობთ.

პროკურატურის ვერსიას თუ დავეყრდნობით, სააკაშვილი ქალმა დაღუპა. მასაჟისტი დოროთი შტეინი, იგივე „დოქტორი დოტი“ (ერთ ცნობილ ფილმში რომ იტყოდნენ: „ონა ჟე დორა ობლიგაცია, ონა ჟე ზოლოტაია რუჩკა“; დაახლოებით ასე იყო, ზუსტი ციტატა არ მახსოვს) თაყვანისმცემლების ვიწრო წრეში ცნობილია, როგორც კბენის დიდოსტატი, ანუ კბენა მის მიერ შესრულებული მასაჟის ორგანულ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. 2009 წლის თებერვალში სააკაშვილმა ის საქართველოში მოიწვია. აგვისტოს ომი ახალი დასრულებული იყო, ქვეყანა შოკური მდგომარეობიდან ვერ გამოდიოდა, ლტოლვილებს უკიდურესად უჭირდათ, ჯარი მძიმე ჭრილობებს იშუშებდა. და ამ დროს უცხოეთიდან ჩამოჰყავთ ქალი, რომელმაც მთავარსარდალი უნდა დაკბინოს. კი, ბატონო, შემოვიფარგლოთ კორექტული ფორმულირებით — „მასაჟი უნდა გაუკეთოს“, მაგრამ არსებითად ეს არაფერს შეცვლის, კოშმარი კოშმარადვე დარჩება. შესაბამისი პროცედურების ჩატარების შემდეგ ქალბატონმა დორამ (დოტიმ, დოროთიმ — რად უნდა ამდენი სათაური) საქართველო დატოვა და მალევე თავის ბლოგში გამოაქვეყნა ინფორმაცია ამ ვიზიტის შესახებ და სააკაშვილთან ერთად გადაღებული ფოტოები დაურთო. ამას საქართველოში ძალზე სერიოზული სკანდალი მოჰყვა და სწორედ აქედან, პროკურატურის ვერსიით, იწყება მოვლენების საბედისწერო მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულის სტატუსამდე მიიყვანა.

ვიდრე არსებით განხილვაზე გადავალთ, ალბათ, ერთი მარტივი კითხვა უნდა დავსვათ: **მიშა, არასოდეს გიფიქრია, რომ ამ გოგონასთან სპეცსამსახურებმა წაიმუშავეს? თანაც, შესაძლოა, იმ ქვეყნის სპეცსამსახურებმა, რომელზეც არასოდეს იფიქრებდი. შენ კი წამოეგე ყველაზე პრიმიტიულ პროვოკაციას, როგორც უკანასკნელი არიფი...** მაგრამ ვარაუდებს თავი დავანებოთ, მითუმეტეს, რომ ირგვლივ ამდენი დოკუმენტირებული ფაქტია.

ამ სკანდალის შემდეგ სააკაშვილი მოიქცა ისე უცნაურად და წინდაუხედავად, თითქოსდა არა მომხიბვლელმა დოროთეამ, არამედ ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა. პროკურატურის მტკიცებით, „პრეზიდენტის ხარჯების შესახებ მსგავსი ინფორმაციის საზოგადოებაში გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, **2009 წლის აპრილში მიხეილ სააკაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, პირადი მიზნებისთვის საჭირო თანხების გასაიდუმლოებული ფორმით ხარჯვის თაობაზე. მაშინ, როდესაც მანამდე პრეზიდენტის ხარჯები იყო საჯარო და იგი ფინანსდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ სახსრებით.** აღნიშნულიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილი ბიუჯეტიდან საჭირო თანხების მობილიზებას მოახდენდა მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, საიდანაც საიდუმლო რეჟიმში განხორციელდებოდა მიხეილ სააკაშვილის პირადი მიზნებისთვის განკუთვნილი ხარჯების დაფინანსება. დანაშაულებრივი გეგმის განხორციელება დაევალა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს — თეიმურაზ ჯანაშიას.

თეიმურაზ ჯანაშიას მეშვეობით, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მიხეილ სააკაშვილის მიერ პირადი მიზნებისთვის ბიუჯეტის კუთვნილი თანხების ხარჯვა შეინიღბა როგორც ფარული ხარჯები“.





**მასაჟისტი დოროთი შტეინი, იგივე «დოქტორი დოტი» თაყვანისმცემლების ვიწრო წრეში ცნობილია, როგორც კბენის დიდოსტატი, ანუ კბენა მის მიერ შესრულებული მასაჟის ორგანულ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. 2009 წლის თებერვალში სააკაშვილმა ის საქართველოში მოიწვია**

**გამორიცხული არაა, სააკაშვილი იმედოვნებდა, რომ ეს გასაიდუმლოებული დოკუმენტები საზოგადოებისთვის ცნობილი არასოდეს გახდებოდა, მაგრამ აქ საინტერესოა სხვა რამ — ჩამონათვალში არის ისეთი მცირე ხარჯებიც, რომელთა დაფარვა უპრობლემოდ საკუთარი ჯიბიდან შეეძლო, მაგრამ ფულს მაინც ბიუჯეტიდან იღებდა, იმ ქვეყნის ბიუჯეტიდან, რომელიც ბავშვთა სიკვდილიანობით ევროპაში პირველ ადგილზეა** (ხშირ შემთხვევაში მიზეზი არასაკმარისი კვებაა). ალბათ, არის ამ ისტორიაში რაღაც უაღრესად ამორალური და უკიდურესად ღორული.

სააკაშვილის ზოგიერთი მოწინააღმდეგე ამ ბრალდებებს სერიოზულად არ ეკიდება და პროკურატურას საყვედურობს: რა დროს ეპილაცია და მკერდით დახატული სურათებია, როდესაც რეჟიმმა ამდენი ადამიანი წამებით მოკლა, მიტინგები დაარბია, ტელეკომპანია „იმედში“ შეიჭრა და ა. შ. მაგრამ ისინი არ ითვალისწინებენ რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას. ჯერ ერთი — დასავლეთი, ტრადიციულად, ძალზე მგრძნობიარეა საბიუჯეტო თანხების უკანონო ხარჯვასთან დაკავშირებული ბრალდებების მიმართ, არაერთი ჩინოვნიკის კარიერა იქ გაცილებით მცირე გადაცდომის გამო დასრულდა. ამასთანავე, აქ ყველაფერი თავიდან ბოლომდე დოკუმენტირებულია, დაცვის სამსახურის ყოფილი თანამშრომლები არაფერს უარყოფენ. ამ საქმეზე სასამართლომ სააკაშვილი დამნაშავედ რომ სცნოს, მისი სტატუსი დასავლეთში შეიცვლება, მარტივად რომ ვთქვათ, მისი პოლიტიკური „წონა“ მკვეთრად შემცირდება, რაც გააიოლებს პროკურატურის შემდგომ მუშაობას გაცილებით მძიმე ეპიზოდებთან დაკავშირებით.

სახელმწიფოს კუთვნილი ფულის გაფლანგვა უმნიშვნელო დანაშაული სულაც არ არის, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში ამ საქმის განხილვა თავისი ეპილაციებითა და „მკერდითმხატვრობით“ ზიზღნარევი ხარხარის ფონზე მიმდინარეობს.

საინტერესო ფაქტი პერუს უახლესი ისტორიიდან: სანამ ყოფილ პრეზიდენტს — ალბერტო ფუხიმორის და „იქაურ მერაბიშვილს“ — ვლადიმირო მონტესინოსს 25-წლიან პატიმრობას მიუსჯიდნენ („სიკვდილის ესკადრონების“ ჩამოყალიბება, მკვლელობების ორგანიზება), ისინი „შედარებით მსუბუქი“ დანაშაულისთვის გაასამართლეს. ფუხიმორი — სამჯერ, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისთვის, კორუფციისთვის და უკანონო სატელეფონო მოსმენებისთვის და 6, 7,5 და ბოლოს ისევ 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ანუ საქმე ჯერ იმ ეპიზოდებზე მიდგა, რომლებიდანაც მტკიცებულებების მოპოვება შედარებით იოლი იყო. მაგალითად, 2007-ში ფუხიმორი დამნაშავედ სცნეს, რომ ხელქვეითს სანქციის გარეშე მონტესინოსის ცოლის ბინა გააჩხრეკინა (პრეზიდენტი მისთვის საშიშ კომპრომატს ეძებდა). მონტესინოსი კი თავიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისთვის და კორუფციისთვის გაასამართლეს (ამასთან დაკავშირებით ცალსახა ვიდეომტკიცებულება არსებობდა), შემდეგ — იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის, ბოლოს კი — მკვლელობების ორგანიზებისთვის.

ყოფილი დიქტატორის ცნობა დამნაშავედ, თუნდაც ერთ, „შედარებით მსუბუქ“ საქმესთან დაკავშირებით მის მდგომარეობას არსებითად ცვლის. ალბათ, მხოლოდ ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა შევაფასოთ პროკურატურის სტრატეგია. ის, რაც დღეს სასაცილოდ ან უმნიშვნელოდ გვეჩვენება, მომავალში შეიძლება გადამწყვეტი ფაქტორი გახდეს.

**საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, სადაც მეფე არა მხოლოდ შიშველია, არამედ ეპილირებულიც. რაც შეეხება ქალბატონ მერედიტ ოსტრომის მკერდით შესრულებულ ნახატს, კიდევ კარგი, რომ ის იყიდა და არა ერთი ავსტრალიელი მხატვარი მამაკაცის ნამუშევარი. ის კაცი ფუნჯს ხელს საერთოდ არ ჰკიდებს და, ქალბატონი მერიდიტის მსგავსად, ძალზე ორიგინალური ხერხის გამოყენებით ხატავს.** სააკაშვილს ბიუჯეტის ფულით მისი ნახატები რომ ეყიდა (ჭკუა დაუშლიდა თუ გემოვნება?), თავი მთელი პლანეტის მასშტაბით მოგვეჭრებოდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, გადავრჩით.

საინტერესოა, რომ **ბოლო ხანს, სააკაშვილის გულშემატკივრები დასავლეთში, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ არც ხელისუფლება და არც საზოგადოების დიდი ნაწილი უკან არ დაიხევს და სააკაშვილის ნამოქმედარის დავიწყებას სულ უფრო იშვიათად გვთავაზობენ.** ამჯერად ისინი „სიმართლის დამდგენი კომისიის“ შექმნას გვირჩევენ, როგორც ეს, მაგალითად, არგენტინაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოხდა. იგულისხმება, რომ ეს კომისია შეისწავლის ძველი რეჟიმის დანაშაულს, გამოაქვეყნებს შესაბამის მასალებს, მაგრამ სასამართლომდე საქმე არ მივა. სხვათა შორის, ეს ძალზე დიდი „დათმობაა“; ეს მიდგომა, ფაქტობრივად, გამორიცხავს რეჟიმის მაღალჩინოსნების შემდგომ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ საქმე ისაა, რომ საქართველო არაა არგენტინა, ჰონდურასი ან სალვადორი (ამ ქვეყნების დაკნინება ნამდვილად არ გვსურს). როგორც დასავლელი დიპლომატები ბრძანებდნენ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის დროს, საქართველო ევროპის ნაწილია, შესაბამისად, ევროპული სამართლებრივი ტრადიციით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ეს ტრადიცია კი ეფუძნება კანონის უზენაესობის პრინციპს და შეღავათებს არ ითვალისწინებს — ყველა დანაშაული გამოძიებული უნდა იქნას, ხოლო ყველა დამნაშავე, წარსულში მათი სტატუსის მიუხედავად, — დაისაჯოს. ამაზე დგას ევროპა, მსგავსი წინადადებებით კი შეუძლიათ ჰონდურასის ხელისუფლებას მიმართონ; იქ, სავარაუდოდ, გაუგებენ.

**ალბათ, ყველამ ერთად უნდა ვთხოვოთ ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, სად აღმოჩნდება საბოლოოდ სააკაშვილი, საკანში თუ ნაქირავებ ბინაში სადღაც ოკეანს გაღმა, გადაუგზავნოს მას ქალბატონ მერედიტ ოსტრომის მკერდით შესრულებული ნახატი. სახელმწიფოს ამით არაფერი დააკლდება, ფიგურანტს კი შესაძლებლობა მიეცემა, საღამოობით შეხედოს მას და დაფიქრდეს იმაზე, თუ რატომ უარყო საქართველომ მისი რეჟიმი.** ამ ჩახლართული და, საბოლოო ჯამში, ძალზე ბინძური ისტორიისთვის ეს, სავარაუდოდ, ყველაზე ლოგიკური და, რაც მთავარია, ჰუმანური ფინალი იქნება.

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაცებ-ქოცების ამ შეხმატკბილებული კოჰაბიტაციიდან შობილ ვასვასში ქვეყანა თავზე გვექცევა — თითქმის 2 წელიწადია, საქართველო-რუსეთის „ახალი ურთიერთობები“ კარასინ-აბაშიძის შეხვედრების ფორმატს და რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინისა და ბორჯომის შეტანას ვერ გასცილებია.**

# ჰკა მაგ ევროლაქიათა!

## «ჟამი არს, მტერი მამულის მივსცეთ მახვილსა ლესულსა!»

**ქვესათაურში მოყვანილი ფრაზა არის ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ნაწარმოებიდან „აღსარება“, რომელიც ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ უნდა დაბეჭდილიყო და აჯანყებულთა დევიზი, გნებავთ, მთავარი ლოზუნგი გამხდარიყო. ეს ჟურნალი, რომელიც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა ფარული ბეჭდვითი ორგანო იყო, შეთქმულებთან ერთად დააპატიმრეს. დაპატიმრებისას სოლომონ დოდაშვილისთვის ჩამორთმეულ რედაქციის არქივში ერთი ანონიმური ნაწარმოები აღმოჩნდა, რომელსაც მკვლევარნი იოანე ბატონიშვილს მიაწერენ. ამ ნაწარმოებში იმდროინდელი საქართველოს ვითარება ასეა დახატული: „სკვით წაგვართვეს მთლად ქვეყანა, არც კი მოგვცეს კაცი ერთი; ქართლ-კახეთსა არ დაჰჯერდნენ, ზედ დაიდვეს იმერეთი. მწირობაში დავგლახავდით, შემწე არ გვყავს არცა ერთი, შევთხოვთ ზენას სამართალსა, ვნახოთ, ვითა განსჯის ღმერთი“.**



ზენამ კი ისე განსაჯა, რომ შეთქმულება იესე ფალავანდიშვილის გამოისობით გამოაშკარავდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეამ დროებით, მაგრამ კარგა ხნით ადგილი დაუთმო რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის ფიზიკური გამრავლების, განათლების, კულტურის აღორძინების და სხვა, ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანებს... ქართველი ერის საუკეთესო შვილები პეტერბურგ-მოსკოვ-კიევ-ოდესის გავლით ევროპის სხვა ქალაქების უნივერსიტეტებშიც ეზიარნენ უმაღლეს განათლებას.

მიხეილ ვორონცოვის რუდუნებით დაარსდა პირველი ქართული გაზეთები, თეატრი, ოპერა; პეტერბურგიდან მობრუნებულმა თერგდალეულებმა, დიდი ილიას მეთაურობით, შექმნეს ახალი ქართული მწერლობა; განვითარდა ვაჭრობა, მრეწველობა, თბილისი გახდა სრულიად კავკასიის უმთავრესი ქალაქი და, რაც მთავარია, ქართველი ერი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა — **XIX საუკუნის დამდეგს, ანუ რუსეთთან შეერთებისას აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, სულ რაღაც, 70 ათას (!) ოჯახს (დემოგრაფ ანზორ თოთაძის მონაცემებით) ითვლიდა, ხოლო XIX საუკუნის მიწურულს, რუსეთის იმპერიაში ჩატარებული აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობამ 1.5 მილიონს გადააჭარბა!..**

„სწრაფად განვითარდა ხელოსნობა, გაჩნდნენ კაპიტალისტური ტიპის მანუფაქტურები: აბრეშუმის, შაქრის, მინის, ტყავის, საპნის, აგურის საწარმოები. 1852 წელს მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში 154 საწარმო არსებობდა, ხოლო 10 წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ 400 (!) გადააჭარბა. თბილისში წარმოიშვა კომერციული სახლები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაჩნდა ბაზრობები ე. წ. იარმარკები; თბილისელი ვაჭრები მომრავლდნენ ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე. საიდანაც უპირატესად შემოჰქონდათ ბამბის, სელის, შალის, აბრეშუმის ქსოვილები, რკინისა და ფაიფურის ნაწარმი, შაქარი, პურის ფქვილი და სხვ. თბილისელ ვაჭრებს ნაირ-ნაირი საქონელი გაჰქონდათ რუსეთში და საზღვარგარეთ — ნოვგოროდის 1850 წლის იარმარკაზე თბილისელ ვაჭრებს 1.195019 მილიონი მანეთის საქონელი ჩაუტანიათ. დასავლეთ საქართველოდან სიმინდის დიდი რაოდენობა გაჰქონდათ ინგლისში და ირლანდიაშიც კი“.

**ᲓᲘᲓᲘ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲨᲘᲨᲘ ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲝ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ — ᲕᲘᲗᲝᲛ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲒᲕᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲜ! ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲠ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ...**

ეს ყველაფერი აკაკი და პაატა სურგულაძეების ავტორობით გამოცემულ 1783-1990 წლების „საქართველოს ისტორიიდან“ ამოვიწერე და ევროპასთან ასოცირების ცრუ პერსპექტივებით გონდაბნელებულ საქართველოს საყურადღებოდ რამდენიმე კითხვას დავსვამ:

**იცით კი, რამდენი ევროს ეკვივალენტია დღეს იმჟამინდელი „მილიონ სჩეტა“ რუსული ოქროს რუბლი, რომლის ღირებულების საქონელიც საქართველოს რუსეთთან „ძალით“ შეერთებიდან 50 წლის შემდეგ შეუტანიათ თბილისელ ვაჭრებს ნოვგოროდის ბაზრობაზე? და ევროკავშირთან „ნებაყოფლობით“ ასოცირებიდან რამდენი წლის შემდეგ გაიტანს საქართველო მილიარდობით ევროს ღირებულების საქონელს ევროკავშირის ქვეყნებში?**

ახლა მავანი დამამუნათებს, რუსეთმა გააუქმა ბაგრატიონთა სამეფო ტახტი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, კირით შეგვითეთრეს ფრესკები, ქართველთა გარუსება მოინდომეს, სხვა მრავალი ვნებაც მოგვაყენეს 200 წლის განმავლობაში... და მერე რა?

ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ საქართველოს გამორჩეულმა შვილებმა, მაგრამ... პირუთვნელმა ისტორიკოსებმა მე-19 საუკუნის დასაწყისი მაინც უმნიშვნელოვანეს მომენტად მიიჩნიეს ქართველი ხალხის განვითარებაში, რადგან ამ დროიდან იწყება ახალი პერიოდი ქართველთა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მე-19 საუკუნის შორსმჭვრეტელი ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც მოწინავე საზოგადოებრივი ფენების ინტერესებს გამოხატავდნენ, მაინც რუსეთში, თუნდაც ოკუპანტ რუსეთში, ხედავდნენ ერთმორწმუნე ძლიერ სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლო, მტრებთან განუწყვეტელი ბრძოლებითა და პარტიკულარიზმით დაუძლურებული საქართველო ეხსნა აღმოსავლეთის აგრესიული ქვეყნების ხელყოფისგან.

ქართველი ხალხის ფიქრთამპყრობელმა ილია ჭავჭავაძემ კი ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილში „ასის წლის წინათ“, რომელიც 1899 წლის 26 ნოემბერს დაწერა და საქართველოში რუსის ჯარის პირველად შემოსვლის 100 წლისთავს მიუძღვნა, რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა ასე გადმოსცა:

**„დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით აღმართულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამაპაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა... ის დღე და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში“...**

ნიშანდობლივია, რომ მთიულეთის, კახეთის, იმერეთის აჯანყებების თუ 1832 წლის შეთქმულთა საბოლოო მიზანი არ ყოფილა ოკუპანტ რუსეთთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტა, მათი მიზანი გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე სამეფო ტახტის და შიგა ავტონომიური მმართველობის აღდგენა იყო, რადგანაც კარგად ხედავდნენ, რომ ალექსანდრე I-ის მანიფესტის გამოცხადებისთანავე საქართველოში აილაგმა ლეკიანობა და ისლამის ოკეანეში კვლავ აღმოჩენის პერსპექტივა არავის ხიბლავდა...

**XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის დუმის დეპუტატი, თავადი ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის შიგნით ითხოვდა საქართველოს კულტურულ ავტონომიას. ეგ იყო და ეგ. ილია მართალს კარგად ესმოდა, რომ ძლიერი მფარველის გარეშე საქართველოს გაუჭირდებოდა დამოუკიდებლად არსებობა.**

**დიდი ილიას შიში რომ უსაფუძვლო არ იყო, დღეს გამოჩნდა — ვითომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ სამშობლოს გვართმევენ! რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა სამშობლო...**

პარადოქსია, რომ ქვეყნის „მთავარი ოპოზიციური ძალა“ — „ნაცებანდა“ დღენიადაგ ამუნათებს „მეოცნებე“ ხელისუფლებას, პრორუსულები ხართ, პუტინის თამაშს თამაშობთ და ა. შ. ხელისუფლება კი ხელებს ასავსავებს და ლამის ბარაკ ობამას დედის სულს იფიცებს, — რის რუსეთი, რა პუტინი, ევროკავშირ-ნატოსკენ გვიჭირავს გეზი. ჰოდა, ნაცებ-ქოცების ამ შეხმატკბილებული კოჰაბიტაციიდან შობილ ვასვასში ქვეყანა თავზე გვექცევა — თითქმის 2 წელიწადია, საქართველო-რუსეთის „ახალი ურთიერთობები“ კარასინ-აბაშიძის შეხვედრების ფორმატს და რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინისა და ბორჯომის შეტანას ვერ გასცილებია. **ამიტომ დარჩა „ჰაერში გამოკიდებული“ რუსეთისა და საქართველოს პირველი პირების შეხვედრის შესაძლებლობა — კაპიტულანტობაში ბრალდებით შეშინებულმა ხელისუფლებამ ბევრი კლაკვნა-გრეხვის შემდეგ მაია ფანჯიკიძის პირით საბოლოო ვერდიქტი გამოიტანა — ვიდრე ცხინვალსა და სოხუმში რუსეთის საელჩოებია, უმაღლეს დონეზე შეხვედ-** ►

**ᲛᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ; ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ; ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲡ! ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲪ ᲛᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲪ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ!**

„საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის წაუყენეს ბრალდება, ასევე, ჰელმუტ კოლს. მიუხედავად იმისა, რომ მან გერმანია გააერთიანა, პარტიის თანხების არასწორი გამოყენების გამო, მაინც ბრალი წაუყენეს. რიჩარდ ნიქსონმა საერთოდ ვიეტნამის ომიდან გამოიყვანა ქვეყანა, მაგრამ იმპიჩმენტი მოუწყვეს“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რა გამორიცხულიაო. ანდრეი გრომიკო, სტალინის პერიოდიდან მოყოლებული, პრაქტიკულად, სსრკ-ის დაშლამდე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, რომელსაც ამერიკელებმა მისტერ „ნეტ“, ანუ ბატონი „არა“ შეარქვეს. ჰოდა, არ ვიცი, შეგნებულად ბაძავს გრომიკოს ჩვენი საგარეო მინისტრი თუ შეუგნებლად გაიძახის არა-არას რუსეთის მისამართით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ გრომიკოს არას და ფანჯიკიძის არას „შუა უზის დიდი მზღვარი“, რადგან პირველის არას ზურგს ბირთვული პოტენციალი უმაგრებდა, ხოლო მეორისას — მხოლოდ ნატოში შესვლის ფუჭი დაპირებები და ევროსაბჭოს ასევე ფუჭი რეზოლუციები... ამიტომაც არის, რომ კონფლიქტის ზონაში რუსეთის ე.წ. მცოცავი ანექსია გრძელდება და, თუ უილაჯო არა-არას არ მოვიშლით, მავთულხლართებს იქით — ქუთაისთან, ხოლო აქეთ — თბილისთან გადმოიტანენ!

ქართველი ურაპატრიოტები კი „რკინისებური არგუმენტებით“ გვპირისპირდებიან პრაგმატულად მოაზროვნეებს — თუ ერთმორწმუნეები არიან და ჩვენთან მეგობრობა სურთ, დაგვიბრუნონ ჩვენი ტერიტორიების 22 პროცენტიო და ა. შ.

ისე, რატომ არავინ ითვლის პროცენტებს იმ ტერიტორიებისა, რომლებიც ჩვენმა მარადიულმა მტერმა, თურქეთმა, მიითვისა? ჩვენ რუსეთს მხოლოდ მტრად განვიხილავთ, ხოლო ისტორიულ მტერს, თურქეთს, — უპირველეს მეგობრად, რომლის ეკონომიკური ანექსია უკვე თბილისშიც კი თვალნათელია, რომ აღარაფერი ვთქვათ აჭარაზე. **თბილისიდან სარფამდე დაახლოებით 400 კილომეტრია, სარფიდან იქით კიდევ 400 კილომეტრის მანძილზე ძირძველი ქართული მიწაა და რატომ არავინ ითვლის, საქართველოს ტერიტორიის რამდენი პროცენტია ეს 400 კმ, რამდენი აქვს მიტაცებული ჩვენს „მეგობარ“ თურქეთს?**

რა თქმა უნდა, რუსეთს ანექსირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები, მაგრამ, თურქების მიერ ანექსირებულისგან განსხვავებით, რუსეთის მიერ მიტაცებულის დაბრუნების შანსი ჯერ კიდევ არსებობს.

იქნებ ისიც გაგვეხსენებინა, როგორ განუცხადა მოკავშირეებს სტალინმა 1945 წლის იალტის კონფერენციაზე, თურქეთმა უნდა დააბრუნოს საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიებიო. სიტყვას საქმეც მოაყოლა დიდმა ბელადმა — სარფიდან ვიდრე ტრაპიზონამდე უკვე რაიკომის მდივნობის კანდიდატებსაც კი განიხილავდნენ პოლიტბიუროში და, რომ არა ჩვენი დღევანდელი „მეგობარი“ აშშ, რომელმაც სტალინის დასაშინებლად უკვე დამარცხებულ იაპონიას ატომური გენოციდი მოუწყო, ვინძლო დღეს ტრაპიზონში ყოფილიყო საქართველოს საზღვარი...

**უმადურობა დიდი ცოდვაა, ხოლო ისტორიული უმადურობის ცოდვისთვის პასუხს მთელი ერი აგებს, ამიტომ, როდესაც რუსეთის მხრიდან ქართველებისთვის მიყენებულ ზიანზე ვლაპარაკობთ, არც რუსეთთან თანაცხოვრების სიკეთე უნდა დავივიწყოთ!**

მაშ, ვისკენ არის მიმართული წერილის პათეტიკური სათაური, ვინ არის „მტერი მამულის“ და ვინ უნდა „მივცეთ მახვილსა ლესულსა“?

თუ რუსეთი, მაშინ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგანაც სწორი, თანმიმდევრული და, რაც მთავარია, გულწრფელი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ასეთი მტრის, მით უმეტეს — ერთმორწმუნის, მოყვრად ქცევა ადვილი შესაძლებელია.

მთავარი მტერი მამულისა არიან: „თავისუფლების ინსტიტუტი“ და იქ გამოჩეკილი გველის წიწილები; ოკეანის გაღმიდან თუ ევროპიდან უხვად დაფინანსებული ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, მათი სკოლაგამოვლილი ლიბერასტი პოლიტიკოსები, რომლებმაც რუსეთი ლამის საშვილიშვილოდ გადაგვკიდეს და რომლებიც ყოველგვარ ქართულს, მართლმადიდებლურსა და ტრადიციულს უკვე აშკარად ებრძვიან. სწორედ ისინი უნდა „მივცეთ მახვილსა ლესულსა“ და არა რუსეთი და მისი პრეზიდენტი, რომელსაც მთელი მსოფლიო ებრძვის!

**საქართველოში დღემდე არ არსებობს ძლიერი, ე. წ. რუსული ლობი და ეს, პირველ რიგში, თვითონ რუსეთის ბრალია, რომელიც მნიშვნელოვან კაპიტალს არ დებს ქართულ პოლიტიკაში და, რასაც დებს, ისეთ ოდიოზურ პიროვნებებზე გავლით, რომ პრორუსულობის იდეა თავშივეა დისკრედიტირებული.** ამიტომაა, რომ ქართულ პოლიტიკაში შესასვლელი საშვი იმაზე გადის, როგორ გაალმერთებ ამერიკას და, შესაბამისად, როგორ აგინებ რუსეთს!

არადა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთთან ერთ სახლში 2 საუკუნე ვიცხოვრეთ, ნორმალურია, რომ საქართველოში არსებობდეს პრორუსული, უფრო ზუსტად, პროქართული პარტია, რომელიც საქართველოს მომავალს რუსეთს დაუკავშირებდა და ამის გამო მოღალატედ არ შერაცხავდნენ. მაგრამ **საქართველოში დღემდე არ აღმოჩნდა პოლიტიკოსი, რომელიც პირდაპირ, დასავლეთისა თუ ადგილობრივი ლიბერასტების მიმართ ყოველგვარი რევერანსის გარეშე გაბედავდა და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა...**

ჰოდა, ვბედავ და ვამბობ: **მე მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ საქართველოს განვითარებას; მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას; მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ მართლმადიდებლობის გამარჯვებას და საკუთარი იდენტობის გადარჩენას!**

მინდა, სახელმწიფოც მქონდეს და სამშობლოც და ამას რუსეთთან ერთად ვხედავ!

**დავით მხეიძე**

# სოსო ცინცაძე: როგორც ივანიშვილი ველარ ცნობს მარგველაშვილს, ისე ველარ ვცნობ წულუკიანს




**საქართველოს პროკურატურის მიერ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ევროპელი და ამერიკელი მაღალჩინოსნები ამჯერადაც შეშფოთებით შეხვდნენ და, ყოფილი პრეზიდენტისათვის წაყენებული სერიოზული ბრალდებების მიუხედავად, ეს ყველაფერი ახალი მთავრობის მხრიდან შურისძიებად და პოლიტიკურ დევნად შეაფასეს. რატომ ხუჭავს თვალს უცხოეთი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ არსებულ იმ ბრალდებებზე, რომელთა გამოც მათი ვერც ერთი ხელისუფლება მართლმსაჯულებას ვერ გაექცეოდა და რა განაპირობებს მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელ ოპტიმისტურ განცხადებებს? — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი, ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში სოსო ცინცაძე ესაუბრა.**



— ვფიქრობ, სააკაშვილის ოპტიმისტური განცხადებები მხოლოდ ერთი მიზეზით არის განპირობებული: ის პოლიტიკოსია. პოლიტიკოსი კი ოპტიმიზმის გარეშე პოლიტიკოსი არ არის. თუმცა, როგორც ჩანს, მას, ამასთანავე, იმედს აძლევს საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალური ფონი და პრეზიდენტსა და პრემიერს შორის დაპირისპირება.

**— არ ფიქრობთ, რომ სააკაშვილის ოპტიმიზმი საერთაშორისო მხარდაჭერას უკავშირდება? მან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა: „ივანიშვილი მიხვდა, რომ საერთაშორისო ძებნას ვერ გამოაცხადებს. აუხსნეს პოპულარულად ევროპაში და ამერიკელებმა, რომ ვერ მოგართვით“. ეს ნიშნავს თუ არა, რომ მან, ფაქტობრივად, აღიარა ამერიკასა და ევროპაში მფარველების არსებობა?**

— „ვერ მოგართვით“ და მსგავსი სიტყვებით ლაპარაკი სააკაშვილის ჩვეული ლექსიკაა. თუმცა, ამას გარდა, დასავლეთი მიხვდა, რომ უკრაინას კარგავს და არ სურს, საქართველოც დაკარგოს. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ პოლიტიკაში მფარველები და მხარდამჭერები ჩვეულებრივი მოვლენაა და გასაკვირი არ არის.

**დღეს საქართველოში სამშობლოს სიყვარულით ათასიდან ერთი თუ მოდის პოლიტიკაში. ყველას პირადი მიზნები ამოძრავებს, რომ გამდიდრდეს და კარგად იცხოვროს.**

ამას გარდა, საინტერესოა, რას აკეთებს ჩვენი დიპლომატიური კორპუსი საზღვარგარეთ. **შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ კრიტიკოსად იქცა. საკითხავია, შვედეთში ჩვენი ელჩი რას აკეთებს? რატომ არ ცდილობს, საზოგადოებრივ აზრზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს, შეხვდეს იქაურ პოლიტიკოსებს, ესაუბროს?** ელემენტარულ მაგალითს გეტყვით. ორიოდე კვირის წინათ სააკაშვილი რომში შეხვდა სტუდენტებს. შეხვედრას 150-ზე მეტი სტუდენტი ესწრებოდა. მეორე ან მესამე დღეს იქ ჩვენი ელჩიც უნდა მისულიყო, იმავე უნივერსიტეტში, იმავე აუდიტორიასთან და აეხსნა, რატომ ლაპარაკობს ასე სააკაშვილი.

**როდესაც, მაგალითად, ბრიტანეთში, კაცს ელჩად მხოლოდ იმიტომ ნიშნავენ, რომ თურმე კარგი მწერალია, ან როდესაც საფრანგეთში ვიღაცას ელჩად იმის გამო გზავნიან, რომ მას თურმე ნახევრად ფრანგული გვარი აქვს, რა შედეგს უნდა ველოდოთ?!** მე ამ სფეროს სპეციალისტი ვარ და ვიცი, რომ დღევანდელი ელჩებიდან ორი-სამი კაცი თუა ნამდვილად პროფესიონალი; დანარჩენები კი ვინ არიან და საიდან მოვიდნენ, არ ვიცი. მუშაობაა საჭირო უცხოელებთან და არა აქედან ჭკუის დარიგება და განცხადებები, რომ ჩვენ ვიცით, რასაც ვაკეთებთ.

**— ფიქრობთ, რომ ხელისუფლების რეაქცია მაღალჩინოსნების კრიტიკისადმი ადეკვატური არ იყო? როგორ უნდა მოიქცეს ამ სიტუაციაში მთავრობა?**

— ჩვენი ხელისუფლების რეაქცია ადეკვატური იქნებოდა, ჩვენ რომ ძლიერი, მართლაც დამოუკიდებელი სახელმწიფო ვიყოთ და არავისი დახმარება არ გვჭირდებოდეს, ის მაინც შეგვეძლოს, საკუთარი მოსახლეობა გამოვკვებოთ, მაგრამ, **როდესაც მთლიანად დამოკიდებული ხარ ევროკავშირზე, მსოფლიო ბანკსა თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყაჩაღურ კრედიტებზე, ჩვენი ხელისუფლების საქციელი სულ სხვა სახეს იღებს.** ჩვენთვის კარგი მაგალითია ისრაელი, რომელიც ანგარიშს არავის უწევს. ამერიკიდან დაწყებული, ბილდტით დამთავრებული ყველა აკრიტიკებდა ნეთანიაჰუს, მაგრამ ისრაელს იმის უნარი და ძალა შესწევს, ანგარიში არავის გაუწიოს და, როგორც საჭიროდ მიიჩნევს, ისე იმოქმედოს, მაგრამ ჩვენ ამის ფუფუნება არ გვაქვს.

**— აქედან გამომდინარე, საქართველოს ხომ არ ემუქრება საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევის საფრთხე?**

— არა, ისეთ საშიშროებას ვერ ვხედავ, რომ იზოლაცია გვემუქრებოდეს, მაგრამ, **სექტემბერში ნატოში რომ არ მიგვიღებენ და არც მაპს მოგვცემენ, ეს თავიდანვე ყველამ კარგად ვიცოდით. სულაც სააკაშვილი რომ ჩამოეყვანათ და ხელახლა პრეზიდენტად აგვერჩია, ვითარებას მაინც ვერაფერი შეცვლიდა.** ცხადია, რომ **30 წელი მაინც ევროკავშირში არავინ მიგვიღებს** და მაროკოსა და ჩილესავით ათეული წლების განმავლობაში გვაყურყუტებენ. ამას გარდა, **შეიძლება, რამდენიმე ათეულმილიონიანი მიზნობრივი დამხარებაც აღარ მივიღოთ, რადგან უკვე ევროპასაც უჭირს.**

**— საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერმინისტრს შორის უთანხმოებას უკვე არც ერთი აღარ მალავს. ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური კრიზისის საფრთხე?**

— მარგველაშვილს შეუძლია გაჯიუტდეს, პატარა წინააღმდეგობაც გაუწიოს პრემიერს, მაგრამ ის პროფესიონალი პოლიტიკოსი არ არის, სხვა წრიდან მოვიდა პოლიტიკაში და მაინც წესიერი ადამიანია, ღირსების გრძნობაც შერჩენილი აქვს და, სააკაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან რომ „აჩმორებენ“, ბუზღუნებს. ეს მხოლოდ ბუზღუნია.

**პოლიტიკური კრიზისის სიმპტომები ქვეყანაში უკვე არის, ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია. ეს კრიზისია და არა პრემიერისა და პრეზიდენტის კინკლაობა, თუმცა ეს დაპირისპირება შიგა კონიუნქტურას აფუჭებს და სტაბილურობას ვნებს.**

ახლახან კიდევ ერთი დაპირისპირების საგანი გაჩნდა — კახა თარგამაძისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი. მხოლოდ სააკაშვილის ჯიბრით ანიჭებენ კახა თარგამაძეს მოქალაქეობას. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა უნდა აგვიხსნას, რატომ აკეთებს ამას. თეა ჩემი სტუდენტი გახლდათ და, სხვათა შორის, ძალიან კარგი სტუდენტი, მაგრამ, როგორც **ივანიშვილი ველარ ცნობს მარგველაშვილს, ისე ველარ ვცნობ წულუკიანს. როგორც ჩანს, თანამდებობა ადამიანს მართლაც ცვლის.**

«30 წელი მაინც ევროკავშირში არავინ მიგვიღებს და მაროკოსა და ჩილესავით ათეული წლების განმავლობაში გვაყურყუტებენ. ამას გარდა, შეიძლება, რამდენიმე ათეულმილიონიანი მიზნობრივი დამხარებაც აღარ მივიღოთ, რადგან უკვე ევროპასაც უჭირს»

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აქამდეც ბევრი პაციენტი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ ზოგიერთი ექიმი, თავისი ეკონომიკური დაინტერესების შესაბამისად, არამართლზომიერად და არასწორად წერდა დანიშნულებას.“**

# სიკვდილის რეცეპტი, ანუ რა უნდა ვიცოდეთ ურეცეპტოდ წამლების გაყიდვის აკრძალვის შესახებ

**1 სექტემბრიდან ძალაში შედის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის კანონში შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, აიკრძალება 6 ათასზე მეტი მედიკამენტის სპეციალური რეცეპტის გარეშე გაცემა. ამ გადაწყვეტილებამ საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია, ვინაიდან ამიერიდან ტკივილგამაყუჩებელი და ანტიალერგიული მედიკამენტების ურეცეპტოდ შეძენა შეუძლებელი გახდება. ხელისუფლება ამ სიახლეს ხალხზე ზრუნვით ხსნის და მიიჩნევს, რომ ამით ადამიანებს თვითმკურნალობასა და სააფთიაქო ნარკომანიას აარიდებს. გადწყვეტილების გასამყარებლად კი ევროპის ქვეყნების მაგალითები მოჰყავს, თუმცა საკითხავია, რატომ არავინ ითვალისწინებს მოსახლეობის მდგომარეობასა და ადგილობრივ ვითარებას, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ევროპაში არსებულისგან. საინტერესოა, რამდენი მოახერხებს თავის ყოველი წამოტკივებისას ან ალერგიის შემთხვევაში მყისიერად მიმართოს ოჯახის ექიმს, რომელთანაც, სავარაუდოდ, უშველებელი რიგი იქნება, და ვინ აგებს პასუხს დაგვიანებული მკურნალობით გამოწვეულ ფატალურ შედეგებზე. ძლიერმოქმედი პრეპარატები, ანტიბიოტიკები და ფსიქოტროპული მედიკამენტები ურეცეპტოდ არ უნდა იყიდებოდეს, მაგრამ გაურკვეველია, რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების სიის შედგენისას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ რა კრიტერიუმით იხელმძღვანელა.**

**არის კი დღეს ქართველი საზოგადოება მზად ზემოაღნიშნული სიახლისთვის? ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „გვახსოვდეს ჰიპოკრატეს“ თავმჯდომარე მარინა ბერაძე ესაუბრება.**


მარინა ბერაძე

**«საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელების პროცესშიც კი, რომელიც მართლაც წინგადადგმული ნაბიჯია, ბევრი ხარვეზი გამოიკვეთა და, ვიდრე ეს ხარვეზები არ გამოსწორდება, შემოტანა ახალი ინოვაციისა, რომელიც საზოგადოებას თავიდანვე უარყოფითად განაწყობს, მიუღებელია»**

**— 1 სექტემბრიდან ახალი რეგულაცია ამოქმედდება, რომლის თანახმადაც გარკვეულ მედიკამენტებს რეცეპტის გარეშე ველარ შევიძენთ. რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების სიაში ტკივილგამაყუჩებელი და ანტიალერგიული პრეპარატებიც მოხვდა. ეს რეფორმა მორგებული თუ არის თანამედროვე საქართველოზე?**

— ამ განწყობას მეც ვიზიარებ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მედიკამენტების რეცეპტებით გაცემა საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია და ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასე ხდება. აქამდე ჩვენთან მხოლოდ ფსიქოტროპული მედიკამენტების გაცემა იყო შეზღუდული, მაგრამ ეს მაინც არ ჭრიდა. რეცეპტის ინსტიტუტი სწორედ ზემოხსენებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემოიღეს და ამას ხელისუფლება პაციენტზე ზრუნვით ხსნის, რათა თავიდან ავიცილოთ თვითმკურნალობა და მოხდეს სააფთიაქო ნარკომანიის შემცირება. **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელების პროცესშიც კი, რომელიც მართლაც წინგადადგმული ნაბიჯია, ბევრი ხარვეზი გამოიკვეთა და, ვიდრე ეს ხარვეზები არ გამოსწორდება, შემოტანა ახალი ინოვაციისა, რომელიც საზოგადოებას თავიდანვე უარყოფითად განაწყობს, მიუღებელია.** ფაქტია, რომ ახალ რეგულაციას უარყოფითად შეხვდა თვითონ პაციენტი, რომლისთვისაც ეს კეთდება. როგორც ჩანს, ქართველი საზოგადოება ამისთვის ჯერ მზად არ არის. ამიტომ, ჩემი აზრით, თუ ჯანდაცვის სისტემა უფრო მეტ ნდობას დაიმსახურებს და უფრო დახვეწილად განახორციელებს გადაწყვეტილებებს, სიახლეების დანერგვა უფრო გაადვილდება. იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი რიგზე იქნება და იმ ხარვეზებით გამოწვეული შიში, რომელიც მოსახლეობას და, მათ შორის, მეც მაქვს, არ გამართლდება.

ჩემი აზრით, გონივრული იქნება, თუ დროთა განმავლობაში მოხდება ამ მედიკამენტების გადაჯგუფება, ვინაიდან ეს არ არის დოგმა, რომლის შეცვლაც შეუძლებელია.

**— მართალია, ჯანდაცვის სამინისტრო გვარწმუნებს, რომ პანიკის საფუძველი არ გვაქვს, მაგრამ, თავის ტკივილის ან უეცარი ალერგიის შემთხვევაში, ოჯახის ექიმთან უშველებელ რიგში დგომა მაინც მოგვიწევს. მეტიც, დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, ზოგი სამსახურიდან გასვლას ვერ მოახერხებს. შესაბამისად, ხომ არ აღმოჩნდება მკურნალობა დაგვიანებული, რამაც შეიძლება ფატალური შედეგი გამოიწვიოს?**

— მოვისმინე ჯანდაცვის მინისტრის განმარტება, რომ აფთიაქებში იქნება პირველადი დახმარების მედიკამენტების ჩანთა, რომლის მიღებაც შეეძლება ნებისმიერს — როგორც პაციენტს, ისე პაციენტის ახლობელს.

**— დიახ, ითქვა, რომ აფთიაქებს უფლება ექნებათ, გადაუდებელ შემთხვევებში ურეცეპტოდ გასცენ სამკურნალო საშუალება, მაგრამ ვინ და რა კრიტერიუმით უნდა განსაზღვროს და გადაწყვიტოს აფთიაქში, მართლა გვჭირდება ესა თუ ის მედიკამენტი მე ან ჩემს ახლობელს თუ ვიტყუებით?**

— ეს საკითხი, რა თქმა უნდა, ბუდნოვანია. არსებობს გადაუდებელი დახმარების მედიკამენტები, მაგრამ როგორ მოხდება ამის განსაზღვრა და ვინ გააკონტროლებს ამ ყველაფერს, არ ვიცი. იმის მიუხედავად, რომ ვეთანხმები მედიკამენტების რეცეპტით გაცემის წესის დანერგვას, ამასთანავე, მომხრე ვარ, **პირველ რიგში, ჯანდაცვის სისტემა გახდეს გამართული და მხოლოდ ამის შემდეგ დაინერგოს მედიკამენტების რეცეპტით გაცემის წესი.**

გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნის სპეციფიკაც. აფთიაქში რომ მივა ადამიანი და იქ ათას გაურკვევლობას წააწყდება, ჩვენი ორგანიზებულობის ამბავიც რომ ვიცი და მათი ხასიათიც, ვინც მოსახლეობას ემსახურებიან, ოპტიმისტურად განწყობილი ნამდვილად არ ვარ.

ამას გარდა, ყველამ ვიცით, რომ არსებობენ ექიმები, რომლებიც ბონუსური სისტემით მუშაობენ და **აქამდეც ბევრი პაციენტი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ ზოგიერთი ექიმი, თავისი ეკონომიკური დაინტერესების შესაბამისად, არამართლზომიერად და არასწორად წერდა დანიშნულებას.**

**— ანუ ექიმი ფარმაცევტულ კომპანიასთან იყო შეკრული?**

— რასაკვირველია. **ასეთი კავშირები ექიმებსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის, საქართველოს გარდა, არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ არსებობს.** ექიმი ყოველთვის მოწოდებული უნდა იყოს, პაციენტს ოპტიმალური დახმარება გაუწიოს და ზედმეტი პრეპარატი არ დაუნიშნოს. ფარმაცევტული კომპანიები კი ყოველთვის ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მედიკამენტი გაყიდონ. **როდესაც ფარმაცევტული კომპანიების ხელშია კლინიკა და ექიმი, რასაკვირველია, ეს ექიმიც ფარმაცევტული კომპანიის ინტერესების შესაბამისად მუშაობს.** სარეცეპტო სისტემის შემოღებისას ეს ხარვეზი თუ არის გათვალისწინებული და როგორ ავიცილებთ თავიდან, რომ ექიმი პირადი მოსაზრებითა და ფარმაცევტული კომპანიის სასარგებლოდ არ დანიშნავს მკურნალობას, ნამდვილად არ ვიცი.

**— გამოდის, გარანტია, რომ ექიმი ფარმაცევტულ კომპანიას არ შეეკვრება და პირადი ინტერესებით არ იხელმძღვანელებს მედიკამენტის დანიშვნისას, დღეს არ გვაქვს?**

— არა, ამის გარანტია ნამდვილად არ გვაქვს. პირველ რიგში, აუცილებელია, გამართული საკანონმდებლო ბაზა. ეჭვს მიჩენს ისიც, რომ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, რეცეპტში მედიკამენტი ჯენერიკული სახელწოდებით, ანუ მასში შემავალი აქტიური ნივთიერების მიხედვით უნდა იყოს გამოწერილი. რასაკვირველია, შესაძლებელია, მითითებული იყოს კომერციული სავაჭრო დასახელებაც, მაგრამ მხოლოდ სავაჭრო დასახელებით წამლის გამოწერა არ არის მართებული. ჯენერიკული სახელწოდება არის მედიკამენტის საერთაშორისო არაპატენტირებული სახელწოდება. **ჯენერიკული პრეპარატების მწარმოებლები მატერიალური ტექნიკური ბაზით არ ჩამოუვარდებიან ორიგინალური პრეპარატების მწარმოებლებს. ისინი ხარისხით არ განსხვავდებიან, განსხვავება მხოლოდ ფასშია.**

ხელთ მაქვს რეცეპტის გამოწერის ნიმუში და პირველი დანართის მეექვსე პუნქტში **პირდაპირ წერია, რომ „რეცეპტის ბლანკზე, ფარმაცევტული პროდუქტი იწერება მისი სავაჭრო დასახელებით“, რაც მიუღებელია და საერთაშორისო პრაქტიკას არ შეესაბამება, რადგან ამ შემთხვევაში პაციენტს ეზღუდება კუთვნილი უფლება, იმავე ნივთიერების შემცველი, მაგრამ სხვა დასახელების წამალი თავისი შესაძლებლობების, ანუ ფასის მიხედვით შეიძინოს.** მთავარი არის ის ნივთიერება, რომელიც აქტიურია, რა შემცველობით და დოზითაა დანიშნული და არა — სავაჭრო დასახელება. კანონით, ექიმს რომელიმე მედიკამენტის რეკლამირება ეკრძალება. ხოლო, **როდესაც ექიმი პრეპარატის სავაჭრო დასახელებას წერს, ეს ნიშნავს, რომ ის ამ პრეპარატს რეკლამას უწევს და პაციენტის ინტერესის საზიანოდ მოქმედებს.**

ამას გარდა, როდესაც რეცეპტის ინსტიტუტს ვნერგავთ, უნდა არსებობდეს რეცეპტის გამოწერის ცენტრალიზებული სისტემა. ცენტრალიზებული სისტემით ძალიან ადვილია, გავიგოთ, აქვს თუ არა ექიმს, პაციენტსა და ფარმაცევტს ჯანსაღი ურთიერთობა ერთმანეთთან და სწორად თუ ხდება მკურნალობის დანიშვნა. თუ ეს ელექტრონული სიტემა არ ამუშავდება, თავს ვერ დავიზღვევთ, რომ ექიმი პაციენტს არასწორი დანიშნულებით არ უმკურნალებს.

**— ხომ არ გამოიწვევს ეს რეფორმა „შავი ბაზრის“ შექმნის საფრთხეს?**

— რასაკვირველია, „შავი ბაზრის“ შექმნის საფრთხე არსებობს, მაგრამ, თუ ყველაფერი სწორად გაკეთდება, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, მაშინ ეს საფრთხეც აღარ იარსებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობ, ყოველ სიახლეს ჩვენ, საზოგადოება, ნეგატიურად არ უნდა შევხვდეთ და რეცეპტის ინსტიტუტი მაინც დასანერგია, ჩვენი ჯანდაცვის სისტემა ამ სიახლისთვის ჯერჯერობით მზად არ არის.

**— ახალი რეგულაციის ინიციატორებისა და მხარდამჭერებისგან ამ დღეებში ხშირად მოისმენდით, რომ „ევროპაშიც ასეა“. მართალია, ევროპას ვბაძავთ, მაგრამ ახლოსაა კი ევროპული ცხოვრების დონესთან საქართველო და ჩვენი ექიმების კვალიფიკაცია (რა თქმა უნდა, ყველა ექიმი არ იგულისხმება) თუ შეესაბამება ევროპის სტანდარტებს?**

— მეც ვფიქრობდი, რომ სამინისტრო ჯერ დაამუშავებდა დოკუმენტაციას და ექიმთა პოსტდიპლომური კვალიფიკაციის საკითხს გადაწყვეტდა. ვერ გეტყვით, ექიმები, რომლებიც სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში მუშაობენ, რამდენად კვალიფიციურნი და კეთილსინდისიერნი არიან.

ჩვენ მედიკამენტების ხარისხზეც არ გვაქვს სრულყოფილი ინფორმაცია — რამდენად ხარისხიანი მედიკამენტებია ქართულ ბაზარზე, ფასების მიმართაც ბევრი კითხვის ნიშანია. მაშინ, როდესაც ეს საკითხიც არ არის დარეგულირებული, ასეთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმას მეტი მომზადება სჭირდება. კარგი იქნება, თუ გავიგებთ, ვინ არის ამ პროექტის ინიციატორი და ვინ დაიკისრებს პასუხისმგებლობას მის სწორად განხორციელებაზე..

**— მართალია, ხელისუფლება ხალხზე ზრუნვით ხსნის ამ რეფორმას, მაგრამ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მითითებით, გარკვეული მედიკამენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამ მიმართულებით რატომ არ მუშაობს ხელისუფლება?**

— ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა წევრ ქვეყანას, გარკვეული მედიკამენტები იყოს უფასო და ხელმისაწვდომი მოსახლეობისთვის და ამ მითითებას ყველა ქვეყანაში ასრულებენ. ოჯახის ექიმის მიერ პაციენტისთვის დანიშნული მედიკამენტები, პირველ რიგში, ხარისხიანი, იაფი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამ მხრივ კი, საქართველოში ჯერჯერობით არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა.

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**

**„თუ კომპიუტერში ჩაგეღვრებათ სითხე, პირველ რიგში, აპარატურა ელექტროქსელიდან უნდა გამორთოთ. შემდეგ ამოაცალეთ ბატარეა და დააპირქვავეთ, ჩაღვრილი სითხე უკან რომ გამოვიდეს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება კლავიატურა დაიწვას, მაგრამ ძირითად და ძვირად ღირებულ ნაწილებს გადაარჩენთ“.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა უნდა გავითვალისწინოთ კომპიუტერული ტექნიკის მოხმარებისას



**კომპანია „კომპიუტერული განვითარების სტუდია CDS“ 2002 წელს დაარსდა და დღეს უამრავი მომხმარებელი ჰყავს. რა უნდა გაითვალისწინოს კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებელმა? — ამ საკითხზე CDS-ის გენერალური მენეჯერი რობი გაჩეჩილაძე გვესაუბრება.**

— ჩვენი კომპანია, ძირითადად, დიდ ორგანიზაციებზე მუშაობს, მაგრამ, ბოლო ორი წელია, ცალკეულ ადამიანებსაც ვემსახურებით. ჩვენი კომპანია სხვა კომპანიებისგან იმით განსხვავდება, რომ თითოეულ კლიენტთან გვაქვს უშუალო ურთიერთობა და მათ სრულფასოვან კონსულტაციას ვუწევთ. რაც შეეხება ტექნიკურ მომსახურებას, შეგნებული გვაქვს, რომ კლიენტი მაქსიმალურად კმაყოფილი უნდა დავტოვოთ. ამიტომ ჩვენი კომპანიის სპეციალისტები, ე.წ. აიტები (IT—information technology — ინფორმაციული ტექნოლოგიები. აიტები — ამ დარგის სპეცილისტები — ნ. მ.) საკმაოდ კარგად არიან მომზადებულნი და თავიანთ საქმეს სრულყოფილად აკეთებენ. თუ რომელიმე ნაწილის შეცვლაა საჭირო, აუცილებლად უმაღლესი ხარისხის ნაწილით ვცვლით, ანუ ჩვენ მიერ შეკეთებული ტექნიკა შესანიშნავად მუშაობს. ამას ხედავს მომხმარებელი და უპირატესობას ჩვენს სერვისცენტრს ანიჭებს.

**— რომელი ქვეყნიდან შემოგაქვთ აპარატურის ნაწილები?**

— მომწოდებელი, ძირითადად, ლიტვაა, მაგრამ, თუ ეს ქვეყანა რომელიმე ნაწილს ვერ გვაწვდის, მივმართავთ აპარატურის მწარმოებელს და გვიგზავნის.

ჩვენი აიტები ძალიან ხშირად გადიან გადამზადებას, ე.წ. ტრეინინგებს, საქართველოში ხშირად ჩამოგვყავს სხვადასხვა კომპიუტერული ბრენდის წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენს კადრებს ამზადებენ. გარდა ამისა, ვინაიდან დიდი ხნის კომპანიაა, მომარაგებაც სრულფასოვანი გვაქვს და არ არსებობს აპარატურა, რომელიც ჩვენს სერვისცენტრში არ შეკეთდეს. ხშირად მოსულა კლიენტი, მოუტანია აპარატურა, რომელიც მანამდე სხვა სერვისცენტრებში ვერ გაუკეთებიათ. ჩვენთან კი არ არსებობს ტექნიკა, რომელიც არ გაკეთდება.

**— რა უნდა გაითვალისწინოს კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებელმა, იგი შეძლებისდაგვარად რომ დაიცვას დაზიანებისგან?**

— სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში კომპიუტერული ტექნიკის შეძენისას კლიენტს არ უწევენ რეკომენდაციას და არ აძლევენ რჩევა-დარიგებას მოვლის ელემენტარულ მეთოდებზე. ამიტომაც **ჰგონია ხალხს, რომ კომპიუტერის გახსნა ძალიან ცუდია. არადა, კომპიუტერი აუცილებლად უნდა გაიხსნას და გაიწმინდოს. ლეპტოპი, შეძენიდან ორ წელიწადში, ანუ როგორც კი საგარანტიო ვადა გავა, აუცილებლად უნდა გაიხსნას და გაიწმინდოს, კერძოდ — თერმოგამტარი ბალიშები, რომელთაც სავინტილაციო არხებიდან გამოაქვს ცხელი ჰაერი, ასევე უნდა მოხდეს სავინტილაციო არხების, ვიდეომაზერისა და ჩიპის გაწმენდაც.** წინააღმდეგ



შემთხვევაში ცირკულაცია დაირღვევა, რასაც მოჰყვება ვიდეოჩიპის გადაწვა და ა.შ. **მიზერული თანხის დაზოგვის გამო კომპიუტერული ტექნიკა ფუჭდება და მისი შეკეთება, სულ ცოტა, 150 დოლარი ჯდება. კომპიუტერის გაწმენდა კი 45 ლარი ღირს.** დიდი პრობლემაა აკუმულატორული ბატერეების ე. წ. სიკვდილი. ვგულისხმობ ლეპტოპის ბატარეებს, რომელიც შეძენიდან ერთი წლის შემდეგ უფუნქციო ხდება. **როდესაც მთელი დღის განმავლობაში ჩართულია ლეპტოპი და პარალელურად მისი ბატარეებიც იტენება, ბევრს ჰგონია, რომ ლეპტოპი უფრო დაცულია, არადა, პირიქით ხდება — ასეთ შემთხვევაში ბატარეა ზარმაცდება, ველარ აღიქვამს თავის ფუნქციას და კვდება. ამიტომ, ლეპტოპის ბატარეა აუცილებად 100 პროცენტით უნდა დაიმუხტოს, შემდეგ დასამუხტი მოწყობილობა გამორთოთ და განაგრძოთ მუშაობა. ლეპტოპის ბატარეა მაშინ უნდა დავმუხტოთ, როცა თითქმის ბოლომდე დაჯდება, ანუ მარაგი 10-დან 5 პროცენტამდე დარჩება.**

**— კომპიუტერის კლავიატურაში სითხის ჩაღვრის შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ?**

— ყავის, წვენის ან თუნდაც წყლის ჩაღვრის შემთხვევაში, ბევრი განაგრძობს მუშაობას და მომხდარს ყურადღებას არ აქცევს ან ფენით ცდილობს დასველებული კლავიატურის გაშრობას, რაც საშინელებაა. **თუ კომპიუტერში ჩაგეღვრებათ სითხე, პირველ რიგში, აპარატურა ელექტროქსელიდან უნდა გამორთოთ. შემდეგ მას ამოაცალეთ ბატარეა და დააპირქვავეთ, ჩაღვრილი სითხე უკან რომ გამოვიდეს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება კლავიატურა დაიწვას, მაგრამ ძირითად და ძვირად ღირებულ ნაწილებს გადაარჩენთ.** როდესაც ფენით ცდილობენ კომპიუტერის გაშრობას, ჰაერის ზემოქმედებით სითხე სიღრმეში შედის და მიკროსქემებამდე აღწევს, რაც კომპიუტერის მთლიანად დაწვას იწვევს.

**დაუშვებელია ლეპტოპის ლოგინში ჩადება ან ქსოვილზე დადება,** რადგან მიკროსქემები ძალიან ხურდება, რაც იწვევს გადაწვას. ამიტომ, **ვისაც საწოლზე წამოწოლილს უყვარს ინტერნეტში მუშაობა, აუცილებლად უნდა გამოიყენოს სპეციალური ქულერი (გამაგრილებელი — ნ. მ) ანუ მინიმაგიდა, რომელზეც იდება ლეპტოპი.** ამით ხდება ჰაერის ცირკულაცია, ლეპტოპი რომ არ გადაიწვას.

**სახიფათოა ლეპტოპის ან ჩვეულებრივი კომპიუტერის მუშაობა ბინაში, სადაც ცხოველებიც ცხოვრობენ, რადგან ქულერის ბრუნვის შედეგად კომპიუტერში ცირკულაციისთვის შეტანილ ჰაერს მიჰყვება მტვრის ნაწილაკები, მათ შორის, ცხოველის ბეწვიც, რაც ბლოკავს სავენტილაციო არხებს.** ასევე არ შეიძლება აპარატურის ჩართვა სახლში, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარებს. ხოლო რემონტის დასრულების შემდეგ აუცილებლად უნდა მოხდეს აპარატურის გაწმენდა.



**— პლანშეტის მფლობელებმა რა უნდა გაითვალისწინონ?**

— მთავარია, დამუხტვის დროს არ „შევაწუხოთ“ სენსორი, თუ ასე მოვიქცევით, სენსორი გაცილებით დიდხანს იმუშავებს. რაც მთავარია, პლანშეტი გამორთულ მდგომარეობაში 5-დან 10 პროცენტამდე მაინც უნდა დაიტენოს და შემდეგ განვაგრძოთ მუშაობა.

**— ბოლო ხანს „ვინდოუსს“ ხშირად აყენებენ არაპროფესიონალები. რა შეიძლება გამოიწვიოს „ვინდუსის“ არასრულფასოვნად გაინსტალირებამ?**

— ნამდვილად ასე ხდება, რის გამოც დაზიანებული ტექნიკა სერვისცენტში მოაქვთ. მათ, ვინც კომუპიუტერულ ტექნოლოგიებს სწავლობს, ჰგონიათ, რომ „ვინდოუსის“ ე. წ. გადაყენება უმარტივესი პროცესია და ამის გაკეთება იციან. შეიძლება ერთხელ გამოგივიდეს, მაგრამ ზოგიერთ ლეპტოპს დრაივერების თანმიმდევრობის დაცვა სჭირდება ან კონკრეტული ბრენდის ვებგვერდიდან უნდა გადმოიწეროს სპეციალური პროგრამა. ეს რომ არ იციან და არაპროფესიონალურად აყენებენ „ვინდოუსს“, სისტემას აზიანებენ. ასეთ შემთხვევაში ვინჩესტერიდან ხშირად დაკარგულა მთელი ინფორმაცია.

გასათვალისწინებელია, რომ **„ცე“ დისკის სრულად დატვირთვა კომპიუტერს მუშაობაში ხელს უშლის.** ის სისტემური დისკია და ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია „დე“ დისკზე უნდა შევინახოთ. მართალია, „დე“ დისკს არ აქვს დაცვის ასპროცენტიანი გარანტია, რომ იქ არსებული ინფორმაცია არ წაიშლება, მაგრამ „დე“ უფრო დაცული დისკია. გამოსავალი კი არის ის, რომ „ცე“ და „დე“ დისკებიდან ინფორმაცია გარე ვინჩესტერზე გადავიტანოთ.

**— კომპიუტერში დაკარგული ინფორმაციის აღდგენა როგორ ხდება?**

— ინფორმაციის ალმდგენი ტექნიკა 12-დან 15 ათას ევრომდე ღირს და ჯერჯერობით არ ვყიდულობთ, რადგან დაკარგული ინფორმაციის აღდგენის მოთხოვნა საქართველოში არ არის, ამიტომ ჩვენს კლიენტ ორგანიზაციებს ყოველთვის ვაფრთხილებთ, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გარე ვინჩესტერზე გადაიტანონ.

**— მართალია, რომ ესა თუ ის კომპიუტერული ბრენდი ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის უფრო დაბალხარისხიან ტექნიკას ამზადებს, ვიდრე დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოებისთვის?**

— ნამდვილად ასეა, თუმცა ჩვენი კომპანია ევროპული ქვეყნებისთვის განკუთვნილ ტექნიკას იღებს, ამიტომაც არის ჩვენი მომხმარებელი კმაყოფილი, რადგან დიდ სხვაობას ხედავს სხვა სერვისცენტრებთან შედარებით.

**— რომელია დღეს ყველაზე კარგი კომპიუტერული ბრენდი?**

— მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, **საუკეთესო ლეპტოპებს „ეიფლი“ უშვებს.** „ეიჩ პი“-ც კარგი ბრენდი იყო, მაგრამ 5 წელია, მის მიერ წარმოებული ტექნიკა ველარ არის ადრინდელივით გამძლე.

**«ლეპტოპის ბატარეა აუცილებად ასი პროცენტით უნდა დაიმუხტოს, შემდეგ დასამუხტი მოწყობილობა გამორთოთ და განაგრძოთ მუშაობა. ლეპტოპის ბატარეა მაშინ უნდა დავმუხტოთ, როცა თითქმის ბოლომდე დაჯდება, ანუ მარაგი 10-დან 5 პროცენტამდე დარჩება»**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

---

მსოფლიო

## პარიზელები მენაგვის დიპლომის მისაღებად რიგში ჩადგნენ

**პარიზში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობისა და უმუშევრობის მაღალი დონის გამო მომავალი მენაგვეებისთვის კოლეჯი გაიხსნა. პროფესიის დაუფლების მსურველთა რაოდენობა ისეთი დიდი აღმოჩნდა, რომ მათ მომლოდინეთა სიაში ჩაწერა მოუწიათ.**

ბევრმა უმუშევარმა გადაწყვიტა, დაუფლებოდა პროფესიას, რომელიც სტაბილური და საკმაოდ მაღალი შემოსავლის (თვეში 1,5 ათასი ევრო) გარანტიაა. კოლეჯში სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს საფრანგეთის მთავრობის მიერ აღიარებულსერტიფიკატებს გადასცემენ.

პარიზი რეგულარულად ხვდება ევროპის ყველაზე დაბინძურებული დედაქალაქის სამეულში ლონდონსა და ათენთან ერთად. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ტურისტებს შორის პოპულარული ტიულერის სასახლე, რომელიც ლუვრიდან 100 მეტრის დაშორებით მდებარეობს, ვირთხებით გაივსო.



ფერი ფერსო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოფილი პრეზიდენტისა და მისი ახლობლების კოსმეტიკურ პროცედურებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 673 260 ლარი რომ დაიხარჯა, კარგი „სემიჩკის ფულია“, ჩემმა მზემ! „ხალხისთვის წამებულ ამ რაინდს“ კი, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მოსაზრებით, რუსეთის საამებლად ლაფში სვრის ვინმე „რუსი ოლიგარქი“ და „ჰაკიმ ფაშა“.**

**მსოფლიო ბანკის სპეციალისტებმა ნარკოტიკებზე კონტროლის გაეროს კომიტეტის კოლეგებთან ერთად საზოგადოებრიობას წარუდგინეს ბოლო ათწლეულში მსოფლიოს ყველაზე უფრო კორუმპირებული ჩინოვნიკების რეიტინგი. მათი სია მოცემულია მოხსენებაში, რომელიც მიეძღვნა ანტიკორუფციულ სტრატეგიას და ითვალისწინებს „მოპარული აქტივების დაბრუნებას“. კორუმპირებულ დიქტატორთა პირველ ხუთეულში შედიან: სუხარტო, ინდონეზია (15-დან 25 მილიარდ დოლარამდე); ფერდინანდ მარკოსი, ფილიპინები (5-დან 10 მილიარ დოლარამდე); მობუტუ სესე სეკო, ზაირი (5 მილიარდი დოლარი); სანი აბაჩა, ნიგერია (2-დან 5 მილიარ დოლარამდე); ჟან-კლოდ დიუვალიე, ჰაიტი (300-დან 800 მილიონ დოლარამდე).**

# მიშამ ჭამა...



**თუ ეს სისხლის სამართლის საქმე რაიმე მიზეზით არ გამრუდდა (იმედი ვიქონიოთ, რომ ასე არ იქნება), მაშინ უთუოდ გაეცემა პასუხი მთავარ შეკითხვას: მოხმარდა თუ არა ქვეყნის საჭიროებას ის მილიარდები, რომლებიც სახელმწიფო ვალად დააწვა საქართველოს?**

შემდეგ მოდიან: ალბერტო ფუხიმორი, პერუ; არნოლდო ალემანი, ნიკარაგუა; ჯოზეფ ესტრადა, ფილიპინები და უკრაინის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე პაველ ლაზარენკო, რომელმაც ორ წელიწადში 114-დან 200 მილიონამდე დოლარის მითვისება მოასწრო.

როგორც ხედავთ, მილიარდებზეა ლაპარაკი, ასობით მილიონებზე. ამათთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის ქურდ მიშას მიერ მილიონობით დოლარის მითვისება (რაც ჯერჯერობით ედება ბრალად) ჯიბგირობაზე ძლივს ქაჩავს, თბილისში, ტრამვაისა და ტროლეიბუსების მარშრუტებზე „ჯიბეზე მოსიარულე“ წვრილმანი ხელმარჯვეების დონეზეა, თორემ „სონიჩკა ზოლოტაია რუჩკას“ სიმაღლეებს რას მისწვდება!

„კროხობორია“.

წვრილმანიაო, ახლა ამას დაიხვევენ ხელზე სამართალში მიცემული მიხეილ სააკაშვილის მიერ კარგად დაფინანსებული თუ მოხალისე ნაცადვოკატები, რომლებიც რიგში დგანან ტელეეკრანებზე თავის გამოსაყოფად და „მათი დაცვის ქვეშ მყოფი“ კლიენტის გასათეთრებლად მორიგი არაადეკვატური სისულელით ეთერის დანაგვიანების ხარჯზე.

ისეთის, როგორც ერთ-ერთმა მათგანმა ამასწინათ იკისრა: **რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, ამორალობაა და არა სისხლის სამართლის დანაშაულიო, რადგან კანონის საწინააღმდეგო, სამართლის მოთხოვნების საწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენიაო.**

ამორალობა, რომელიც სამართლის ჩარჩოებში ეტევა!

ეს რაღაც ახალიაო, ვიტყოდი, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ზუსტად იმავეს ქადაგებდა ფაშიზმის ოფიციალური იდეოლოგიური პრინციპები და გებელსის პროპაგანდისტური მანქანა?

ამორალურიაო და მეტი არაფერი, ანუ ზნეობრივი კატეგორიაა და კანონს არ ექვემდებარებაო.

ერთი ხალხსაც ჰკითხეთ!

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებსა და საკუთარ ჯიბეს შორის განსხვავებას რომ ვერ ხედავს სახელმწიფოს მმართველი, ხოლო მის გამართლებას მორალის მოშველიებით რომ ცდილობენ, ესაა ყველაზე დიდი ამორალობა.

და სისხლის სამართლის დანაშაული.

სისტემური დანაშაული, რომელსაც ახლა უკვე სამართლებრივ სივრცეში განიხილავს ქვეყნის მთავარი პროკურატურა და თანდათან უმძიმებს ბრალს ყოფილ პრეზიდენტს. **თუ ეს სისხლის სამართლის საქმე რაიმე მიზეზით არ გამრუდდა (იმედი ვიქონიოთ, რომ ასე არ იქნება), მაშინ უთუოდ გაეცემა პასუხი მთავარ შეკითხვას: მოხმარდა თუ არა ქვეყნის საჭიროებას ის მილიარდები, რომლებიც სახელმწიფო ვალად დააწვა საქართველოს?**

თორემ ახლა 5 მილიონი დოლარის მითვისება-გაფლანგვას ედავებიან სააკაშვილს.

მხოლოდ ხუთი მილიონიო?! აღავლავდებიან დაქირავებული და მოხალისე ადვოკატები: განა ღირს ამ „სემიჩკის ფულის“ გამო სააკაშვილის გასამართლება? მილიარდების მიმთვისებელი მმართველები — ჰო, გასაგებია, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტის მიერ შეჭმული რამდენიმე მილიონი ლარი იმათთან რა მოსატანია!

**ყოფილი პრეზიდენტისა და მისი ახლობლების კოსმეტიკურ პროცედურებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 673 260 ლარი რომ დაიხარჯა, კარგი „სემიჩკის ფულია“, ჩემმა მზემ!**

**„ხალხისთვის წამებულ ამ რაინდს“ კი, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მოსაზრებით, რუსეთის საამებლად ლაფში სვრის ვინმე „რუსი ოლიგარქი“ და „ჰაკიმ ფაშა“.**

**აი, უკრაინის ხელისუფლებას კი მაია ფანჯიკიძემ მხარდაჭერა არ გამოუცხადაო.**

აუჰ!

სად დავკარ და სად გასკდაო: თავად ლუარსაბ თათქარიძის „გაფრენილან!“ ამათ საკუთარ ნოუჰაუდ აქვთ გამოცხადებული, არაადეკვატურობის ჩემპიონებს.

ადვოკატები — ადვოკატებად, ამათ ყველაფერი ეპატიებათ, რადგან ასეთი განცხადებებით იმ პურსა ჭამენ, რომელიც, წესით, სამართლისთვის არის განკუთვნილი.

პარლამენტის დეპუტატი, განათლებით იურისტი მინაშვილი, აკოდ წოდებული, „მაესტროს“ ეთერში თავს რომ იბითურებდა, ის უნდა გენახათ. ეს, სააკაშვილის ცოდვით სავსე მოპაექრე არაადეკვატურობის რეკორდს რეკორდზე ამყარებდა, ოღონდ თავი აერიდებინა პროგრამის წამყვანების მიერ დასმული ელემენტარული შეკითხვებისთვის. ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც მიხეილ სააკაშვილი, რომელიც პრეზიდენტის სასახლეში გამართული პრესკონფერენციების დროს მისთვის სპეციალურად შერჩეული ჟურნალისტების შეკითხვებს ისე გაურბოდა, როგორც ებოლას ვირუსით ინფიცირებულ აფრიკელებს.

მინაშვილის გაბრწყინება 15 აგვისტოს მოხდა, პარასკევ დღეს „მაესტროს ცხრიანში“, სადაც მიწვეული ჰყავდათ ეკა ბესელიასთან ერთად.

ჰოდა, ეს პატივცემული გვამი ჯერ განაცხადებს, რომ **უარი პასუხზე გარკვეულწილად არის პასუხი,** შემდეგ კი, რაც და როგორც შეეძლება, თავს აარიდებს პროგრამის წამყვანი ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხის გაცემას, რომლებიც ეხებოდა სააკაშვილის მიერ ბიუჯეტის ფულის ხარჯვას თავისი ეგზოტიკური სურვილების დასაკმაყოფილებლად, ისეთების, მაგალითად, როგორიც ესპანელი მზარეულის ან მასაჟისტ დოქტორ დოტის მოწვევა იყო.

**„წამყვანი: — მასაჟისტის ჩამოყვანის საკითხი უქმნის თუ არა თქვენს პოლიტიკურ გუნდს უხერხულობას, როცა ყოფილი პრეზიდენტის ხარჯებზეა ლაპარაკი?**

**მინაშვილი:** — კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ ეს პრიმიტიული მიდგომაა, ჩემი აზრით, ჩვენი ოპონენტების მხრიდან... რაც შეეხება მასაჟისტის ხარჯებს... ბევრი არასწორი ინფორმაციაა და ძალიან ფალსიფიცირებული ინფორმაციაა აქ გავრცელებულ დოკუმენტებში.

— ტყუილია?! *(ეს ეკა ბესელიას გაოცებული რეპლიკაა).*

**წამყვანი: — მასაჟისტის თემა ფალსიფიცირებულია, ბატონო აკაკი?**

**მინაშვილი:** — დავასრულებ, თუ შეიძლება. მთავარი თემაა, რაც დღეს ხდება ჩვენს სახელმწიფოში... საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს ხელისუფლება, ამ ხელისუფლების მიზანია კანონის დარღვევა და პრემიერმინისტრი ცდილობდა, აეძულებინა ის, რომ კანონი დაერღვია. ჩვენ გვახსოვს ხომ პრეზიდენტის განცხადება. მეორე, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი პრეზიდენტის განცხადებაში, ეს საკითხი, მთელი ამ დღეების განმავლობაშია კოსტუმებთან და ვერტმფრენებთან დაკავშირებით, ეს საკითხი უკავშირდება საგარეო საკითხს, აქ არის საუბარი პოლიტიკურ დევნასთან. სენსიტიური საკითხია, ეს აწუხებს ჩვენს პარტნიორებს. ამას გულისხმობდა და ამას უნდა მივაქციოთ ჩვენ ყურადღება... *(თუ ამ აბდაუბდიდან ჩვენმა მკითხველმა რაიმე გაიგო, ბარაქალა მას!)*

**წამყვანი: — უქმნის თუ არა მასაჟისტის საკითხი უხერხულობას თქვენს პოლიტიკურ გუნდს?**

**მინაშვილი:** — მთავარი საზრუნავი, იცით, რა არის? მთავარი საზრუნავი არის ის, რომ ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანა წინ წავიდეს, დღეს ჩვენ გვყავს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე, რომლის საწყისი საქმიანობა იყო რუსი ჯაშუშების გათავისუფლება... მთავარი პრობლემა, იცით, რა არის? მთავარი პრობლემა არის ის, რომ დღეს საგარეო საქმეთა მინისტრს ერიდება, თქვას და მხარი დაუჭიროს ღიად უკრაინას.

**წამყვანი: — პრეზიდენტმა დაუჭირა მხარი.**

**(მინაშვილი თავისას განაგრძობს).**

**წამყვანი: — უნდა ხარჯავდეს თუ არა რომელიმე სახელმწიფო მოხელე თუნდაც ერთ ლარს რაიმე ტიპის საკუთარ სიამოვნებაზე? როგორია თქვენი პრინციპული მიდგომა?**

**მინაშვილი:** — მირჩევნია მყავდეს პრემიერ-მინისტრი, რომელიც ხარჯავს 1000 დოლარს, 2000 დოლარს, 3000 დოლარს კოსტუმში და ამ კოსტუმით (!) დაიცავს საქართველოს ინტერესებს ნებისმიერ ფორუმზე და არ იქნება შეშინებული, არ დათმობს საქართველოს ტერიტორიას; არ ეცდება, საკუთარი კომფორტი და უსაფრთხოება საქართველოს ინტერესების ხარჯზე დაალაგოს... ეს არის ჩემი პასუხი და, მე მგონი, ეს პასუხი არის ძალიან ნათელი და მკაფიო“.

**აი, ასე დაგვიმტკიცა აკო მინაშვილმა, რას ნიშნავდა მისი დებულება, რომ „უარი პასუხზე გარკვეულწილად არის პასუხი“, ხოლო მეორე წილი დემაგოგიაა.**

კიდევ კარგად გადავრჩენილვართ ამ უპრინციპო სიტყვამრუშთა ხელში.

ესენი ცდილობენ ბრალდებულ სააკაშვილის დაცვას და, რა თქმა უნდა, აიქოჩრებიან სისხლის სამართლის დამნაშავე დიქტატორებთან მისი შედარების გამო: განსხვავებული სიდიდეებიაო, განსხვავებული მასშტაბი და, სპეციფიკა. ასეა, დიახ. მაგრამ დავაკვირდეთ მათი ბიოგრაფიების ქარგას, შევადაროთ და აუცილებლად დავასკვნით, რომ მსგავსება დიდია, თითქმის ერთი ერთზეა და შედეგიც ერთი და იგივე უნდა იყოს — თეორიულადაც და პრაქტიკულადაც. პასუხისგებას ვგულისხმობ.

**თვალსაჩინოებისთვის შევადაროთ ერთმანეთს 1965-1986 წლებში ფილიპინების რესპუბლიკის პრეზიდენტის — ფერდინანდ მარკოსისა და მიხეილ სააკაშვილის ცხოვრების ძირითადი ეტაპები.**

მარკოსს მინიჭებული ჰქონდა „ხალხის მამისა“ და „ხალხის ბელადის“ ტიტულები.

სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურა“ იყო, რომელიც თავისი არსით ხალხზე მზრუნველობას, ხალხისთვის ▶

## მიხეილ სააკაშვილის პიჯაკები პატრულის განკარგულებაში გადავიდა

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, კუთვნილი ტანსაცმელი, კერძოდ, რამდენიმე პიჯაკი, პატრულის განკარგულებაში გადავიდა.** პატრულმა შვიდი პიჯაკი და ერთი პალტო სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერ ლანა ღვინჯილიასგან გადაიბარა.

ღვინჯილიამ ჟურნალისტებს განუმარტა, რომ ეს ნივთები მთავრობის ადმინისტრაციაში ყოფილი პრეზიდენტის დავალებით მიიტანეს, მაგრამ მთავრობის ადმინისტრაციამ არ ჩაიბარა, ამის გამო მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან დაპირისპირებაც კი მოუწია. პიჯაკები და პალტო პატრულის განკარგულებაში მანამდე დარჩება, ვიდრე არ გაირკვევა, ვის უნდა გადაეცეს ისინი.

რამდენიმე დღის წინათ პროკურატურამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სააკაშვილმა ბიუჯეტის კუთვნილი თანხები პირადი ინტერესებისთვის გამოიყენა, მათ შორის — შეიძინა რამდენიმე პიჯაკი, პალტო და სხვა ნივთები. მთავრობის კანცელარიაში სააკაშვილის ბიბლიოთეკის პრესსამსახურის წარმომადგენელმა სწორედ ეს პიჯაკები და პალტო მიიტანა.



# მოიპარეს, მიითვისეს, გაფლანგეს, პირადი კომფორტისა და სიამოვნებისთვის დახარჯეს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები. მაგრამ დაიბრუნებს კი ქვეყანა, ხალხი ამ ფულს? მთავარი ესაა და არა ის, დააპატიმრებენ თუ არა მიხეილ საკაშვილს, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



სუხარტო



ფერდინანდ მარკოსი



მობუტუ სესე სეკო



სანი აბაჩა



ჟან-კლოდ დიუვალიე

...თავის გადადებას, ხალხის მმართველობის დამნერგავს ნიშნავს, მაგრამ მარკოსის ტიტული თუ საკუთარი, ფილიპინელი ხალხის მამობით იყო შემოფარგლული, სააკაშვილის შუქურობის მასშტაბი სხვა ხალხებზეც ვრცელდებოდა: მიბაძეთ და მიჰყევით მის მიერ განათებულ გზას!

პრეზიდენტი ბუში იყო ნათლია მისი...

პრეზიდენტად არჩევის დროისთვის (1965 წელს) მარკოსი უკვე იყო გამოცდილი და ცნობილი პოლიტიკოსი — ბრწყინვალე ორატორი სამჯერ აირჩიეს წარმომადგენელთა პალატაში, შემდეგ — სენატში.

სააკაშვილსაც ეხერხებოდა ზეპირსიტყვაობა, ყოველ შემთხვევაში, სიტყვის საძებრად ჯიბეში არ იქექებოდა, არჩეული იყო საქართველოს პარლამენტში; იყო „მოქალაქეთა კავშირის" ფრაქციის ხელმძღვანელი, იუსტიციის მინისტრი; თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე.

ჯერჯერობით — მხოლოდ კარიერული აღმასვლა, აშკარად გამოკვეთილი პოპულისტური ნიშნებით.

**ჩვენთან იმდენს ითვისებდნენ, რამდენის საშუალებასაც ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი იძლეოდა. ნემსისა და აქლემის ქურდის იგივეობის პრინციპი, რომელიც ხალხის სიბრძნის ნიშანია, გვეუბნება, რომ, მასშტაბისა და მოცულობის განსხვავებულობის მიუხედავად, ჩვენი და ფილიპინების ელიტურმა კორუფციონერებმა ერთნაირად უნდა აგონ პასუხი.**

**პრეზიდენტი რომ გახდა, მარკოსმა დაიწყო რეფორმების განხორციელება და ამ მიმართულებით პოპულარობაც მოიპოვა, უწინარეს ყოვლისა, პოპულისტური ლოზუნგების წყალობით,** რომლებიც სიღატაკის დაძლევის, ეკონომიკის აღმავლობისა და სტაბილურობის დამყარების პრობლემებს ეხებოდა.

**ზუსტად ასევე დაიწყო საპრეზიდენტო კარიერა მიხეილ სააკაშვილმა. ყველას ახსოვს და გამეორებას აზრი არ აქვს.**

**მარკოსმა დანაპირების შესრულება ვერ შეძლო** — ვერც სიღარიბე დაძლია, ვერც სტაბილურობა დაამყარა, რეფორმებიც ფორმალობად იქცა. სამაგიეროდ, **ფილიპინებზე საგანგებო მდგომარეობის შემოღებით, მიიღო განუსაზღვრელი უფლებამოსილება.**

**სააკაშვილის დაპირებებიც ფუჭი აღმოჩნდა, მანაც მიიღო დამატებითი უფლებამოსილება ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გზით. ეკონომიკური „აღმავლობის" შთაბეჭდილება გრანტებისა და სესხების მიღებით შეძლო (ფასადები, გზები, ერთი და იმავე „საწარმოების" რამდენიმეჯერ გახსნა და ა. შ.).**

**ყველა, ვინც მარკოსის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლას გაბედავდა, რეპრესიის მარწუხებში ექცეოდა, სიტყვის თავისუფლება მოისპო,** სპეცსამსახურების როლი არნახულად გაიზარდა, დამთრგუნავი მანქანა მთელი ძალით ამუშავდა, 60 ათასმა კაცმა იგრძნო საპატიმრო ადგილების არნახული სიმკაცრე.

**ჩვენთან სხვანაირად იყო? იგივე რეპრესიები, ყველა ტელევიზიის პოლიტიკური ტოქშოუების დახურვა, ოპოზიციის დარბევები, „იმედში" შევარდნა, ზონდერების თავგასულობა და საზეიმო სვლა რუსთაველზე: „ბადრის რა?.."**

ეს ისე, მისანიშნებლად, რადგან ყველაფერი, რაც სააკაშვილის დროს საქართველოში ხდებოდა, განსაკუთრებით კი — საქართველოს ციხეებში, ზედმიწევნით იცის ჩვენმა მკითხველმა.

**ფილიპინებზე ფეხს იკიდებს და ვითარდება კორუფცია, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით დაიწყო მარკოსმა პრეზიდენტობა (მიხეილ სააკაშვილმაც),** ნეპოტიზმი: ფილიპინების რესპუბლიკაში სახელმწიფო პოსტები დაიკავეს მარკოსის ნათესავებმა, ახლობლებმა, მეგობრებმა, ხოლო ბავშვობის მეგობარი პირადი შოფრობიდან მინისტრად დააწინაურა.

არ გვიკვირს, რადგან ჩვენს სინამდვილეში გიორგი უგულავას შოფრის — სუბელიანის ლტოლვილთა და განსახლების გამინისტრებას ვართ მოსწრებული.

**მარკოსმა თავის ქვეყანაში საოჯახო მონოპოლია დაამკვიდრა, რომლითაც ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სფეროები მოიცვა. პრეზიდენტთან დაახლოებული ადამიანები მართავდნენ ამ პროცესს (ჩვენთან — ბენდუქიძე), არნახულად იაფად (ჩვენთან ერთ ლარად) ჰყიდდნენ საწარმოებს და „ოტკატებს" იჯიბავდნენ.**

**საქართველოში დაბალ დონეებზე არსებული კორუფცია ელიტურმა კორუფციამ შეცვალა.** ეს იცოდა ყველამ, იცოდა ბლანჟიან-სათვალეებიანმა დეპუტატმა გურამ ჩახვაძემაც, რომელმაც პარლამენტის ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე მიშასთან წინასწარ შეთანხმებულ-შემუშავებული სცენარით უნიჭო სკეტჩი გაითამაშა და ენა მყისიერად მუცელში ჩაიგდო, როცა მის „გაბედულ" შენიშვნაზე სააკაშვილი აფართხალდა და კონკრეტული კორუფციონერების დასახელება სთხოვა.

ის ყოფილი დეპუტატი ახლაც დუმს. სამაგიეროდ, როგორც იქნა, მთავარმა პროკურატურამ ელიტური კორუფციის შესახებ შთამბეჭდავი დოკუმენტები დადო კონკრეტულ ბრალდებათა სახით.

**განსხვავებული მასშტაბებია? სააკაშვილის გახარჯული მილიონები წვრილმანია ქურდი დიქტატორების მილიარდებთან შედარებით?**

**ასეა მართლაც, მაგრამ გააჩნია ვისთვის.**

**შევადაროთ თუნდაც ფილიპინების რესპუბლიკას საქართველო და ამ შედარებით წარმოვაჩინოთ მასშტაბების განსხვავებულობის პრინციპით დანაშაულის შეფასებისადმი განსხვავებული მიდგომის უსაფუძვლობა.**

ფილიპინების რესპუბლიკის მოსახლეობა 80 მილიონამდეა. ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს ხმელეთი 300 ათასამდე კვადრატული კილომეტრია. მშპ-მ ჯერ კიდევ 1994 წელს 161 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

საქართველოს ბიუჯეტი 8 მილიარ დოლარამდეა. მაშასადამე, სავსებით ლოგიკურია, რომ ჩვენი ბობოლების ნაქურდალი მილიონები ვერ შეედრება ფილიპინების ყოფილი მმართველის მითვისებულ მილიარდებს.

ჩვენთან იმდენს ითვისებდნენ, რამდენის საშუალებასაც ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი იძლეოდა. ნემსისა და აქლემის ქურდის იგივეობის პრინციპი, რომელიც ხალხის სიბრძნის ნიშანია, გვეუბნება, რომ, **მასშტაბისა და მოცულობის განსხვავებულობის მიუხედავად, ჩვენი და ფილიპინების ელიტურმა კორუფციონერებმა ერთნაირად უნდა აგონ პასუხი.**

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ უპრიანი იქნება, მსგავსების ერთი დეტალიც დავუმატოთ მარკოსისა და სააკაშვილის ბიოგრაფიების ჩვენეულ შედარებას.

**1986 წელს მარკოსი იძულებული გახდა, ჩაეტარებინა პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები (სააკაშვილიც იძულებული გახადეს, ასე მოქცეულიყო). გაიმარჯვა მისმა მოწინააღმდეგემ, ოპოზიციის მოკლული ლიდერის — ბენინოს ქვრივმა აკინო კორასონმა.**

არჩევნების დამთავრების შემდეგ, რომელიც უხეში დარღვევებით ჩატარდა, ხელისუფლებამ ფერდინანდ მარკოსი გამოაცხადა გამარჯვებულად — 3 პროცენტით მეტი მიიღოო.

**საქართველოში პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებში გაიმარჯვა ოპოზიციის კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ, მაგრამ პრეზიდენტობა სააკაშვილმა მიითვისა.**

ფილიპინურმა ოპოზიციამ არ ცნო მარკოსის გამარჯვება, დაიწყო ხალხის მღელვარება, რომელსაც მხარი დაუჭირეს ეკლესიამ და სამხედროებმა. მარკოსი იძულებული გახდა, გაქცეულიყო.

ჩვენ ასეთ ფინალს იმ არჩევნებიდან ხუთ წელიწადს ველოდით.

**მოიპარეს, მიითვისეს, გაფლანგეს, პირადი კომფორტისა და სიამოვნებისთვის დახარჯეს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები.**

**მაგრამ დაიბრუნებს კი ქვეყანა, ხალხი ამ ფულს? მთავარი ესაა და არა ის, დააპატიმრებენ თუ არა მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს.**

არსებობს მსოფლიო ბანკისა და გაეროს მიერ შემუშავებული მიტაცებულის დაბრუნების გეგმა სახელწოდებით Star (აბრევიატურა Stoler Asset Recovery-ის). დაზარალებულ ქვეყნებს მიეცათ წინადადება, მოახდინონ კორუფციასთან ბრძოლის გაეროს კონვენციის (UNCAC) რატიფიცირება. ამ საქმეში მათ დაეხმარებიან მსოფლიო ბანკი, გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. მაგრამ **რამდენად ეფექტიანია ეს დახმარება, ამაზე მეტყველებს იმავე ფილიპინების მაგალითი, რომლის ხელისუფლებამ 18 წელიწადი მოანდომა უცხოეთიდან მარკოსის მიერ მიტაცებული 624 მილიონი დოლარის (მხოლოდ ამდენის) დაბრუნებას.**

ექსპერტები ადასტურებენ, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკებისა და დამხობილი დიქტატორების მიერ მიტაცებული თანხის დაბრუნების დღეს მოქმედი სისტემა უეფექტოა. ეს ფული, საუკეთესო შემთხვევაში, იყინება ბანკებში და ხალხისთვის მის დაბრუნებას წლები სჭირდება. არადა, ყოველწლიურად მსოფლიოში ჩინოვნიკები 40 მილიარდ დოლარს ითვისებენ, რომელიც განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად გაწეული სახსრების 40 პროცენტს შეადგენს.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. მოკლედ, დიდ „ხლაფორთშია" გახვეული მიხეილ სააკაშვილი. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას: მალე გვეტყვიან, რა შეჭამა მიშამ.**

## სკანდალური დოკუმენტი დავით ბაქრაძის ფინანსებზე

**ინტერნეტში გავრცელდა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა და მისმა მეუღლემ ბრიტანულ ბანკში დახურეს ანგარიში, რომელზეც 261,757.83 გირვანქა სტერლინგი (754,700.17 ლარი) ჰქონდათ.**

**ბაქრაძის მისამართით გაგზავნილ HSBC-ს დოკუმენტზე აღნიშნულია 3-წლიანი ფიქსირებული ანგარიშის ნომერი — 40228434012380. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ინსტრუქციის საფუძველზე, ზემოთ აღნიშნული ანგარიშის დახურვის გადაწყვეტილებაა მიღებული.**

2013 წლის დეკლარაციაში დავით ბაქრაძეს „თიბისი ბანკში" სახელფასო ანგარიშზე 52.00 ლარი, ასევე, ამავე ბანკის ანაბარზე აქვს 51 760.00 აშშ დოლარი. ამასთანავე, „საქართველოს ბანკში", საკრედიტო ანგარიშზე აქვს 784.00 (დებეტი). მისი მეუღლის — მაკა მეტრეველის მიმდინარე ანგარიშზე თიბისი ბანკში მითითებულია 32.00 აშშ დოლარი, „პროკრედიტ ბანკში" სახელფასო ანგარიშზე — 30.00 ლარი, „ლიბერთი ბანკში" საკრედიტო ანგარიშზე — 3.00 ლარი. გრაფაში, „თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა აღემატება 4 000 ლარს", დავით ბაქრაძეს მითითებული აქვს 15 000.00 ლარი და 10 000.00 აშშ დოლარი. ბაქრაძის მშობლებს – შუქრი და ლილი ბაქრაძეებს „სახალხო ბანკში" საპენსიო ანგარიშზე აქვთ შესაბამისად 30.00 და 20.00 ლარი. შვილებს – ეკატერინე და ნინო ბაქრაძეებს კი „თიბისი ბანკის" ანაბარზე — 13 500.00 და 13 500.00 ლარი.

გასულ წელს პარლამენტის წევრის თანამდებობაზე ბაქრაძემ 84 465.00 ლარი მიიღო, მაკა მეტრეველმა კი „ჩაჩავას კლინიკაში" მარკეტინგის დარგში დირექტორის თანაშემწის თანამდებობაზე — 7450 ლარი, ხოლო შპს „სინათლის ქალაქში" სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის 12500 ლარი მიიღო.



მოკლედ

## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რამდენიმე საწარმო და რესტორანი დახურა

**სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტმა, კრიტიკული შეუსაბამობების გამო, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, წყალტუბოში, წალკასა და დაბა აგარაში რამდენიმე საწარმოსა და რესტორანს საწარმოო პროცესი შეუჩერა.**

სააგენტოს ინსპექტირების თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა შეამოწმეს: წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე ინდმეწარმე „ლევან ზირაქიშვილის" ხორცის სარეალიზაციო ობიექტი, ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე ინდმეწარმე „გიორგი სიფრაშვილის" ფქვილოვანი პროდუქციისა და ბურღულეულის საწარმო და კაიროს ქუჩაზე ინდმეწარმე „ბესიკ მიქაუტაძის" ხორცის გაყინული ნახევარფაბრიკატების საწარმო. საწარმოებში ანტისანიტარია (ზოგიერთ მათგანში ტარაკნები) აღმოჩნდა; დარღვეული იყო ტემპერატურული რეჟიმი და ხორცის დამუშავებისა და შენახვის პირობები.

იმერეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა კი საწარმოო პროცესი შეუჩერეს ქუთაისში, ახალგაზრდობის ქუჩაზე შპს „განახლებული მუხრანისა" და წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩაზე ინდმეწარმე „თეიმურაზ ჯიაძის" მზა კერძების საწარმოებს, რომლებშიც სხვადასხვა დარღვევა გამოვლინდა.

აჭარის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორებმა არაგეგმური ინსპექტირებისას ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე ინდმეწარმე „თურანმერჯანის" საშაურმე დახურეს.

აღნიშნულ ბიზნესოპერატორებს საწარმოო პროცესი შეუჩერდათ და ისინი 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დოკუმენტური მასალები უამრავი გვამის, სისხლისა და უსამართლობის შესახებ, რომლებიც ამ გზაზე გავლისას დატოვა იუდა გორბაჩოვმა, ტეტჩერის საქაღალდეში იდო. ეს დოკუმენტები ტეტჩერს საბჭოეთის მომავალ ლიდერზე გამარჯვების სრულ გარანტიას აძლევდა; გორბაჩოვს კი — გარანტიას იმისა, რომ, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩამდენი პირი გახდებოდა.**

# როგორ გაანადგურა გორბაჩოვმა სტალინის მიერ შექმნილი ზესახელმწიფო უცხოეთის სპეცსამსახურების დახმარებით

**„როდესაც მივიღეთ ცნობა საბჭოთა ლიდერის (იური ანდროპოვის) გარდაცვალების შესახებ, ვიფიქრეთ, ხელისუფლებაში მოგვეყვანა ადამიანი, რომლის მეშვეობითაც განვახორციელებდით ჩვენს სურვილებს საბჭოთა კავშირის მიმართ (ეს იყო აზრი ჩემი ექსპერტებისა, რომლებიც მუშაობდნენ საბჭოთა კავშირზე და იყვნენ საუკეთესონი). ეს კაცი იყო მიხეილ გორბაჩოვი“, — ამბობს მარგარეტ ტეტჩერი.**



როგორი იქნებოდა ტეტჩერისა და სხვა დასავლელი ლიდერების მიერ შერჩეული საბჭოთა გენმდივანი ხალხისა და ქვეყნისთვის, ყველასთვის გასაგებია. ხელისუფლების სათავეში გორბაჩოვის ყოფნის 6 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის საგარეო ვალი ხუთნახევარჯერ გაიზარდა, ხოლო ოქროს მარაგი თერთმეტჯერ შემცირდა. მოხდა ზესახელმწიფოს ლიკვიდაცია... თუმცა დავიწყოთ თავიდან:

უცხოეთის დაზვერვის მიერ გადაბირებული (როგორც ირკვევა, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში) რაისა ტიტარენკო შეაწყვილეს თავშეუკავებელ და ამბიციურ მიხეილ გორბაჩოვთან, რომელიც, ექსპერტთა აზრით, შეიძლებოდა, თავისი ქვეყნის საწინააღმდეგო იარაღად გამოეყენებინათ. **1966 წელს მიხეილ და რაისა გორბაჩოვების პირველი ვიზიტი, რომელიც საფრანგეთში შედგა, სამშობლოს ამ ორი მოღალატის მოღვაწეობის დასაწყისად ითვლება. ეს ვიზიტი, კონსპირაციის მიზნით, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ძალისხმევით განხორციელდა. კონსპირაციისა და რეზიდენტის დამუშავების პროგრამას კი ხელმძღვანელობდა აშშ-ის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ზბიგნევ ბჟეზინსკი.**

გორბაჩოვი, დასავლეთის დაკვეთით, ხშირად მოგზაურობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. 1971 წელს იგი იტალიის კომპარტიის მიწვევით გაემგზავრა რომში. როგორც საფრანგეთში, ისე იტალიაში გორბაჩოვს გამუდმებით აკვირდებოდნენ უცხოეთის დაზვერვის წარმომადგენლები და ადგენდნენ მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. 1972 წელს გორბაჩოვი ჩავიდა ბელგიაში, 1975 წელს — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხოლო 1976 წელს — საფრანგეთში.

**1977 წელს საფრანგეთში კიდევ ერთი ვიზიტისას გორბაჩოვი წარდგა ამ ქვეყანაში საიდუმლოდ ჩატანილი სპეცლაბორატორიის თანამშრომლების — ფსიქოლოგების, ფსიქიატრებისა და სხვა სპეციალისტების წინაშე, რომლებიც მუშაობდნენ ადამიანის ფსიქიკასა და ფსიქოლოგიაზე. ამის შემდეგ გორბაჩოვი მეუღლე რაისასთან ერთად საიმედოდ ჩაიწერა საბჭოთა კავშირის ხალხების მტრების სიაში.**

**გორბაჩოვი უცხოეთის სპეცსამსახურების დახმარებით ხელისუფლების სათავეში ანდროპოვის სიკვდილის შემდეგ მოვიდა. ბრეჟნევიდან გორბაჩოვამდე სამი წლის განმავლობაში ორმა გენსეკმა — ჩერნენკომ და ანდროპოვმა — „ვენოკებით“ გაიარა წითელ მოედანზე. მათი იმქვეყნად წასვლის მიზეზი დღესაც ბურუსით არის მოცული.**

1984 წლის დეკემბერში ცეკას რიგითი მდივანი მიხეილ გორბაჩოვი თავისი პატარა ჯგუფით, რომლის შემადგენლობაშიც იყო ალექსანდრე იაკოვლევი, ინგლისში გაემგზავრა.

დიდი ბრიტანეთის იმჟამინდელი პრემიერმინისტრი მარგარეტ ტეტჩერი გორბაჩოვთან შესახვედრად მზად იყო, რადგან მისი თხოვნით, 1983 წელს კანადის პრემიერმა ტრიუდომ თავის ქვეყანაში მიიწვია გორბაჩოვი და მასზე ზეგავლენაც მოახდინა. ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი გენმდივანი ანდროპოვი წინააღმდეგი იყო კანადაში გორბაჩოვის გამგზავრებისა, მაგრამ ის კანადაში სსრკ-ის ელჩმა ალექსანდრე იაკოვლევმა დაითანხმა.

**1984 წელს ტეტჩერმა განსაკუთრებული პატივით მიიღო გორბაჩოვი — მიიწვია ჩეკერსში მდებარე საიდუმლო უმაღლესი შეხვედრების რეზიდენციაში და გამართა ზესაიდუმლო მოლაპარაკება, რომლის შინაარსსაც შემდგომში არც იაკოვლევი მალავდა და არც გორბაჩოვი.**

**ტეტჩერთან საიდუმლო თათბირზე გორბაჩოვმა ისეთი საკითხი წამოაყენა, რომელიც მას არ ეხებოდა — ეს იყო განიარაღება. მან მოულოდნელად მაგიდაზე გაშალა 1:1000 მმ-ის მასშტაბში გაკეთებული სსრკ-ის შეიარაღებული ძალების გენშტაბის რუკა, რომელზეც მონიშნული იყო ადგილმდებარეობა ყველა სტრატეგიული ობიექტისა და საკონტინენტშორისი ბირთვული რაკეტისა, რომლებსაც დედამიწაზე იმაზე ათასჯერ მეტი სიცოცხლის განადგურება შეეძლო, ვიდრე დღეს არსებობს**

ტეტჩერთან საიდუმლო თათბირზე გორბაჩოვმა ისეთი საკითხი წამოაყენა, რომელიც მას არ ეხებოდა — ეს იყო განიარაღება. მან მოულოდნელად მაგიდაზე გაშალა 1:1000-ზე მმ-ის მაშტაბში გაკეთებული სსრკ-ის შეიარაღებული ძალების გენშტაბის რუკა, რომელზეც მონიშნული იყო ადგილმდებარეობა ყველა სტრატეგიული ობიექტისა და საკონტინენტშორისი ბირთვული რაკეტისა, რომლებსაც შეეძლო, დედამიწაზე იმაზე ათასჯერ მეტი სიცოცხლის განადგურება, ვიდრე დღეს არსებობს.

„აი, ქალბატონო, ეს ძალა უნდა მოვსპოთ, ვიდრე გვიანი არ არის,“ — წარმოთქვა გორბაჩოვმა. გაოგნებულმა ტეტჩერმა გორბაჩოვს ერთი ახედა და თქვა: „დიახ“.

სამხედროები დღესაც შოკში არიან, როგორ მოახერხა უმკაცრესი საიდუმლო სარაკეტო რუკების ხელში ჩაგდება სამხედრო საქმესთან შორს მდგომმა პიროვნებამ.

**მარგარეტ ტეტჩერს გორბაჩოვისთვის შიშველი ხელი არ ჩაუვლია ლაყუჩებში, „რკინის ლედის“ მაგიდაზე ედო სქელტანიანი საქაღალდე, რომელშიც დოკუმენტურად იყო განხილული გორბაჩოვის პიროვნება „ვერბოვკის“ დაწყებიდან ამ წუთამდე. მასალების ძირითადი ავტორი იყო პოლკოვნიკი ოლეგ გორდიევსკი — 1974 წლიდან ინგლისის დაზვერვის აგენტი, რომელიც მიხეილ გორბაჩოვზე მუშაობდა.**

დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა მშვენივრად იცოდნენ, საიდან შემოედინებოდა ყველაზე მეტი ნარკოტიკი და სად გადიოდა ნარკოტრასა. ნარკოტრანზიტის ყველა გზა კი მიემართებოდა სტავროპოლის მხარისკენ, რომელსაც სათავეში ედგა ე.წ. მიშკა-ჩემოდანი — მიხეილ გორბაჩოვი — სტავროპოლის მხარის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

**დოკუმენტური მასალები უამრავი გვამის, სისხლისა და უსამართლობის შესახებ, რომლებიც ამ გზაზე გავლისას დატოვა იუდა გორბაჩოვმა, ტეტჩერის საქაღალდეში იდო. ეს დოკუმენტები ტეტჩერს საბჭოეთის მომავალ ლიდერზე გამარჯვების სრულ გარანტიას აძლევდა; გორბაჩოვს კი — გარანტიას იმისა, რომ, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩამდენი პირი გახდებოდა.**

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ **ავღანეთში დაღუპული საბჭოთა ჯარისკაცების კუბოები გადმოსვენებისას ცხედრების ნაცვლად ზოგჯერ ავსებული იყო ნარკოტიკებით, რომელთა ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას აკონტროლებდნენ არა მხოლოდ მაღალჩინოსანი სამხედროები, არამედ მაღალი თანამდებობის პარტიული მუშაკებიც. სწორედ ამის მამხილებელი დოკუმენტები ჰქონდა სქელ საქაღალდეში რკინის ლედის, რომელიც ბოროტმოქმედ გორბაჩოვს ნობელის პრემიის მიღებაშიც დაეხმარა და ბრიტანეთის უმაღლესი ჯილდოც მიართვა.**

ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ **ნარკომაფიასთან გორბაჩოვის კავშირის შესახებ ინფორმაციას ფლობდა აზერბაიჯანის კა-გე-ბეს შეფი და შემდგომში ამ რესპუბლიკის პირველი მდივანი ჰეიდარ ალიევი, რომელიც გადაიყვანეს მოსკოვში სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და პოლიტბიუროს წევრად, მაგრამ ხელისუფლების სათავეში გორბაჩოვის მოსვლის პირველ დღეებში, პროტესტის ნიშნად, თანამდებობა დატოვა.** გორბაჩოვთან ახლო კავშირი და მეგობრობა ჰქონდა იმხანად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, შემდგომში გორბაჩოვის მიერ სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრად დაწინაურებულ ედუარდ შევარდნაძეს.

ალსანიშნავია, რომ მიხეილ გორბაჩოვმა და მისმა მეუღლემ, რაისამ, სრულად გაწმინდეს კა-გე-ბე და შინაგან საქმეთა სამინისტრო იმ პირებისგან, რომლებსაც რაიმეს აკავშირებდათ ნარკობიზნის საქმეების გამოძიებასთან.

**უცხოეთის დაზვერვის ხელშეწყობით ხელისუფლებაში მოსული გორბაჩოვი ცდილობდა, საზღვარგარეთელი პატრონების სურვილები შეესრულებინა, მათი მთავარი მიზანი კი საბჭოთა კავშირის განადგურება იყო. გორბაჩოვმა დაიწყო სახელმწიფოსა და პარტიისთვის ძირის გამოთხრა. მან, პირველ რიგში, სახელმწიფოს თავდაცვის მძლავრი კომპლექსები გაძარცვა და გაანადგურა, შემდეგ სახელმწიფო ქონებაც მიაყოლა. მსოფლიოსთვის თავზარდამცემი საბჭოთა ტექნიკის მწარმოებელი გიგანტები საწოლების, ქვაბების, თეფშების, ჯამების, კოვზებისა და თმის სამაგრების დამზადებაზე გადაიყვანეს. შეწყდა თვითმფრინავების, გემების, ელმავლების, ჩარხების, ფოლადის ნაწარმის გამოშვება. შახტებიდან აღარ გამოდიოდა მადანი, ჭაბურღილებიდან აღარ იქაჩებოდა ნავთობი, აღარ იხვნებოდა მინდვრები და აღარ ილეწებოდა ხორბალი. გენერალური მდივანი გორბაჩოვი კმაყოფილი იყო, რომ არ იყო ომი, მაგრამ ხალხი შიმშილისგან იხოცებოდა. ჰაერში ერთმანეთს ეჯახებოდნენ თვითმფრინავები, ზღვაზე — გემები. ვიღაც გერმანელი ნაბიჭვარი სპორტული თვითმფრინავით მოსკოვის წითელ მოედანზე დაჯდა. ქაოსში იყო გახვეული არა მხოლოდ საბჭოეთი, არამედ პლანეტის უდიდესი ნაწილი.**

1988 წლის დეკემბერში ამერიკაში რეიგანთან ჩასული გორბაჩოვი თავმომწონედ გაიძახოდა: „დედამიწაზე უცხოპლანეტელები რომ ჩამოფრინდნენ, ამერიკელები და საბჭოელები უცებ გამონახავენ საერთო ენას, ნუთუ უცხოპლანეტელებზე უფრო საშიში არ არის იმ ბირთვული იარაღის ამოქმედება, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, ნუთუ ახლა უფრო მეტად არ უნდა გამოვნახოთ საერთო ენა?“ — **აი, ასე დაიყვანა გორბაჩოვმა ნულს ქვევით ზესახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა და ეკონომიკა. მან, ხელმძღვანელობდა რა უცხოეთიდან მიღებული ინსტრუქციებით, ბრძოლა გამოუცხადა მრავალეროვან სახელმწიფოს და ერთა შორის შეური-** ▶

# მარგარეტ ტეტჩერს გორბაჩოვისთვის შიშველი ხელი არ ჩაუვლია ლაჟუჩებში, „რკინის ლედის“ მაგიდაზე ედო სქელტანიანი საქაღალდე, რომელშიც დოკუმენტურად იყო განხილული გორბაჩოვის პიროვნება „ვერბოვკის“ დაწყებიდან ამ წუთამდე. მასალების ძირითადი ავტორი იყო პოლკოვნიკი ოლეგ გორდიევსკი — 1974 წლიდან ინგლისის დაზვერვის აგენტი, რომელიც მიხეილ გორბაჩოვზე მუშაობდა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ გებლობა და სიძულვილი დათესა, რომელსაც უკიდეგანო ქვეყანაში უამრავი სისხლის ღვრა და ომი მოჰყვა. ასე აასრულა აშშ-ის დიდი ხნის ოცნება.**

1991 წლის 23 აგვისტოს ხელი მოეწერა კომუნისტური პარტიის გაუქმებას, ხოლო მეორე დღეს, 24 აგვისტოს, გორბაჩოვმა უარი განაცხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის უფლებამოსილებებზე, კომპარტიის სახელზე არსებული ქონება გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად და გადაეცა მოსკოვის საქალაქო კომიტეტს.

მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა არა ოფიციალური დადგენილების საფუძველზე, არამედ ელცინის მიერ ფარატინა ქაღალდზე დადებული რეზოლუციით (რაზეც მომდევნო წერილში გვექნება საუბარი) დალუქა და დაცვის ქვეშ აიყვანა ყველა შენობა-ნაგებობა, რომლებიც კომპარტიას ემსახურებოდა. 1991 წლის 25 დეკემბერს გორბაჩოვს შეუწყდა სსრკ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილება და პენსიაზე გავიდა. ასეთი იყო მიხეილ გორბაჩოვის „გენსეკობისა“ და პრეზიდენტობის ეპოპეა, რომელიც 1985 წელს დაიწყო და 1991 წლის 25 დეკემბერს სამარცხვინოდ დასრულდა.

**უამრავი საზღვარგარეთული ორდენისა და მედლის კავალერმა, უცხოეთის მხარდაჭერით ნობელის პრემიის ლაურეატმა, თავის ქვეყანაში კი მიშა რაიკინად ცნობილმა (ცოლი რაიკა) „გენსეკმა“, ჩვენი დროის ჰეროსტრატემ, 1999 წლის დეკემბერში ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში გამოსვლისას განაცხადა**:

„ჩემი ცხოვრების მიზანი ხალხზე აუტანელი დიქტატურის, კომუნიზმის განადგურება იყო. ამაში მხარი დამიჭირა ჩემმა მეუღლემ, რომელიც ამის აუცილებლობას ჩემზე ადრეც კი მიხვდა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად გამოვიყენე ჩემი მდგომარეობა პარტიასა და ქვეყანაში. ჩემი მეუღლე ყოველთვის მიბიძგებდა იმისკენ, რომ თანმიმდევრულად დამეკავებინა სულ უფრო მაღალი მდგომარეობა ქვეყანაში. როდესაც გავიცანი დასავლეთი, მივხვდი, რომ არ შემეძლო გადამეხვია დასახული მიზნისგან. მოვახერხე მხარდამჭერების პოვნაც. მათ შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ალექსანდრე იაკოვლევი და ედუარდ შევარდნაძე, რომელთა დამსახურება საერთო საქმეში, უბრალოდ, ფასდაუდებელია. როდესაც ელცინმა სსრკ დაშალა, მე კრემლი დავტოვე, მაგრამ არ მივტიროდი, მე ევროპაში კომუნიზმს ბოლო მოვუღე.

მსოფლიო უკეთესი იქნება კომუნიზმის გარეშე. 2000 წლის შემდეგ დადგება მშვიდობისა და საყოველთაო გაფურჩქვის ეპოქა“.

ომის შემდგომ, 1945 წლის ოქტომბერში, სტალინმა კრემლი პირველად დატოვა. მის ამ ნაბიჯს მსოფლიოში მითქმა-მოთქმა მოჰყვა მისი თითქოს ავადმყოფობისა თუ გარდაცვალების თაობაზე. სტალინი კი იჯდა და მუშაობდა თავის საყვარელ შავიზღვისპირა აგარაკზე. დაშიფრული ტელეგრამებით ეცნობოდა ათას ჭორ-მართალს, მაგრამ ერთხელ, როდესაც „პრავდაში“ წაიკითხა ჩერჩილის მიერ მისი მისამართით ნათქვამი ქება-დიდების სიტყვები, რომელთა მსგავსიც დაშვებული იყო ომის დროს, მაგრამ არა — მშვიდობიანობის პერიოდში, მკაცრი და გამაფრთხილებელი დეპეშა გაუგზავნა პოლიტბიუროს:



**აი, უინსტონ ჩერჩილის ნათქვამი, რომელიც გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა:**

„არ ძალმიძს, უდიდესი აღფრთოვანების გარდა, რამე სხვა გრძნობას განვიცდიდე ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანის, თავისი ქვეყნის მამის მიმართ, რომელიც მშვიდობიან დროს განაგებდა ქვეყნის ბედს და გამარჯვებით დაიცვა იგი ომის პერიოდში“.

## ავღანეთში დაღუპული საბჭოთა ჯარისკაცების კუბოები გადმოსვენებისას ცხედრების ნაცვლად ზოგჯერ ავსებული იყო ნარკოტიკებით, რომელთა ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას აკონტროლებდნენ არა მხოლოდ მაღალჩინოსანი სამხედროები, არამედ მაღალი თანამდებობის პარტიული მუშაკებიც. სწორედ ამის მამხილებელი დოკუმენტები ჰქონდა სქელ საქაღალდეში რკინის ლედის, რომელიც ბოროტმოქმედ გორბაჩოვს ნობელის პრემიის მიღებაშიც დაეხმარა და ბრიტანეთის უმაღლესი ჯილდოც მიართვა

**აი, დეპეშის ტექსტი, რომელიც სტალინმა გაუგზავნა პოლიტბიუროს:**

„შეცდომად მიმაჩნია რუსეთისა და სტალინის ქება-დიდების შესახებ ჩერჩილის სიტყვის გამოქვეყნება, ყოველივე ეს ჩერჩილს იმისთვის სჭირდება, რომ სინდისი დაიმშვიდოს (რომელიც სუფთა არ აქვს) და შენიღბოს თავისი მტრული დამოკიდებულება სსრკ-ისადმი. კერძოდ, შენიღბოს ის ფაქტი, რომ ჩერჩილი და მისი მოწაფეები ლეიბორისტული პარტიიდან სსრკ-ის წინააღმდეგ ინგლისურ-ამერიკულ-ფრანგული ბლოკის ორგანიზატორები არიან. ამჟამად ჩვენთან ბევრი ისეთი პასუხისმგებელი მუშაკია, რომლებიც გულუბრყვილო აღტაცებას განიცდიან ჩერჩილების, ტრუმენების თუ ბირნსებისაგან ქება-დიდების მოსმენაზე და პირიქით — გუნება უფუჭდებათ ამ ბატონების მხრიდან არაკეთილსასურველი გამოხმაურებების შემთხვევაში. ამგვარი განწყობა სახიფათოდ მიმაჩნია, რადგან საზღვარგარეთელი ფიგურების მაამებლობას ავითარებს ჩვენში. **უცხოელთა წინაშე მაამებლობის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლაა საჭირო, თუკი ჩვენ მომავალშიც გამოვაქვეყნებთ მსგავს გამოსვლებს, ამით დავნერგავთ მაამებლობასა და მლიქვნელობას.** იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საბჭოთა ლიდერებს არაფრად სჭირდებათ ქება უცხოელი ლიდერების მხრიდან. **მე რაც შემეხება, ამგვარი ქება, უბრალოდ, მეჩოთირება.**

**სტალინი“.**

1945 წლის პოტსდამის კონფერენციიდან ამერიკისა და ინგლისის სახელმწიფო მეთაურები — ტრუმენი და ჩერჩილი თავიანთ ქვეყნებში ჯიბეცარიელნი დაბრუნდნენ. ომისა და იდიოლოგიურ ფრონტზე გამარჯვებული გენერალისიმუსი სტალინი №1 ადამიანად წარდგა მსოფლიოს ხალხების წინაშე, ეს მოსვენებას უკარგავდა მსოფლიო ლიდერებს.



მოლოტოვი და სტალინი

პოტსდამის კონფერენციის დეკლარაციის ზოგიერთი დებულების განსამარტავად ლონდონში გაიმართა „ხუთი მინისტრის კონფერენცია“, სადაც საბჭოთა კავშირის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მინისტრებს დაემატნენ ჩინეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა უწყების პირველი პირებიც. აშშ-ისა და ინგლისის მიერ გადაბირებული საფრანგეთისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, ერთობლივი ძალით უტევდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ მოლოტოვს, რათა ოდნავი ცვლილება მაინც შეეტანათ პოტსდამის კონფერენციაზე მიღებულ სსრკ-ისთვის სასარგებლო რეზოლუციაში. მოლოტოვსაც სხვა გზა არ ჰქონდა, სტალინთან მუდმივი სატელეფონო კავშირის გარდა. **სტალინმა უდრეკი ნებისყოფითა და პოლიტიკური ალღოთი დისტანციურადაც შეძლო დიპლომატიის ტატამზე სუფთა გამარჯვების მოპოვება. როცა სსრკ-ის მოთხოვნის შესრულება, თათბირიდან გაეწვიათ საფრანგეთისა და ჩინეთის მინისტრები, შეუძლებელი გახდა, სტალინმა ბოლო ილეთი იხმარა და მოლოტოვს უბრძანა, შეეწყვიტა მოლაპარაკებები და მოსკოვში დაბრუნებულიყო.**

გვიან საღამოს ამერიკის სახელმწიფო მდივან ბირნსთან საიდუმლო შეხვედრის შემდეგ, რომელიც მისივე თხოვნით გაიმართა, მოლოტოვი სტალინს დაუკავშირდა: „ხუთი მინისტრის ლონდონის კონფერენცია დასრულდა. გადაწყდა, უახლოეს ხანში ჩატარდეს კონფერენცია „დიდი სამეულის“ ფორმატში და იგი საბჭოეთის დედაქალაქ მოსკოვში გაიმართება“.

სტალინმა ჩიბუხი გააწყო და კმაყოფილმა კიდევ ერთხელ გაიარა თავისი სამუშაო კაბინეტი ერთი თავიდან ბოლომდე. ამ ნაბიჯებით მან კიდევ ერთხელ გამარჯვებულმა გადაუარა მსოფლიო პოლიტიკასა და დიპლომატიას.

კუნცევოს აგარაკზე ჩაიზე მიპატიჟებული საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი ნაცემი ძაღლივით თვალებში შესციცინებდა პოლიტიკის „დინოზავრს“. სტალინი კი გრძნობდა, რომ ის მაღლა, გაცილებით მაღლა იდგა არა მხოლოდ მოლოტოვზე, არამედ ბევრ სხვაზეც და სტუმარს „ჩაეკითხება ჭკვიანურად“:

„**1** — ჩვენი სიმტკიცის წყალობით, მოვიგეთ ბრძოლა მოსკოვის თათბირის შემადგენლობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ამ შემადგენლობიდან ჩინეთისა და საფრანგეთის გამორიცხვა იმას ნიშნავს, რომ ამერიკამ და ინგლისმა უკან დაიხიეს ლონდონში დაკავებული პოზიციიდან;

**2** — მოვიგეთ ბრძოლა ბულგარეთსა და იუგოსლავიაში. ამას მოწმობს ამ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების შედეგები. ხსენებული ქვეყნების საკითხებში ყოყმანი რომ დაგვეწყო და სიმტკიცე არ გამოგვეჩინა, ბრძოლას აუცილებლად წავაგებდით;

**3** — ერთხანს თქვენ დაემორჩილეთ ზეწოლას ამერიკის მხრიდან, დაიწყეთ ყოყმანი, დაიჭირეთ ლიბერალური კურსი, აშშ-ის და ინგლისის გულის მოსაგებად საკუთარი მთავრობა სალანძღავად მიუგდეთ უცხოელ კორესპონდენტებს. თქვენი გათვლა, ცხადია, მიამიტური იყო. მეშინოდა, რომ ამ ლიბერალიზმით ძირს გამოუთხრიდით ჩვენს მტკიცე პოლიტიკას და დაალალატებდით ჩვენს სახელმწიფოს. სწორედ იმ ხანად მთელი უცხოური პრესა გაჰყვიროდა, რომ რუსებმა ვერ გაუძლეს და შემდგომ დათმობებზეც წავლენ, მაგრამ შემთხვევა დაგეხმარათ **(იგულისხმება სტალინის აქტიური ჩარევა მოლაპარაკებებში)** და დროულად დაუბრუნდით სიმტკიცის პოლიტიკას. ცხადია, რომ ისეთ პარტნიორებთან საქმის დაჭერისას, როგორიც აშშ და ინგლისი არიან, სერიოზულს ვერაფერს მივაღწევთ, თუ ჩვენი დაშინების უფლებას მივცემთ და მერყეობას გამოვიჩენთ. ასეთ პარტნიორებთან რაიმეს რომ მიაღწიო, სიმტკიცითა და გამძლეობის პოლიტიკით უნდა შეიარაღდე;

**4** — სწორედ სიმტკიცისა და გამძლეობის პოლიტიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ სამი მინისტრის მომავლი კონფერენციის მუშაობისას“.

მკითხველისთვის, ალბათ, ნათელია, როგორ შენდებოდა და ძლიერდებოდა სტალინის ხელმძღვანელობით ქვეყანა, როგორ ნადგურდებოდა და ბოლოს როგორ დაეცა ზეძლიერი სახელმწიფო გორბაჩოვის მეთაურობით.

სტალინის პიროვნების კულტი ნამდვილად არსებობდა. როგორ არ ეცადნენ „პიარშიკები“, შეექმნათ ტროცკის კულტი, მაგრამ ვერ მოახერხეს. ათი წლის განმავლობაში მუშაობდა ბეჭდური და ელექტრონული მედია აჯუბეის მეთაურობით, რათა შექმნილიყო ხრუშჩოვის კულტი, მაგრამ მათ ნიკიტა პოლიტიკურ კლოუნად გადააქციეს. ბრეჟნევის კულტის ჩამოყალიბების ცხრამეტი წლის თავდაუზოგავმა მცდელობამ „პიარშიკებისა“ უშედეგოდ ჩაიარა. 1990-იან წლებში გაცოცხლებულმა ყველა ჯურის ტროცკისტ-მენშევიკმა და უცხოეთის დაზვერვის მიერ გადაბირებულმა წითელმა ინტელიგენციამ რა არ იღონა გორბაჩოვის გასაკულტებლად, მაგრამ საბოლოოდ მას ნობელის პრემიის მფლობელი იუდასა და თანამედროვეობის ჰეროსტრატეს სახელი შერჩა.

ასე რომ, პიარი არ ქმნის სახალხო ლიდერს, მას საზოგადოება დიდი ხნის განმავლობაში ძერწავს. ბელადი ხალხმა უნდა დაბადოს.

ხალხის ლიდერის მოღვაწეობის მკვლევარის ავტორიტეტი ამ ლიდერის ავტორიტეტთან ერთად იზრდება და მის დაცემასთან ერთად მცირდება, მაგრამ მკვლევარიც ადამიანია, ამიტომ მისი კვლევა ბელადთან თანაცხოვრების პირობებში სუბიექტივიზმითაა სავსე, თუმცა დრო ყველაფერს ხსნის საბურველს და ბელადსა და მის მეხოტბეს შიშველს ტოვებს; გამონაკლის შემთხვევაში — მკვლევარიც, მაგრამ ხალხი კი აუცილებლად, კერძო აზრის გაუთვალისწინებლად, მაინც მიდის ჭეშმარიტებამდე.

ასე მოხდა საბჭოთა სინამდვილეშიც: ხრუშჩოვს საუკუნო სასუფეველში ჩაჰყვა მისი მეისტორიე და ის მხოლოდ შავ ლაქად შემორჩება მეხსიერებას. ბრეჟნევს რომელიღაც მეზღაპრე საბავშვო ზღაპრის მოხუც გმირად გადააქცევს, ხოლო **სტალინი „წარსულში კი არ გადაბარგდა, არამედ მომავალში განიბნა“.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბრიტანეთის პოლიციამ ტყვეობიდან გაათავისუფლა ლატვიელები, რომლებიც მონებად ჰყავდათ



**რამდენიმე დღის წინათ ბრიტანეთის პოლიციამ გაათავისუფლა ადამიანები, რომლებსაც ინგლისის ერთ-ერთ ფირმაში ისე ექცეოდნენ, როგორც მონებს. „ბი-ბი-სის“ ცნობით, ლატვიის, პოლონეთისა და რუმინეთის მოქალაქეები, ფაქტობრივად, მონები იყვნენ და აუტანელ პირობებში მუშაობდნენ.** ჰემფშირის საგრაფოს პოლიციელებმა ქალაქ საუთჰემპტონის გარეუბანში 21-დან 46 წლამდე 6 მამაკაცი გაათავისუფლეს. ისინი მოათავსეს სპეციალიზებულ ცენტრში, სადაც ფსიქოლოგიურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ. ადამიანების დამონებისა და საშინელ პირობებში იძულებით მუშაობისთვის პოლიციამ ქალაქ ლუტონის 27 წლის მცხოვრები დააკავა.



## «ნიუ იორკ თაიმსის» ჟურნალისტს ცსს-ს ოპერაციის გამომზეურებისთვის ციხით ემუქრებიან

**პრესის თავისუფლება აშშ-ის კონსტიტუციითაა გარანტირებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის The Nrw York Times-ის ჟურნალისტ ჯეიმს რეიზენის დასაცავად. მან თავის წიგნში აღწერა, როგორ ცდილობდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (ცსს) ირანის ატომური პროგრამის საბოტაჟს. ახლა კი მას ინფორმაციის წყაროს გამხელაზე უარის თქმის გამო ციხე ემუქრება.**

ასი ათასზე მეტმა კაცმა მოაწერა ხელი პეტიციას, რომლითაც აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდებენ, შეწყვიტოს „ნიუ იორკ თაიმსის“ ჟურნალისტის — ჯეიმს რაიზენის დევნა. აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს სურს, ჟურნალისტმა დაასახელოს წყარო, რომელმაც ინფორმაცია მიაწოდა ირანში ცსს-ს წარუმატებელ სპეცოპერაციაზე. რეპორტიორმა არაერთგზის თქვა უარი წყაროს გამჟღავნებაზე, და ახლა იუსტიციის სამინისტრომ გადაწყვიტა, ეს აიძულოს. რეიზენი შეიძლება, ციხეში აღმოჩნდეს, თუ ის კვლავაც შეიკავებს თავს ინფორმაციის მიმწოდებლის ვინაობის გამხელისგან.

2006 წელს მოპოვებული მონაცემები ჟურნალისტმა გამოიყენა თავის წიგნში „საომარი მდგომარეობა“. რაიზენი სასამართლოში პირველად 2008 წელს გამოიძახეს ცსს-ს ყოფილი თანამშრომლის, ჯეიმს სტერლინგის, წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად. სპეცსამსახურის თანამშრომელს ჯაშუშობაში ადანაშაულებდნენ. მან, სავარაუდოდ, საიდუმლო ინფორმაცია გასცა.

რეიზენმა აპელაციით მიმართა აშშ-ის უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა, რომ იუსტიციის სამინისტროს თავისი სარჩელი უკან წაეღო, მაგრამ ამაოდ.

„მე არ გავამხელ საქმის დეტალებს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს არის აშშ-ში მასმედიის თავისუფლების საკითხი, რომელიც ეხება მომავალში ობიექტური ჟურნალისტური გამოძიების ჩატარების შესაძლებლობას. ეს არის ძირითადი საკითხი“, — ამბობს პულიტცერის პრემიის (აშშ-ის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, მუსიკისა და თეატრის დარგებში) ორგზის ლაურეატი ჯეიმს რეიზენი. ერთი პრემია მან ჯორჯ ბუშის (უმცროსი) პრეზიდენტობის პერიოდში სატელეფონო საუბრების არასანქცირებული მოსმენების გაშუქებისთვის მიიღო, მეორე — 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის ადგილიდან რეპორტაჟებისთვის.

რეიზენს მხარს უჭერს პრესის თავისუფლებისთვის მებრძოლი ბევრი ორგანიზაცია, აგრეთვე, ცნობილი ჟურნალისტები.

„ისეთ ადამიანებს, როგორიც არის ჯეიმს რეიზენი „ნიუ იორკ თაიმსიდან“, ძეგლი უნდა დავუდგათ. იუსტიციის სამინისტროს კი მისი ციხეში ჩასმა სურს. თუკი ჟურნალისტები, რომლებმაც იციან ამა თუ იმ ფაქტის შესახებ და მოსალოდნელი შედეგების შიშით ინფორმაციას არ გაამჟღავნებენ, ჩვენ ვერასოდეს ვერაფერს შევიტყობთ“, — ამბობს კინოპროდიუსერი და ტელეწამყვანი **ფილ დონაჰიუ.**

ობამას ადმინისტრაცია გაცილებით მეტ ჟურნალისტს დევნის, ვიდრე აშშ-ის წინა ხელისუფლებები. ბევრი მიიჩნევს, რომ, თუ აშშ-ის ხელისუფლება შეძლებს როზენის იძულებას, გაამჟღავნოს ინფორმაციის წყარო, ეს დიდი დარტყმა იქნება ამერიკული საგამოძიებო ჟურნალისტიკისთვის.

### პოლ კრეიგ რობერტსი:

# თაღლითობას, რომელსაც აშშ XXI საუკუნეში სჩადის, ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება



**დასავლური მედიასაშუალებები პროპაგანდისტული კამპანიით ცდილობენ, ჯერ კიდევ სიცრუის ტყვეობაში მყოფი ბევრი ევროპელი დაარწმუნონ, რომ რუსეთი (ისევე, როგორც ავღანეთი, ერაყი, სომალი, ლიბია, სირია და ირანი) მათ საფრთხეს უქმნის. ამერიკელი პოლიტოლოგისა და პუბლიცისტის — პოლ კრეიგ რობერტსის აზრით, მსოფლიოზე ბატონობისთვის აშშ-ის ბრძოლის შედეგები ამერიკელ გადასახადების გადამხდელთა და ევროპელთა მხრებს დააწვება.**



„შეუძლიათ კი დასავლელ პროპაგანდისტებს, საკუთარი თავის გარდა, სხვების მოტყუება?“ — სვამს კითხვას პოლ კრეიგ რობერტსი OpEdNews-ის ფურცლებზე.

რუსეთის მიმართ გამოთქმული აბსურდული ბრალდებების რიგში ბოლო იყო ის, რომ რუსეთის მიერ უკრაინის აღმოსავლეთში გაგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება მხოლოდ ეშმაკობაა — უკრაინაში შეჭრის საბაბი.

**დასავლელი პროპაგანდისტები თავიანთ მკითხველებსა და მაყურებლებს, როგორც ჩანს, ბრიყვებად მიიჩნევენ. ნებისმიერი ადამიანი მიხვდება, რომ, თუკი რუსეთი უკრაინის სიღრმეში ჯარის გაგზავნას მოინდომებდა, ამისათვის არანაირი საბაბი არ დასჭირდებოდა, მით უმეტეს, „წითელ ჯვართან“ ერთობლივი ღონისძიება,“** — წერს ამერიკელი პოლიტოლოგი.

**რუსეთის ხელისუფლება „ვაშინგტონის ვასალ ევროპულ სახელმწიფოებს“ აძლევს დროს, გააცნობიერონ, რომ მთავარი პრობლემა არის არა რუსეთი, არამედ აშშ. რუსეთთან კონფლიქტის გამო კი პასუხისმგებლობის სიმძიმე ევროპელებს დააწვებათ,** — დარწმუნებულია პოლ კრეიგ რობერტსი.

„ვაშინგტონი და მისი ვასალები ევროკავშირში, აგრეთვე, მარიონეტები კიევიდან ჰუმანიტარული ტვირთის გადატანას იმიტომ ეწინააღმდეგებიან, რომ გააფთრებით ცდილობენ, ხელი შეუშალონ მსოფლიოს, შეიტყონ სიმართლე, როგორ დაანგრიეს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია კიევის მმართველებად დანიშნულმა რუსოფობმა ექსტრემისტებმა. სწორედ ამიტომ დასავლური მედია არაფერს ამბობს რეგიონში უამრავი მსხვერპლის შესახებ.

**«ვაშინგტონი და მისი ვასალები ევროკავშირში, აგრეთვე, მარიონეტები კიევიდან, ჰუმანიტარული ტვირთის გადატანას იმიტომ ეწინააღმდეგებიან, რომ გააფთრებით ცდილობენ, ხელი შეუშალონ მსოფლიოს, შეიტყონ სიმართლე, როგორ დაანგრიეს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია კიევის მმართველებად დანიშნულმა რუსოფობმა ექსტრემისტებმა. სწორედ ამიტომ დასავლური მედია არაფერს ამბობს რეგიონში უამრავი მსხვერპლის შესახებ»**

**ნატოს გენერლები, პენტაგონის მეთაური და ამერიკელი სენატორები გაჰყვირიან, რომ რუსეთი მალე შეიჭრება არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ ბალტიისპირეთსა და პოლონეთშიც. არადა, აგრესიის მზადებაზეც კი არავითარი მინიშნება არ არის.**

**ვაშინგტონის პროპაგანდა მუშაობს — ამერიკელები და ევროპელები, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან სიცრუის ტყვეობაში — თითქოს მათ საფრთხე ემუქრებათ ავღანეთის, ერაყის, სომალის, ლიბიის, სირიისა და ირანის მხრიდან, ახლა რუსეთსაც საფრთხედ მიიჩნევენ. ბარაკ ობამას კორუფციაში ჩაფლული რეჟიმი კი კვლავ ემზადება ომისთვის.**

ვითარების გამოსწორების ერთადერთი იმედი არის ის, რომ, როდესაც რუსეთის მიერ იმპორტის შეზღუდვა, საბოლოო ჯამში, ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს დააწვება მხრებზე, ეს მათ აიძულებს, უფრო ფხიზელი თვალით შეხედონ შექმნილ მდგომარეობას.

პოლონეთის ხელისუფლებამ უკვე მოითხოვა, რომ ვაშინგტონმა მათი ვაშლები იყიდოს — რადგან აშშ რაკეტების განლაგებას აპირებს პოლონეთში, ეს ვარშავას ზემოქმედების ბერკეტს აძლევს. და თუ ვაშინგტონი დაუთმობს პოლონეთს, ანალოგიურ მოთხოვნებს წამოაყენებს საბერძნეთი, ავსტრია და ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო.

**თაღლითობას, რომელიც XXI საუკუნეში აშშ სჩადის, კაცობრიობის ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება, ევროპელები ოდესმე მიხვდებიან, რომ ვაშინგტონი მათ არარსებული „რუსული საფრთხისგან“ იცავს, რათა თავს მოახვიოს უზარმაზარი ხარჯები, რომლებიც მსოფლიოზე ბატონობისთვის ბრძოლას სჭირდება!“** — წერს პოლ კრეიგ რობერტსი.



## ბენ ლადენის ნიღბიანმა ჟურნალისტმა აშშ-ის საზღვარი ორჯერ გადაკვეთა

**ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეიმს ოკიფმა „ალ ქაიდას“ ყოფილი ლიდერის, უსამა ბენ ლადენის, ნიღბით ორჯერ დაუბრკოლებლად გადაკვეთა აშშ-მექსიკის საზღვარი. ამით მან შეამოწმა, შეესაბამება თუ არა სიმართლეს ხელისუფლების განცხადება საზღვრების დაცულობის შესახებ, წერს „ვაშინგტონ პოსტი“.**

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ოკიფმა აშშ-ისა და მექსიკის გამყოფი მდინარე რიო გრანდეს უბანი აირჩია. თავდაპირველად მან საზღვარი სამოქალაქო ფორმითა და ბენ ლადენის ნიღბით გადაკვეთა, შემდეგ სამხედრო ფორმითა და ნიღბით. ორივე შემთხვევაში ოკიფს მესაზღვრეები არ შეხვედრიან.

„არანაირი წინაღობა არ შემხვედრია: არც მაღალი კედელი, არც ადამიანები იარაღით. ათასობით ადამიანმა სამხრეთ ამერიკიდან, ჰონდურასიდან, გვატემალიდან უკვე გადმოკვეთა საზღვარი და ამის გაკეთება კიდევ უამრავს შეუძლია. ამდენად, პრეზიდენტის განცხადება, რომ აშშ-ის საზღვარი დაცულია, სიმართლეს არ შეესაბამება“, განაცხადა ოკიფმა.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ობამამ ამერიკელ სენატორს „ცხენის ნეხვი“ უწოდა

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თეთრ სახლში სენატორებსა და კონგრესმენებთან დისკუსიისას სალანძღავი სიტყვა გამოიყენა, წერს The Daily Beast-ი.** გამოცემის ცნობით, როცა სახელმწიფოს მეთაური და კანონმდებლები დახურულ შეხვედრაზე აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე მსჯელობდნენ, სენატორმა ბობ კორკერმა მწვავედ გააკრიტიკა ობამას გადაწყვეტილებები სირიის, ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“, რუსეთისა და უკრაინის მიმართ. ობამამ, როგორც The Daily Beast-ი წერს, კორკერის რეპლიკას სალანძღავი სიტყვით უპასუხა horseshit, რაც ქართულად „ცხენის ნეხვს“ ნიშნავს. თეთრ სახლში დაადასტურეს, რომ პრეზიდენტსა და სენატორს შორის მართლაც იყო აზრთა მწვავე გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ პრეზიდენტის მიერ სალანძღავი სიტყვის გამოყენების შესახებ კომენტარისგან თავი შეიკავეს. მაგრამ ამის შემდეგ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოჩნდა სტატია სათაურით „ობამა მოკავშირე, რომლის ნდობაც არ შეიძლება“, რომელშიც სენატორმა კორკერმა ქარცეცხლში გაატარა თეთრი სახლის მეთაურის საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობა.

# მოპარული ჰავაი

## როგორ მიისაკუთრა აშშ-მა წყნარი ოკეანის კუნძულები




**21 აგვისტოს შესრულდა 55 წელი ისტორიული მომენტიდან, როდესაც ჰავაის კუნძულებს ოფიციალურად მიანიჭეს აშშ-ის 50-ე შტატის სტატუსი, თუმცა ამ ქვეყნის შემადგენლობაში ჰავაის კუნძულები, ფაქტობრივად, 1898 წლიდან შედიოდა. ახლა, როდესაც ოფიციალური ვაშინგტონი წყევლა-კრულვას არ იშურებს რუსეთის მიმართ „ყირიმის ანექსიის“ გამო, ინტერესმოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ, როგორ აფრიალდა ვარსკვლავებიან-ზოლებიანი დროშა 28 ათას კვ. კმ ფართობის ტერიტორიაზე.**

XIX საუკუნეში ჰავაის კუნძულებზე არსებობდა დამოუკიდებელი სამეფო, რომელიც, წყნარი ოკეანისა და აფრიკის ბევრი სხვა სახელმწიფოსგან განსხვავებით, საკმაოდ განვითარებულ ქვეყნად ითვლებოდა. **იმ პერიოდში, როდესაც თეთრ სახლსა და ბუკინგემის სასახლეს სანთლებით ანათებდნენ, ჰონოლულუში მდებარე მეფის სასახლეში უკვე ენთო ელექტრონათურები და მუშაობდა ტელეფონი. მონარქის მმართველობის პერიოდში მუშაობდა პარლამენტი, მოქალაქეები თავისუფალი და თანასწორუფლებიანი იყვნენ, ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად. მეფე კამეამეა III-ს მიერ დამტკიცებული დეკლარაცია ადამიანისა და ბელადების უფლებების შესახებ იწყებოდა სიტყვებით: „ღმერთმა ყველა ხალხი ერთნაირსისხლიანი შექმნა“. ჰავაიზე კონსტიტუცია 1840 წელს მიიღეს — გაცილებით ადრე, ვიდრე ბევრ ევროპულ ქვეყანაში.**

ადგილობრივების საუბედუროდ, კუნძულები გემრიელი ლუკმა აღმოჩნდა ამერიკელებისთვის. ისინი მოხიბლა შესაძლებლობამ, ეწარმოებინათ შაქარი ადგილობრივი ლერწმისგან და მოეყვანათ ანანასი. სწორედ ჰავაიზე იშვა განთქმული იმპერია Dole, რომლის მეშვეობითაც აშშ ანანასის წარმოების მსოფლიო ლიდერია.

**შაქრისა და ანანასის პლანტაციებისთვის გამოსადეგი მიწა ამერიკელებმა იყიდეს. შედეგად, აბორიგენები გაღარიბდნენ, ამერიკელები კი — გამდიდრდნენ.**

### დედოფალი ციხეში

მეფე შეეცადა, შეეზღუდა თავხედი საქმოსნები ლოზუნგით: „ჰავაი ჰავაიელებისთვის!“. **იმხანად იანკებმა ვერ გაბედეს შეიარაღებული ჩარევა. მათ ნელ-ნელა დაიწყეს მოქმედება. თავდაპირველად ხელში ჩაიგდეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ყურე პერლ-ჰარბორი, შემდეგ შექმნეს ახალი საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც ამომრჩეველს ქონებრივ ცენზს უწესებდა.** კამეამეამ სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ **სასახლეში ამერიკის ფულით შექმნილი „ჰავაის ლიგის“ წარმომადგენლები შეცვივდნენ და შაშხანების ლულების ქვეშ მეფეს ხელახლა დააწერინეს ქვეყნის ძირითადი კანონი. შედეგად, აბორიგენთა უმეტესობამ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება დაკარგა.**

მეფის მემკვიდრე, მისი და ლილიუოკალანი, შეეცადა, დრაკონული კანონის გაუქმებას, მაგრამ 1893 წელს ჰონოლულუში შესული აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კრეისერ „ბოსტონიდან“ ნაპირზე გადმოვიდნენ საზღვაო ქვეითები და ამით გულმოცემულმა „ჰავაის ლიგის“ წევრებმა იერიში მიიტანეს ქვეყნის დედაქალაქის მთავარ ობიექტებზე, შემდეგ კი დედოფალი დააპატიმრეს.

საწყალმა **დედოფალმა საპყრობილეში წელიწადი გაატარა. იქ დაწერა მან ჰავაის ჰიმნი „ალოჰა ოე“ და წიგნი „ჰავაის ისტორია“.** გათავისუფლების შემდეგ ყოფილმა დედოფალმა სასამართლოში უჩივლა ოკუპანტებს და მას დაუწესეს ყოველწლიური პენსია 4 ათასი დოლარის ოდენობით, აგრეთვე, შემოსავალი 24 კვ. კმ ფართობის შაქრის პლანტაციიდან.

**ქვეყანას დაერქვა ჰავაის რესპუბლიკა, რომლის პირველი პირიც გახდა ანანასების მაგნატი სენფორდ დოული. მან არამხოლოდ ჩაახშო საპროტესტო მოძრაობა, არამედ აშშ-ს მიმართა თხოვნით, კუნძულების ანექსია განეხორციელებინა, რაც გაკეთდა კიდეც, სხვათა შორის, რეფერენდუმის გარეშე,** თუმცა ჰავაიელებს მაინც რჩებოდათ დამოუკიდებლობის მოპოვების შანსი.

### ბოდიში, ჩვენ ქურდები ვართ!

1900 წელს, როცა დარწმუნდნენ, რომ კუნძულები ჯიბეში ედოთ, ამერიკელებმა „თავაზიანობა გამოიჩინეს“ და კუნძულებს თვითმმართველი ტერიტორიის სტატუსი მიანიჭეს.

1901 წელს ჰავაის მმართველი გახდა ნიკოლას რუსელი, წარმოშობით ბელარუსი ნიკოლაი სუძილოვსკი — მეცნიერ-ეთნოგრაფი, გეოგრაფი, ქიმიკოსი და ბიოლოგი; იცოდა 7 ენა, იყო ამერიკის გენეტიკოსთა საზოგადოების, აგრეთვე, ჩინეთისა და იაპონიის რამდენიმე ორგანიზაციის წევრი; აღმოაჩინა რამდენიმე კუნძული წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში. ჰავაიზე ყოფნისას სიმპათია დაიმსახურა მკვიდრი მოსახლეობის — კანაკების დაცვის მცდელობით. ადგილობრივები მას ააუკა ლუკინის („რუსი ექიმი“) ეძახდნენ. მეცნიერმა თავისი რეფორმების დასრულება ვერ შეძლო — იმის გამო, რომ გააფთრებით იბრძოდა ჰავაის საქმეებში აშშ-ის ჩარევის წინააღმდეგ, მოსყიდული თანამებრძოლების ძალისხმევით, პოსტიდან გადააყენეს.

**სასაცილოა, რომ 1993 წელს მიღებული რეზოლუციით, აშშ-ის კონგრესმა მოუბოდიშა ჰავაის მოსახლეობას მათი „თვითგამორკვევის უფლებების ფეხქვეშ გათელვის გამო“, თუმცა იმავე რეზოლუციაში ჩაწერილია პუნქტი, რომ ეს დოკუმენტი „არ შეიძლება იყოს აშშ-ისთვის რამე პრეტენზიის წაყენების საფუძველი“, ანუ — ბოდიში, ჩვენ თქვენ, რა თქმა უნდა, მოგპარეთ, მაგრამ, აბა, ძველი ამბები რა გასახსენებელია?!**





ამერიკელების მიერ დამხობილი დედოფალი ლილიუოკალანი







ამერიკელების ოკუპაცია რომ არა, ჰავაიზე დაბადებული ბარაკ ობამა პრეზიდენტი ვერასდროს გახდებოდა.



წარმოშობით ბელარუსი ნიკოლაი სუძილოვსკი აბორიგენებს იცავდა

**იანკებმა ნელ-ნელა დაიწყეს მოქმედება. თავდაპირველად ხელში ჩაიგდეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ყურე პერლ-ჰარბორი, შემდეგ შექმნეს ახალი საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც ამომრჩეველს ქონებრივ ცენზს უწესებდა. მეფე კამეამეამ სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ სასახლეში ამერიკის ფულით შექმნილი „ჰავაის ლიგის“ წარმომადგენლები შეცვივდნენ და შაშხანების ლულების ქვეშ მეფეს ხელახლა დააწერინეს ქვეყნის ძირითადი კანონი. შედეგად, აბორიგენთა უმეტესობამ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება დაკარგა**



**ცნობისათვის:**

**ჰავაი (ინგლ. Hawaii) — აშშ-ის კუნძულოვანი შტატი, მდებარეობს წყნარ ოკეანეში. აშშ-ის კონტინენტური ნაწილიდან 3700 კმ-ის დაშორებით. მოსახლეობა 1,4 მლნ კაცია; დედაქალაქი — ჰონოლულუ; ოფიციალური ენა — ინგლისური. ადგილობრივები ლაპარაკობენ ჰავაიურადაც; ოფიციალური სახელწოდება — ალოჰას შტატი.**

მოსაზრება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აფხაზეთში პრობლემები იყო და სეპარატისტული განწყობა ადეკვატური მუხტით ძლიერდებოდა, მაგრამ ომის ფატალური გარდაუვალობა არ არსებობდა. ტანკები იქ არ იყო საჭირო! სხვა გამოსავლის მონახვაც, ცხადია, შეიძლებოდა. ბოლოსდაბოლოს, აფხაზეთი ბორბლებზე როდი იყო შეყენებული და მის ტერიტორიას, 250-ათასიან ქართული მოსახლეობასთან ერთად, აფხაზები ფსოუს იქით ვერ გადაიტანდნენ. მით უფრო, როცა ისინი გულწრფელად მოდიოდნენ კონსტრუქციულ დიალოგზე ომამდე, ომის დროს და მის შემდეგაც. მაგრამ, როგორც ჩანს, დაპირისპირების მშვიდობიანი მოგვარება ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა, რადგან მრავალი პრობლემისგან აზვირთებული ხალხის ენერგია მას მიაწყდებოდა წასალეკად.**

# აფხაზეთში დაბრუნება მხოლოდ სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი!



**ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა სოხუმის დაცემიდან და ქვეყნის სხეულიდან აფხაზეთის მოწყვეტის შემდეგ. დღემდე გაისმის მავანთა ოხვრა: როგორ დავკარგეთ აფხაზეთი?! ვერ გავრკვეულვართ, რასთან გვაქვს საქმე. ხელისუფლებაც დუმს.. არ არქმევს სახელს ქვეყანაში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს. ეს ხელს არ აძლევს, რადგან ასეთ შემთხვევაში მისი წვლილიც გამოჩნდება.**



აფხაზეთის ტრაგედიის გენეზისი რთული და მრავალწახნაგოვანია. იგი წარსულისა და აწმყოს ურთიერთდაკავშირებულ არაგონივრულ მოქმედებათა ერთობლიობას ეფუძნება. **მრავალი კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია, მათ შორის: აფხაზეთი დავკარგეთ თუ გავასხვისეთ? რა იყო ამისი მთავარი მიზეზი და შეიძლებოდა თუ არა აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების თავიდან აცილება? რა იყო საჭირო ამისთვის?**

უკვე 21 წელიწადი იწურება, რაც დავტოვეთ აფხაზეთი და დღემდე გრძელდება უთავბოლო, არაფრის მომცემი რიტორიკა, რომ აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწაა და წარმოადგენს ქვეყნის ისტორიულ ოლქს, ხოლო თვითონ აფხაზები არაავტოქტონური მოსახლეობაა. აქედან გამომდინარე, მავანს მიაჩნია, რომ ყველაფრის თავიდათავი აფხაზური სეპარატიზმი იყო.

რა თქმა უნდა, აფხაზეთში არსებობდა ანტიქართული განწყობა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მწიფდებოდა და პიკს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მიაღწია. საზოგადოების პოლარიზაციისა და პოლიტიკური დაპირისპირების ნოყიერი გარემო თანდათან ყალიბდებოდა ჩვენ თვალწინ, მაგრამ **ჩვენი მხრიდან ერთი კონსტრუქციული ნაბიჯიც არ გადადგმულა, აფხაზურ მხარესთან უბრალო პოლიტიკური დიალოგის მცდელობაც არ გვქონია. პირიქით, ვაკეთებდით იმას (ტოპონიმიკისა და დემოგრაფიული სურათის შეცვლა და ა. შ.), რაც უფრო აღრმავებდა დაპირისპირებას, იწვევდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას. ეროვნული ნიშნით ვემიჯნებოდით ერთმანეთს: ცალ-ცალკე ვქმნიდით მწერალთა კავშირებს, თეატრებს, საფეხბურთო გუნდებსაც და ბოლოს (დააკვირდით) — პარლამენტსაც კი.** აფხაზეთში ქართველი მოსახლეობისთვის ცალკე მინისტრთა საბჭოს (ყველა სამინისტროთი და მათი ქვედანაყოფით, მათ შორის, ძალოვანი სტრუქტურებითურთ) შექმნასაც შევეცადეთ. ყველაფერი ეს ცენტრალური ხელისუფლების — სისხლიანი „გოსსაბჭოს“, მისი თავკაცის, ბატონი შევარდნაძის წაყრუებით, მისი შენიღბული თუ აშკარა მხარდაჭერით ხორციელდებოდა, სისრულეში კი მოჰყავდა მის მიერვე აფხაზეთში შექმნილ **„ეროვნული ერთიანობის საბჭოს“** (სახელდახელოდ შექმნილი მე-5 კოლონა და მასში გაერთიანებული ქართველი ცრუ ინტელიგენცია) ლიდერებს და უმაღლესი საბჭოს ექსტრემისტულ ნაწილს (თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით). **ისინი განუხრელად აღვივებდნენ ეროვნებათა შორის შუღლს და აფხაზი ხალხის სახით ქმნიდნენ მტრის ხატს, უბიძგებდნენ საზოგადოებას შეიარაღებული დაპირისპირებისკენ.**

ასე რომ, აფხაზეთში პრობლემები იყო და სეპარატისტული განწყობა ადეკვატური მუხტით ძლიერდებოდა, მაგრამ ომის ფატალური გარდაუვალობა არ არსებობდა. **ტანკები იქ არ იყო საჭირო!** სხვა გამოსავლის მონახვაც, ცხადია,შეიძლებოდა. ბოლოსდაბოლოს, აფხაზეთი ბორბლებზე როდი იყო შეყენებული და მის ტერიტორიას, 250-ათასიან ქართულ მოსახლეობასთან ერთად, აფხაზები ფსოუს იქით ვერ გადაიტანდნენ. მით უფრო, როცა ისინი გულწრფელად მოდიოდნენ კონსტრუქციულ დიალოგზე — ომამდე, ომის დროს და მის შემდეგაც. მაგრამ, როგორც ჩანს, დაპირისპირების მშვიდობიანი მოგვარება ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა, რადგან მრავალი პრობლემისგან აზვირთებული ხალხის ენერგია მას მიაწყდებოდა წასალეკად. საჭირო იყო, ეს ენერგია სხვა მიზნისკენ მიმართულიყო...

ეს მიზანი რომც არ არსებულიყო, ხელოვნურად უნდა შეექმნათ. დიახ, ხელოვნურად! აფხაზეთში კი უკვე ყველაფერი მზად იყო ეთნოკონფლიქტისთვის და ხელისუფლებამ ეს შანსი გამოიყენა — **„სახელმწიფო საბჭომ“, გამოგონილი ვერსიით, ჯავშანტექნიკა და კრიმინალური ელემენტებისგან შემდგარი ბანდფორმირებები შეუსია აფხაზეთს. მანამდე კი ამ უკონტროლო ბანდამ რამდენიმეჯერ გადაუარა სამეგრელოს, შეურაცხყო ძირძველი კოლხური მოსახლეობა, სულში ჩააფურთხა მას და ამით ზურგი მოურღვია მის მიერვე დაგეგმილ ომს აფხაზეთში, შემდეგ უპრობლემოდ რომ ჩაებარებინა მტრისთვის**. ასეც მოხდა: 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს უმაღლესმა სარდლობამ ცალმხრივად განაიარაღა ქართული მხარე და წინააღმდეგობის გარეშე ჩააბარა აფხაზეთი მომხდურს.

სხვა ახსნას ვერ მოუძებნი იმას, რაც მოხდა...

**კბილებამდე შეიარაღებული 9-10 ათასამდე ჯარისკაცი კისრისტეხით გამოიქცა აფხაზეთიდან და უიარაღო ქართული მოსახლეობა გააფთრებულ მტერს შეატოვა პირისპირ. „მშობელ ხალხს“ უფრო უსაფრთხო გამოსასვლელი ჩაუკეტეს ოჩამჩირის მიმართულებით და უსულგულოდ გაუყენეს საკენ-ჭუბერის ჯოჯოხეთურ ყიამეთს. სარდლობამ კი, თავისი შეიარაღებული ძალებით, პირველმა გააღწია სამშვიდობოს, სადაც აფხაზეთის ტრაგედიის სცენარის ავტორი და მთავარი რეჟისორი თავის დამქაშებთან ერთდ პატივით მიიღეს.**

აქ უნებლიეთ გახსენდება ილია მართლის სარკაზმითა და გულისწყრომით ნათქვამი სიტყვები: „არის კიდევ სადმე ერი, ჩვენისთანა ბედნიერი!..“ და დიდი აკაკის ისტორიული ფრაზა: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!..“

აი, ის, რაც უნდა ითქვას მანამ, სანამ დავიწყებდეთ საუბარს აფხაზეთის პრობლემების მოგვარებაზე, აფხაზეთისკენ მიმავალ გზებზე. **წარსულის შეფასებისა და დაშვებული შეცდომების გაანალიზების, მათი გულწრფელი აღიარების გარეშე საუბარი ამ საკითხზე უსაგნო და უსაფუძვლოა. მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, დღემდე არ გვაქვს გაცნობიერებული, რატომ, რისთვის დატრიალდა აფხაზეთის ტრაგედია; რა იყო საჭირო იმისთვის, რომ იგი ძირშივე აღკვეთილიყო. ვერც ურმის გადაბრუნების შემდეგ დავადექით სწორ გზას.**

აფხაზეთის გასხვისების დაკანონებას ჯერ კიდევ მაშინ შეექმნა მყარი საფუძველი, როცა არალეგიტიმურმა ორგანომ — „სახელმწიფო საბჭომ“ — 1994 წელს გააუქმა აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუცია და ხელოვნურად შექმნა ქვეყანაში სამართლებრივი ვაკუუმი, რომლითაც მყისვე ისარგებლეს აფხაზებმა და აღადგინეს 1925 წლის კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. შიგა რეგიონული პოლიტიკური კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცით, შევარდნაძემ პრობლემა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანა და მერე თავად მიუჯდა მოლაპარაკების მაგიდას აფხაზეთის წარმომადგენლებთან ხან ჟენევაში, ხან — მოსკოვში და ხან — სად, რითაც აღიარა აფხაზეთი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ასე გაუფორმა შევარდნაძემ აფხაზებს „დამოუკიდებლობა“.

დღესაც არ ვადგავართ სწორ გზას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ, როგორც შევარდნაძის, ისე მისი მემკვიდრის — სააკაშვილის ხელისუფლებას, ახალ მთავრობასაც აღარ სურს აფხაზეთში დაბრუნება, ამ ტერიტორიის დამკვიდრება საქართველოს სამართლებლივ სივრცეში. ეტყობა, ისინი ღრმად ჩახედულნი არ არიან პრობლემის არსში ან დაგეშილნი არიან ქართველი ხალხის „უგუნური მოყვარის თუ ჭკვიანი მტრის“ მიერ.

ომის პერიოდში და მის შემდეგაც არაერთგზის მოგვეცა მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, მაგრამ ყველა მათგანი გამოუყენებული დარჩა. თავადაც არა ერთხელ ვყოფილვარ მონაწილე და თანაავტორი ოფიციალურ სოხუმთან შეთანხმებული რამდენიმე ისეთი პროექტისა, რომლებიც ითვალისწინებდა დევნილი მოსახლეობის მასობრივ და უსაფრთხო დაბრუნებას და აფხაზეთის მოქცევას საქართველოს სამართლებრივ სივრცეში, მაგრამ ყველა ეს პროექტი ჩაიშალა (ჩაშალეს). არ შეიძლება, აქ გვერდი ავუაროთ ასეთ ფაქტსაც: **სოხუმის დაცემამდე 2 დღით ადრე საქართველოს საგარეო საქმეთა იმჟამინდელ მინისტრ ალექსანდრე ჩიკვაიძეს დაურეკა ვლადისლავ არძინბამ და სთხოვა: „შემხვდეს შევარდნაძე, მზად ვარ მოლაპარაკებისთვის, სადაც გინდათ, როდესაც გინდათ“...** ბატონმა ალექსანდრემ პასუხად ჟენევის ფორმატი შესთავაზა, რომელიც არძინბამ ცივად უარყო, — „მოლაპარაკება ჟენევაში ერთია, მე კი პირადად შევარდნაძე მინდა შემხ-

▶

მსოფლიო



## ამერიკელთა 35 პროცენტი გაკოტრების პირასაა

**აშშ-ის მოქალაქეების 35 პროცენტს აქვს ვალები, რომლებიც ოფიციალურად არის რეგისტრირებული კოლექტორული სააგენტოს (სპეციალური სამსახური, რომელიც სასამართლოს ჩაურევლად ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების ამოღებით არის დაკავებული) მიერ არის რეგისტრირებული ან სასამართლოს აღმასრულებლებმა უნდა ამოიღონ, განაცხადეს ამერიკული ავტორიტეტული ორგანიზაცია Urban Institute-ს წარმომადგენლებმა.**

მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყნის მოქალაქეებს არ აქვთ ფული იპოთეკისა და ავტოკრედიტების გასასტუმრებლად, აგრეთვე, მკურნალობისა და სწავლის საფასურის გადასახდელად.

Urban Institute-ის მონაცემებით, თითოეული ამერიკელის ვალი, საშუალოდ, 5178 დოლარს შეადგენს.



მოსაზრება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვენი მხრიდან ერთი კონსტრუქციული ნაბიჯიც არ გადადგმულა, აფხაზურ მხარესთან უბრალო პოლიტიკური დიალოგის მცდელობაც არ გვქონია. პირიქით, ვაკეთებდით იმას, რაც უფრო აღრმავებდა დაპირისპირებას, იწვევდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას. ეროვნული ნიშნით ვემიჯნებოდით ერთმანეთს: ცალ-ცალკე ვქმნიდით მწერალთა კავშირებს, თეატრებს, საფეხბურთო გუნდებსაც და ბოლოს (დააკვირდით) — პარლამენტსაც კი.

◀ ვდეს, გთხოვთ, დაუკავშირდეთ და გადასცეთ, რომ მასთან საუბრისთვის მზად ვარ, მოვდივარ დიალოგზე". ამ დროს **სოხუმში მყოფ შევარდნაძეს რაციით დაუკავშირდნენ, მან კი თავისი აპარატის უფროსი, ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე ასე დააკვალიანა: „გადაეცით საშას, უთხრას არძინბას, რომ ვერ მიპოვეთ!.."** ეს ხდება სოხუმის დაცემამდე 2 დღით ადრე. შევარდნაძე შეგნებულად გაექცა არძინბასთან დიალოგს და სამარცხვინო ომიდან ღირსეულად გამოსვლას. წარმოიდგინეთ, როგორ აისახებოდა ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რამდენი ადამიანი გადაურჩებოდა სიკვდილს და რამდენი ოჯახი — განადგურებას. ისინი კი შეეწირნენ ერთი კაცის უგუნურ და ავადმყოფურ ამბიციებს. მოგიყვანთ ამ კაცის კიდევ ერთ შოკისმომგვრელ გადაწყვეტილებას: 2000 წლის მარტში ვლადიმერ პუტინის მიერ რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა იგორ ივანოვმა ვაჟა ლორთქიფანიძეს გადასცა პუტინის სიტყვები: **„ინაუგურაციის შემდეგ მივუბრუნდეთ იმ საკითხს, რომელიც ვერ დავამთავრეთ მაშინ. შენ ჩამოხვალ მოსკოვში, მოგიპატიჟებთ აგარაკზე და დავუძახებ ყველა მინისტრს, რომლებიც საჭირო გახდება ჩვენი მხრიდან. მთელ შაბათს ვიმუშავებთ, ვიმსჯელოთ და ამოვწუროთ კონფლიქტი. თუ შაბათი საკმარისი არ იქნება, ვიმუშაოთ კვირასაც, მაგრამ არ დავშორდებით ერთმანეთს მანამ, სანამ არ ამოვწურავთ კონფლიქტს. საჭირო იქნება აფხაზების ინტერესთა გათვალისწინებაც, მაგრამ საკითხი გადაწყდება საქართველოს ერთიანი საზღვრების შიგნით".**

მაგრამ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა, რომელიც 15-16 მაისისთვის იყო დაგეგმილი, ჩაიშალა – 4 მაისს ბატონმა შევარდნაძემ ვაჟა ლორრქიფანიძე თანამდებობიდან გადააყენა. რატომ?! პირველი, რაც შეიძლება ვიფიქროთ, არის ის, რომ მას ხელს არ აძლევდა, ვლადიმერ პუტინი სახელმწიფო მინისტრს რომ ეპატიჟებოდა და არა უშუალოდ მას — პრეზიდენტს. აი, სად მარხია ძაღლის თავი.

მოხდა სხვა დრამატული შემთხვევაც: **არძინბას პირად წარმომადგენელ ანრი ჯერგენიასთან მოსკოვში ხანგრძლივი და კონსტრუქციული დიალოგის შედეგად მოვამზადეთ ოფიციალურ სოხუმთან შეთანხმებული პროექტი დევნილი მოსახლეობის მასობრივი და უსაფრთხო დაბრუნების თაობაზე, რომელიც დიპლომატიური არხებით გადაეგზავნა შევარდნაძეს, მაგრამ მან ახლოსაც არ გაგვიკარა. აფხაზეთში ჩვენი მხარის მიერ მოწყობილმა ტერაქტმა კი შეთანხმების განხორციელება საბოლოოდ ჩაშალა.**

მაშინ ჯერ კიდევ ვერაფერს ვხვდებოდი, არ ვიცოდი, რა მელონა, რა ხერხისთვის მიმემართა. მერე და მერე, სხვებთან ერთად, თვალი ამეხილა და მივხვდი, როგორ მოქმედებდა იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფი „დიდი" პოლიტიკოსის, „მსოფლიო დემოკრატიის მთავარი არქიტექტორის", ბატონი შევარდნაძის ცბიერზე **უცბიერესი გონი: თუ მასთან არ სურთ, მაშინ — არავისთან!..**

ასეთი იყო თანამედროვეობის ამ „დიდი პოლიტიკოსის" ლოგიკა! ასეთმა მიდგომამ დააქცია ეს ქვეყანა, გააუბედურა ათასობით ოჯახი „საკუთარ ქვეყანაში". ამ დროს ის ამაყობდა, რომ დაანგრია გერმანიის გამყოფი ბერლინის კედელი; სანაცვლოდ მან „საკუთარ ქვეყანაში", ენგურის გასწვრივ აღმართა სიძულვილისა და მტრობის კედელი! ასე შეეწირა შევარდნაძის ავადმყოფურ ამბიციებს საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესები. ცოტა ხნის წინათ კი საქართველოს ელიტამ ეს კაცი უკანასკნელ გზაზე ისე გააცილა, როგორც ეროვნული გმირი...

კიდევ არის სადმე ერი, ჩვენისთანა ბედნიერი?!..

როცა ასეთი მუხანათები სხედან ქვეყნის ხელისუფლების სათავეში, წარმატებისთვის როგორღა უნდა მიგველწია, მით უფრო, როცა მუხანათობა დაუსჯელი რჩება, მაგალითის ძალას იძენს და მეორდება. სწორედ დაუსჯელობამ განაპირობა ის, რომ წარსულში დაწყებული „საქმენი საგმირონი" წარმატებით დააგვირგვინა შევარდნაძის პირმშომ და მიმდევარმა სააკაშვილმა მძინარე ცხინვალის დაბომბვითა და იქ ჯავშანტექნიკის შეჯირითებით, რასაც მოჰყვა რუსეთის მიერ ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება. აი, ამ საშინელებათა მეხამრიდად უნდა დაწესდეს ნებისმიერი მალალჩინოსნის სრული ლუსტრაცია, ჩვენი მომავალი თაობების უსაფრთხოება თუ გვავალია გონებადაუნჯებულ პაპებს, მამებს, საზოგადოებას.

**მხოლოდ დაშვებული შეცდომების გონივრული განსჯით, მათი ახლებურად დანახვითა და სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი აფხაზეთისკენ მიმავალი გზებისა და ხიდების აღდგენა და მათზე გავლა. სიმართლითა და მონანიებით შეიძლება მივუახლოვდეთ პრობლემას და მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას აფხაზეთის წარმომადგენლებთან ერთად. სიმართლე მწარეა, მაგრამ კურნავს!**



**აფხაზეთის გასხვისების დაკანონებას ჯერ კიდევ მაშინ შეექმნა მყარი საფუძველი, როცა არალეგიტიმურმა ორგანომ — „სახელმწიფო საბჭომ" — 1994 წელს გააუქმა აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუცია და ხელოვნურად შექმნა ქვეყანაში სამართლებრივი ვაკუუმი, რომლითაც მყისვე ისარგებლეს აფხაზებმა და აღადგინეს 1925 წლის კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა**

გასაგებია, რომ სიმართლის აღიარება არ არის ყოველთვის ადვილი და მომგებიანი საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში, მაგრამ ეს აუცილებელია, თუნდაც შიგა მოხმარებისთვის. უნდა მოვეშვათ გაუთავებელ საუბარს აფხაზურ სეპარატიზმზე. ეს არაფრის მომტანია. იგი ხელს უწყობს გაუცხოების პროცესის გაღრმავებას, აფხაზ ხალხთან დისტანცირებას. მით უფრო, რომ პოლიტიკაში სიტყვა „სეპარატიზმი" შემოგდებულია მათ მიერ, ვინც დანაშაული ჩაიდინეს საკუთარი ხალხის ეთნიკურად განსხვავებული ნაწილის მიმართ და ცდილობენ, პასუხისმგებლობა მათვე დააკისრონ მიღებული შედეგების გამო. ამის მაგალითი არაერთია.

დაპირისპირება და გაუცხოება ძლიერ გაღრმავდა და, თუ გვიან არ არის, **აფხაზეთის პრობლემების მოგვარება უნდა დავიწყოთ ეთნიკური აფხაზების შემობრუნებით! აფხაზეთის ერთიან ქართულ-აფხაზურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა შესაძლებელია მხოლოდ აფხაზი ხალხის ნდობის აღდგენით, მათი ნებითა და მათთან თანამშრომლობით! სხვა გზა არარეალურია!**

აფხაზებთან საუბრისას ძალზე მნიშვნელოვანია, ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობის ისტორიის ღრმა ცოდნა და სწორი აღქმა და არა ფსევდომეცნიერული მიდგომით, რომლითაც გვასაზრდოებდნენ ათეული წლების განმავლობაში. **აფხაზეთშიც არიან განსწავლული ადამიანები და მათაც კარგად უწყიან ნამდვილი ისტორია; მათ ჩინებულად იციან, რომ გამოჩენილი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე აღნიშნავდა, კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სახლობდნენ აბაზგებიო; ხოლო მოგვიანებით, ფლავიუს არიანეს (ახ.წ.აღ. II ს.) ცნობით, ლაზების ზემოთ, დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით მდინარე ბზიფის ხეობაში, პირველი საუკუნიდან სახლობდნენ ჯერ აფსილები, შემდეგ — აბაზგები. აპოლონიოს როდოსელის მიხედვით კი აფსილ-აბაზგები (სერგი მაკალათიას მოსაზრებით, — აფხაზები) კოლხების გვერდით ბინადრობდნენ.**

აფხაზეთში ბევრი სხვა ისტორიული ფაქტიც იციან, რომ ყოველივე ეს ხდებოდა გაცილებით ადრე, ვიდრე კავკასიაში გამოჩნდებოდნენ ქართები — ქართველების წინამორბედი ტომი, რომლის კვალისთვის ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილს მე-6 საუკუნემდე ვერსად მიუგნიათ. მსოფლიო ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეს მიხედვით, სიმწრის (წითელი) ზღვიდან შავ ზღვამდე სახლობდა მხოლოდ ოთხი ხალხი: სპარსები, მიდიელები, სასპერები და კოლხები. აფხაზებმა კარგად იციან, რომ ისინი სწორედ კოლხური სამყაროს – იბერიის ნაწილნი არიან და არა საქართველოსი, რადგან თვით ცნება „ქართველი და საქართველო" ბუნებაში ჯერაც არ არსებობდა; ისინი მოგვიანებით გახდნენ ძველ მეგრულ-ლაზურ (ზანურ) ენაზე მოსაუბრე იბერიის მკვიდრნი. ამიტომ არ იზიარებენ აფხაზები ფსევდომეცნიერულ და თავსმოხვეულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ისინი ე. წ. ქართველური მოდგმისანი არიან. მათ მყარად აქვთ გაცნობიერებული, რომ ადიღეური შტოს წარმომადგენლები გახლავან. ქართველი მეცნიერები კი, დაწყებული პავლე ინგოროყვათი და დამთავრებული ჯემალ გამახარიათი, ქადაგებენ: აფხაზები ქართველები იყვნენ ქართული სამყაროს ნაწილი და პრეისტორიული დროიდან აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქიაო.

დავიწყებასაა მიცემული ის ფაქტიც, რომ რუსეთის შემადგენლობაში მოქცევამდე საქართველო კარგა ხნით ადრე იყო სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებული. აფხაზეთი გარკვეული დროის განმავლობაში საერთოდ არ შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, ამიტომ არ მიიჩნევენ აფხაზები საქართველოს თავის სამართალმემკვიდრედ. ეს მათ კარგად იციან, მაგრამ არ იციან ან არ სურთ, იცოდნენ, რომ აფხაზეთი იმ დროისთვის, როცა შედიოდნენ რუსეთის შემადგენლობაში, გაცილებით ნაკლები ტერიტორიით იყო წარმოდგენილი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ასეთ თავსმოხვეულ ფსევდომეცნიერულ მიდგომას აფხაზების წარმომავლობის საკითხისადმი და გაუთავებელ კინკლაობას მათი აბორიგენობის შესახებ, შეუძლებელია, ნეგატიური როლი არ ეთამაშა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში. აფხაზების, როგორც თვითმყოფადი ერის, არაღიარებამ განაპირობა გაუცხოებისა და უნდობლობის ტენდენციების ჩამოყალიბება-გარღმავება. აფხაზებმა ნელ-ნელა დაიწყეს განდგომა. ეს კარგად ჩანს იმ ისტორიული ფაქტიდანაც, რომ აფხაზები თავდაპირველად, ჯერ კიდევ მუჰაჯირობამდე, იხრებოდნენ ჩვენკენ და ჩაჩბები, აჩბები, ემხები, მანები, აქირთები, ზვამბები, თარბები, ზუხბები, ქეცბები, აკიჟბები, ლაცუჟბები, აბუხბები, ყოლბები და სხვანი იქცნენ კიდეც შესაბამისად, შერვაშიძეებად, ანჩაბაძეებად, ემხვარებად, მარღანიებად, აქირთავებად, ზვამბაიებად, თარბაიებად, ზუხბაიებად, ქეცბაიებად, აკიჟბაიებად, ლაცუჟბაიებად, აბუხბაიებად, ყოლბაიებად და ა. შ. ხოლო გასაბჭოების შემდეგ, როდესაც აფხაზეთი შემოვიდა ჯერ კონფედერაციის შემადგენლობაში, როგორც რესპუბლიკა, შემდეგ კი უფრო დაქვეითებული კონსტიტუციური უფლებებით (ავტონომია) საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, უფრო მეტად იჩინა თავი დაპირისპირებამ და აფხაზებმა ისევ იბრუნეს პირი ჩრდილო-დასავლეთისკენ და დაუბრუნდნენ თავიანთ საწყის მდგომარეობას.

რაღა თქმა უნდა, ასეთ დროს უფრო გონივრული იქნებოდა, გვეფიქრა იმაზე, რა არ მოეწონათ მათ, რა იყო ერთი ან მეორე პროცესის მიზეზი, რა ისტორიული მოვლენები ედო საფუძვლად, ვიდრე დღენიადაგ გაუთავებელი ძახილი: „აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქია; აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწაა; აფხაზები აფსუები არიან და ისინი კასპიისპირეთიდან არიან მოსულნი; რომ აფსილები და აბაზგები ქართველები იყვნენ", როდესაც, როგორც ითქვა, ცნება „ქართველი" და „საქართველო" ჯერ კიდევ ბუნებაში არ არსებობდა. „რა უნდათ იმაზე მეტი, რაც აქვთ?! თუ არ გაჩუმდებიან, ჩავქოლავთ, გადავუვლით და ა. შ." — ასეთი იყო ექსტრემისტებისა და ვაიპოლიტიკოსების შეძახილები, რომელთაც გონივრულ პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

**ნაპო მესხია,**
**ნეიროქირურგი,**
**საზოგადო მოღვაწე,**
**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ნორვეგია ნატოს გაფართოების წინააღმდეგია

**ნორვეგია აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს ბაზების მუდმივად განლაგების წინააღმდეგია, განაცხადა ნორვეგიის პრემიერ მინისტრმა ერნა სულბერგმა ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან შეხვედრის შემდეგ.**

ერნა სულბერგმა აღნიშნა, რომ ნორვეგია მზად არის საერთაშორისო შეთანხმებებისა და სწავლებათა გეგმების შესასრულებლად, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობა არ ეთანხმება ნატოს მუდმივი ბაზების შექმნას აღმოსავლეთ ევროპაში.

ცოტა ხნით ადრე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ განაცხადა, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა მიაღწიეს შეთანხმებას აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს გაფართოების თაობაზე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ სამხედრო ხარჯების მომატების საკითხი გადაწყდება ნორვეგიის ყოფილი პრემიერმინისტრ იენს სტოლტენბერგის ხელმძღვანელობით, რომელიც ნატოს გენერალური მდივნის პოსტს 2014 წლის 1 ოქტომბერს დაიკავებს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რატომ თქვა ობამამ უარი ავიადარტყმებზე, რომლებიც უდავოდ შეარყევდა სირიული რეჟიმის პოზიციებს, მაგრამ გაგზავნა სამხედრო თვითმფრინავები და უპილოტო საფრენი აპარატები ისლამური „ხალიფატის“ არტილერიის სალიკვიდაციოდ?**



# ობამას დიპლომატიის მთავარი კითხვა

**„არ აკეთო სისულელეები!“ — ბარაკ ობამა მართალია, საგარეო პოლიტიკაში სისულელეების კეთება ზედმეტია; მაგრამ ჰილარი კლინტონიც, რომელიც მისი მოწინააღმდეგე გახლდათ 2008 წლის პრაიმერიზზე, შემდეგ კი მისი ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანი, ასევე მართალია თავისებურად: პოზიცია „არ აკეთო სისულელეები“ არ შეიძლება ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ დოქტრინად გამოდგეს. 2016 წლის მომავალ არჩევნებზე დემოკრატების სავარუდო კანდიდატმა ამის შესახებ ვრცლად ისაუბრა ჟურნალ The Atlantic-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**



კლინტონის აღიარებით, იგი თავადაც ვერ მივიდა საბოლოო დასკვნამდე და ჯერ კიდევ ფიქრობს საერთაშორისო არენაზე მოქმედების გლობალურ კონცეფციაზე, რომელშიც ადგილი არ ექნება არც იზოლაციონიზმსა და არც ავანტიურიზმს. ეს წონასწორობა ბოლომდე მიუღწეველ მიზნად იქცა ბარაკ ობამასთვის, რომელიც ხელისუფლებაში უმცროსი ჯორჯ ბუშის ინტერვენციონიზმის მრავალი წლის შემდეგ მოვიდა.

## რა განსხვავებაა სირიასა და ერბილს შორის?

თუ აშშ-ის პრეზიდენტის ბოლო ერთი წლის გადაწყვეტილებების მიხედვით ვიმსჯელებთ, „სისულელე“ იქნებოდა სირიის საქმეებში ჩარევა გასულ ზაფხულს, როდესაც გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტი ბაშარ ასადი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს იყენებდა. მაგრამ არანაკლები „სისულელე“ იქნებოდა ჩაურევლობა მას შემდეგ, რაც „ისლამური სახელმწიფოს“ რადიკალებმა ერაყიდან ქრისტიანები განდევნეს, სასიკვდილო საფრთხედ იქცნენ იეზიდებისთვის და მიუახლოვდნენ ერაყული ქურთისტანის ავტონომიის დედაქალაქ ერბილს.

მაგრამ რა განსხვავებაა ამ ორ შემთხვევას შორის? **რატომ თქვა ობამამ უარი ავიადარტყმებზე, რომლებიც უდავოდ შეარყევდა სირიული რეჟიმის პოზიციებს, მაგრამ გაგზავნა სამხედრო თვითმფრინავები და უპილოტო საფრენი აპარატები ისლამური „ხალიფატის“ არტილერიის სალიკვიდაციოდ?**

როგორც პრეზიდენტის კრიტიკოსები მიიჩნევენ, ეს ყველაფერი მის ყოყმანზე მიანიშნებს და მისი სისუსტის დადასტურებაა.

მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილებების ახსნა სიტუაციის ყურადღებით გაანალიზების შედეგად შესაძლებელი ხდება. ამრიგად, **სირიის ოპოზიციაში გაერთიანებული ათასგვარი ჯგუფები ბარაკ ობამას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უღვივებდნენ ღრმა უნდობლობას და არა მხოლოდ ობამას. დასავლელი ლიდერების უმეტესობა, როგორც აშშ-ის პრეზიდენტი, შიშობდა, რომ მეამბოხეებისთვის გადაცემული იარაღი საბოლოო ჯამში „ცუდ ხელში“ აღმოჩნდებოდა, ანუ ექსტრემისტულად განწყობილ ისლამისტებს დარჩებოდათ.** სხვათა შორის, როგორც ამბობენ, მათ უკვე მიიღეს სერიოზული დაფინანსება სპარსეთის ყურის ქვეყნებისა და საუდის არაბეთისგან.

## ჰილარი კლინტონი მართალია

ჰილარი კლინტონი არ ტყუის, როდესაც თეთრი სახლის ლიდერს სირიის ოპოზიციაში ელიტური და დემოკრატიული ძალებისადმი აგდებულ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს.

ამჟამად ერაყში მოხვედრილმა „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა ისარგებლეს სირიაში აშშ-ის თავშეკავებული პოზიციით, რათა საკუთარი მდგომარეობა გაემარტივებინათ. თავად ჰილარი კლინტონი სახელმწიფო მდივნობისას (იგი ამ თანამდებობაზე 2013 წლის იანვრამდე მუშაობდა) სირიული ოპოზიციისთვის დახმარების აღმოჩენის მომხრე იყო. ანალოგიურ პოზიციას იზიარებდა პრეზიდენტის ზოგიერთი მრჩეველიც, მაგალითად, სამანტა პაუერი და სიუზან რაისი, მაგრამ ობამამ საკითხი სხვაგვარად გადაწყვიტა.

**სირიაში ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ქრისტიანების საყრდენად რუსეთი იქცა. ახლა ობამა თვლის, რომ არ უნდა მისცეს საშუალება რუსეთს, ერაყშიც იგივე როლი მოირგოს. მით უფრო, რომ რუსეთის პრეზიდენტი უკვე დაეხმარა პრემიერმინისტრ ალ-მალიკის მაშინ, როდესაც ამერიკელებმა ზიზღით აიბზუეს ცხვირი**



გარდა ბაშარ ასადის მოწინააღმდეგეებს შორის აბდაუბდისა, ობამას გადაწყვეტილებაზე, არ ჩარეულიყო სირიაში შექმნილ სიტუაციაში, სხვა ფაქტორებმაც იმოქმედა; კერძოდ, ერაყში ომის გამოცდილებამ, რომელიც მემკვიდრეობით ერგო თავისი წინამორბედისგან. ობამა იმისათვის აირჩიეს პრეზიდენტად, რომ ერაყში ომი დაემთავრებინა და დაამთავრა კიდეც, ყოველ შემთხვევაში, თავად ფიქრობდა, რომ დაამთავრა 2011 წელს. ამიტომ იგი ცალსახად არ იყო მზად, ყველაფერი დაედო ფსონზე სირიაში ახალი ავანტიურის გამო, მით უფრო ლიბიის პრეცენდენტის ფონზე და იქ კადაფის დამხობის შემდეგ გაჩენილი ქაოსის ფონზე.

ზუსტად ანალოგიური მოსაზრებები მოქმედებდა ერაყთან დაკავშირებით: „ისლამური სახელმწიფოს“ შეტევის დასაწყისში აშშ-ის პრეზიდენტმა უმაღლესი დონის სიფრთხილე გამოიჩინა, მაგრამ განლაგება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ქურთისტანისა და ერბილის თავზე რეალური საფრთხე გამოჩნდა.

## ობამას თავისი მოტივები აქვს

პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ ქურთისტანის დედაქალაქში ამერიკის მსხვილი წარმომადგენლობაა, რომელიც ახლახან კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან ბაღდადიდან დიპლომატიური პერსონალის ნაწილი სწორედ იქ გადაიყვანეს. ბარაკ ობამას არასდროს უსაუბრია აშშ-ის სამხედრო ჩარევების პრინციპულ მიუღებლობაზე ამა თუ იმ სიტუაციაში და ამერიკელი მოქალაქეებისა თუ ამერიკული ინტერესებისათვის პირდაპირი საფრთხის შემთხვევაში ძალის გამოყენებას საკითხის სასარგებლოდ გადასაჭრელ არგუმენტად იყენებდა.

გარდა ამისა, ავტონომიური ქურთისტანი ამერიკის მოკავშირეების რიცხვში შედის, მისი ხელისუფლება კი ერთ-ერთი იშვიათ „ღირსეულ“ რეჟიმთაგანია რეგიონში. გარდა ქურთებისა, ისლამისტების მხრიდან საფრთხე ემუქრებოდათ ქრისტიანებსა და სხვა უმცირესობებსაც.

სირიაში ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ქრისტიანების საყრდენად რუსეთი იქცა. ახლა ობამა თვლის, რომ არ უნდა მისცეს საშუალება რუსეთს, ერაყშიც იგივე როლი მოირგოს. მით უფრო, რომ რუსეთის პრეზიდენტი უკვე დაეხმარა პრემიერმინისტრ ალ-მალიკის მაშინ, როდესაც ამერიკელებმა ზიზღით აიბზუეს ცხვირი.

და ბოლოს, **ობამას არ შეუძლია, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა არ იგრძნოს იმ ყველაფრის გამო, რაც ახლა ერაყში ხდება.**

ქვეყანაში გამეფებული ქაოსი, უპირველეს ყოვლისა, 2003 წელს ერაყში ამერიკის შეჭრის და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ამერიკული ხელმძღვანელობის უძლურების შედეგია.

სახელმწიფო სტრუქტურები მოიშალა, არმიას თავი მოჭრეს, შიიტებისა სუნიტების დაპირისპირებები და რელიგიური დევნა კი ვერაფრით აღკვეთეს.

**ბარაკ ობამა განუწყვეტლივ იმეორებდა, რომ ერაყელებს თავად უნდა ეპოვათ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, თავად უნდა დაეძლიათ პოლიტიკური კრიზისი და მოეკრიბათ ძალები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად.** როგორც არ უნდა იყოს, 2011 წელს ერაყიდან ამერიკული ჯარების გაყვანამ ქვეყანაში დატოვა სიცარიელე, რომელიც დაუყოვნებლივ შეავსეს ყველა ჯურის ექსტრემისტებმა.

ობამას ახლა არ შეუძლია, უკან დაიხიოს, მაგრამ მისთვის კიდევ უფრო ძნელია ერაყში მიმდინარე მოვლენებზე თვალის დახუჭვა, მით უფრო, რომ იქ საკმაოდ აქტიურად მოქმედებს კიდევ ერთი მოთამაშე — ირანი. თეირანი ძალზე შეშფოთებულია ერაყელი შიიტების ბედით ▶



## რუსეთი შეიარაღების გაუმჯობესებაზე 20 ტრილიონს დახარჯავს

**რუსეთის არმია აღიჭურვება ისეთი თანამედროვე შეტევითი და თავდაცვითი შეიარაღებით, რომელიც სხვა ქვეყნებს არ გააჩნიათ.** საუბარია ყველაზე თანამედროვე შეიარაღებაზე, თავდაცვით და შეტევით ისეთ სისტემებზე, რომელთაც მსოფლიოს სხვა ჯარები ჯერ არ ფლობენ. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა იალტაში, რუსეთის სათათბირო ორგანოს დეპუტატებთან შეხვედრაზე განაცხადა. „ჩვენ კიდევ გავახარებთ ჩვენს პარტნიორებს“, — დასძინა პრეზიდენტმა. მისი თქმით, ქვეყნის შეიარაღების გასაუმჯობესებლად 20 ტრილიონი რუბლი დაიხარჯება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ენის გადარჩენის იმედი ჩრდილოეთ ერაყზე გადავიდა, მაგრამ ახლა ერაყის ქრისტიანი მოსახლეობაც თავისუფალი ვარდნის მდგომარეობაშია — 2003 წელს ქვეყანაში მცხოვრები მილიონ-ნახევარი ქრისტიანიდან აგვისტომდე 450 ათასამდე იყო დარჩენილი. აგვისტოში კი „ისლამურმა სახელმწიფომ" აიღო კარაკოში, ქალაქი, რომელშიც ყველაზე ბევრი — 50 ათასი ქრისტიანი ცხოვრობდა; ქრისტიანებმა იქაურობა ერთი ღამის განმავლობაში დატოვეს და მათი დიდი ნაწილი ქურთისტანის დედაქალაქ ერბილისკენ გაემართა.**

◀ და ვაშინგტონზე არანაკლებაა დაინტერესებული, რომ „ხალიფატის" წინსვლა შეაჩეროს.

### პრეზიდენტი, რომელსაც ესმის სირთულეები

საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს თანამშრომელი პოლიტოლოგი რიჩარდ ჰაასი საუბრობს იმის თაობაზე, რომ მსოფლიო თავის ამჟამინდელი მდგომარეობით მოკლებულია დომინანტურ სტრუქტურას. ეს იმას ნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკა მასში არ შეიძლება აირეკლებოდეს ერთადერთი პრინციპიდან, როგორც ეს ცივი ომის პერიოდში ხდებოდა. მთავარ მოქმედ პირებს შორის დამოკიდებულებები წარმოუდგენელი სირთულეებით გამოირჩევა:

„თქვენ, შესაძლოა, გარკვეულ ქვეყნებთან თანამშრომლობდეთ გარკვეულ საკითხებში გარკვეული დღეების მანძილზე, შემდეგ კი სხვა დღეებში სხვა საკითხებთან დაკავშირებით იმავე ქვეყნებს უპირისპირდებოდეთ".

ამ დრომდე ეს საკითხები და კონფლიქტები ერთმანეთისგან გამოჯნული იყო. **ვაშინგტონი და მოსკოვი მოწინააღმდეგეები არიან უკრაინული კრიზისის საკითხში, მაგრამ ირანის ატომთან დაკავშირებით ერთობლივად მოქმედებენ. აშშ სანქციებს აწესებს ირანის მიმართ, რათა აიძულოს ბირთვულ პროგრამაში დათმობებზე წასვლა, მაგრამ იმავე ირანთან საერთო ინტერესებიც აქვს „ხალიფატის" წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.** რადიკალი ისლამისტები ერაყში ამერიკის მტრებად იქცნენ, მაგრამ ბოლო დრომდე მათ იმავე ამერიკისთვის გარკვეული სარგებლობა მოჰქონდათ ბაშარ ასადის წინააღმდეგ ბრძოლით.

ეს სირთულეები ობამას არ აშინებს, ინტელექტი მის წინაშე მდგარი ამოცანების სიმაღლეზე დგომის შესაძლებლობას აძლევს და საგულდაგულოდ აანალიზებს ყველა ურთიერთკავშირსა და შექმნილი მდგომარეობის დეტალებს, მაგრამ ნუთუ მართლა შეიძლება, რომ ამას „მთავარსარდლის" უპირატესობა ეწოდოს? მსოფლიოს სირთულეების ამგვარი გაგება არავის უბიძგებს აქტიურობისკენ.

ცოტა ხნის წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ვრცელი ინტერვიუ მისცა თომას ფრიდმანს (The New York Times). ამ ინტერიუში მან მსოფლიოს ყველა საკვანძო პრობლემა გააანალიზა, მაგრამ საბოლოო ჯამში გამოიყურებოდა არა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, არამედ როგორც ბრწყინვალე კომენტატორი...

**Slate.fr**

# იესოს ენა



**შესაძლოა, ჩვენ არამეული ენის მიზანმიმართული განადგურების მომსწრენი ვართ. კარაკოში, თელ-კაპესა და კარამლეში, რომლებიც აგვისტოს დასაწყისში ერაყში „ისლამური სახელმწიფოს" ბოევიკებმა მიიტაცეს, თავმოყრილია მსოფლიოში უკანასკნელი მსხვილი თემი, რომელიც არამეულ ენაზე მეტყველებს. არმიამ ქრისტიანული ერაყის უძველესი ცენტრის ოკუპაცია განახორციელა და, გაეროს წარმომადგენელთა მონაცემებით, იქიდან 6 აგვისტოს ღამეს დაახლოებით 200 ათასი ქრისტიანი აიბარგა და გადაიხვეწა, რადგან სავსებით საფუძვლიანად ვარაუდობდნენ, რომ ბოევიკები მათ გამუსლიმანებას აიძულებდნენ ან დახოცავდნენ. ადგილობრივმა არქიეპისკოპოსმა ჟოზეფ ტომასმა სიტუაციას „კატასტროფული, წარმოუდგენელი კრიზისი" უწოდა.**

მწვავე ჰუმანიტარული კრიზისის მიღმა ისტორიული მასშტაბის კულტურულ-ლინგვისტური ხასიათის საგანგებო მდგომარეობა იმალება. საკუთარი გავრცელების არეალში ენის გაქრობა ბუნებრივი გზით ძალზე იშვიათი მოვლენაა, ეს თითქმის ყოველთვის ზეწოლის, დევნის და დისკრიმინაციის შედეგია. ლინგვისტმა კენ ჰეილმა ერთხელ თქვა, რომ ენის განადგურება ლუვრის დაბომბვის ტოლფასია. შედეგად ნადგურდება აზროვნების მთელი სისტემები, არსებობის საშუალებები და ცოდნის სფეროები. თუ ორიოდე თაობის შემდეგ არამეული ენის უკანასკნელი მცოდნე გარდაიცვლება, ეს ენა ბუნებრივი მიზეზების გამო არ იქნება დაკარგული.

**არამეული ენა არის ენებისა და დიალექტების ფართო ჯგუფი სემიტურ ენობრივ ოჯახში. ყველა ეს ენა მონათესავეა, მაგრამ მათ მატარებლებს ხშირად არ ესმით ერთმანეთის. გარდა ამისა, ამ ენების უმეტესობა ან გაქრა, ან გაქრობის პირასაა. უკანასკნელი შეფასებების თანახმად, 1990-იან წლებში არამეულ ენაზე მეტყველთა რაოდენობა 500 ათას ადამიანს შეადგენდა. ამ ადამიანების თითქმის ნახევარი ერაყში ცხოვრობს. ამჟამად მათი რაოდენობა, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვნადაა შემცირებული, რადგან ისინი მსოფლიოში გაიფანტნენ და არამეულად სულ უფრო ცოტა ადამიანი საუბრობს. ამ ენას არსად გააჩნია ოფიციალური სტატუსი და დაცვა.**

ეს უდიდესი ჩავარდნაა ენისთვის, რომელიც ერთ დროს ლამის უნივერსალურად ითვლებოდა. არამეულ ენაზე 3000-ზე მეტი წლის წინ მეტყველებდნენ არამეების თემები, რომლებიც ამჟამინდელი სირიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, შემდეგ ეს ენა ასირიული იმპერიის ენად იქცა. იმ პერიოდში არამეული ასრულებდა იმავე ფუნქციას, რომელსაც ამჟამად ინგლისური ასრულებს მსოფლიოში. ამ ენაზე საუბრობდნენ ადამიანები ინდოეთიდან ეგვიპტემდე. არამეულმა გადაიტანა იმპერიის აყვავებაცა და მარცხიც, ის ყვაოდა ბაბილონსა და ძველ სპარსულ სამეფოში ჩვენს ერამდე მეექვსე საუკუნეში. მილიონობით ადამიანი იყენებდა ამ ენას ვაჭრობაში, დიპლომატიაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაშინაც კი, როდესაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელმა თავის სამფლობელოებს ბერძნული ენა მოახვია თავს, არამეული მაინც განაგრძობდა გავრცელებასა და ახალი დიალექტების შექმნას.

არამეული თანმიმდევრულად მოსდევს უკანასკნელ სამ ათასწლეულს. ამგვარი ხანგრძლივი მემკვიდრეობა მხოლოდ ჩინურს, ბერძნულსა და ივრითს აქვს. **ბევრ რელიგიაში არამეული წმიდა ან თითქმის წმიდა ენად ითვლება. ვარაუდობენ, რომ არამეული იყო იესო ქრისტეს მშობლიური ენა. როგორც მათეს სახარებაში წერია, ჯვარცმულმა ქრისტემ თქვა: „ილი, ილი, ლამა სავახფანი?" („ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რისთვის მიმატოვე?").**

არამეულის მატარებლებმა მხოლოდ მას შემდეგ დაიხიეს უკან და დაიწყეს იზოლირებული საზოგადოებების შექმნა მთიან რაიონებში, რაც მეშვიდე საუკუნეში არაბული ენის გავრცელება დაიწყო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთში. ამ ახალი არამეული დიალექტების მატარებლები ძირითადად იყვნენ იუდეველები და თანამედროვე ერაყის ჩრდილოეთ ტერიტორიებზე (ქურთისტანის ჩათვლით), ასევე ჩრდილოდასავლეთ ირანსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში მცხოვრები ქრისტიანები. არამეულ ენაზე მოლაპარაკე ქრისტიანების უმეტესობა საკუთარ თავს ასირიელებს (აისორებს), ხალდეებს ან არამეებს უწოდებენ.

მიუხედავად დევნისა, არამეული ათას წელზე მეტ ხანს განაგრძობდა არსებობას, ვიდრე მე-20 საუკუნემ არ მოუთავა ხელი. **პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც ოსმალეთის იმპერია დაიშალა, თურქმა ნაციონალისტებმა არა მხოლოდ სომხები და ბერძნები გაწყვიტეს, არამედ გააკეთეს ის, რასაც დღეს „ასირიელთა გენოციდი" ეწოდება — გაანადგურეს და განდევნეს თურქეთის აღმოსავლეთიდან არამეულ ენაზე მოლაპარაკე ქრისტიანები. გადარჩენილებმა ირანსა და ერაყს შეაფარეს თავი. დევნა არც იქ შეწყვეტილა და არამეულად მოლაპარაკე ქრისტიანების დიდი ნაწილი მსოფლიოში გაიფანტა.**



დასავლური ჯგუფის ახალი არამეული ენა ერთადერთ ციტადელში — დამასკოს მახლობლად მდებარე მაალიულიაში შემორჩა. 1996 წლის მონაცემებით, იქ ამ ენაზე მოსაუბრე 15 ათასი ადამიანი ცხოვრობდა და მათ შორის ბევრი ბავშვი იყო. სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა 2006 წელს დამასკოს უნივერსიტეტში არამეული ენის აკადემია გახსნა, მაგრამ შემდეგ სირიაში სამოქალაქო ომი დაიწყო, 2013 წლის სექტემბერში მაალიულია ამბოხებულების — ერაყში „ალ ქაიდას" ჯიჰადისტური განშტოების „ან-ნუსრას ფრონტის" ზეწოლით დაეცა. სახელისუფლო ჯარმა ქალაქი 2014 წლის აპრილში გაათავისუფლა, მაგრამ არამეულენაზე მოსაუბრენი იქ აღარ არიან და აკადემიის აღდგენის იმედიც აღარავის აქვს.

ენის გადარჩენის იმედი ჩრდილოეთ ერაყზე გადავიდა, მაგრამ ახლა ერაყის ქრისტიანი მოსახლეობაც თავისუფალი ვარდნის მდგომარეობაშია — 2003 წელს ქვეყანაში მცხოვრები მილიონ-ნახევარი ქრისტიანიდან აგვისტომდე 450 ათასამდე იყო დარჩენილი. აგვისტოში კი „ისლამურმა სახელმწიფომ" აიღო კარაკოში, ქალაქი, რომელშიც ყველაზე ბევრი — 50 ათასი ქრისტიანი ცხოვრობდა; ქრისტიანებმა იქაურობა ერთი ღამის განმავლობაში დატოვეს და მათი დიდი ნაწილი ქურთისტანის დედაქალაქ ერბილისკენ გაემართა. **მიუხედავად ბოლო დღეებში განხორციელებული ამერიკული ავიადარტყმებისა, „ისლამური სახელმწიფო" ამ დრომდე ინარჩუნებს არამეული ენის არეალის ცენტრს, რომელშიც მისი ძირძველი მოსახლეობა აღარ დარჩა.** ლინგვისტმა ჯეფრი ხანმა ჩაატარა ახალარამეული ენის კვლევა კარაკოშში, ასევე ანალოგიური კვლევები მის მეზობელ ქალაქებსა და სოფლებში, მაგრამ ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ აღნიშნული მასალები მკვდარი ენისთვის დადგმულ ძეგლად თუ გამოდგება და არა ცოცხლის აღსაწერად.

ერაყელი ქრისტიანები ერბილეში რომც დარჩნენ, არამეული ენის გადარჩენას, უპირველეს ყოვლისა, ამ ენაზე მოსაუბრეთა დაფანტულობა და ასიმილაცია შეუქმნის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. ენის გაქრობას ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უფროსი თაობის გარდაცვალებაც, რადგან ახალგაზრდები ახალ გარემოში სულ უფრო იშვიათად საუბრობენ მშობლიურ ენაზე.

**თუ მდგომარეობა სწრაფად არ შეიცვლება და არამეულ ენაზე მოლაპარაკე ქრისტიანები ერაყში მშობლიურ ქალაქს არ დაუბრუნდებიან, „ისლამური სახელმწიფოს" თარეში ერაყში, შესაძლოა, უკანასკნელ თავად ჩაიწეროს არამეული ენის სამიათასწლოვან ისტორიაში.** მსოფლიოში წარმოუდგენელი სისწრაფით იკარგება ენები და დიალექტები. საშუალოდ ყოველ სამ თვეში კვდება ამა თუ იმ ენის უკანასკნელი მატარებელი, მაგრამ არამეულ ენასთან დაკავშირებით რაღაც უჩვეულო და საშინელი ხდება: რეალური დროის რეჟიმში მიზანმიმართულად ნადგურდება იესო ქრისტეს ენა და მასთან ერთად კულტურა...

**Foreign Policy**

მოკლედ



## კანარის კუნძულები ესპანეთს ურთიერთობის გაწყვეტით ემუქრება

**კანარის კუნძულების მთავრობის თავმჯდომარის — პაულინიო რივეროს განცხადებით, ესპანეთთან ურთიერთობა გაწყდება, თუკი ოფიციალური მადრიდი არ შეწყვეტს ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოებს ატლანტიკის ოკეანეში.**

რივერომ თხოვნით მიმართა ესპანეთის მეფე ფელიპესა და პრემიერმინისტრ მარიანო რახოის, „გადადგან ქმედითი ნაბიჯები კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომელიც, კანარის კუნძულების მთავრობის თავმჯდომარის თქმით, ყველაზე სერიოზულია ესპანეთის მიერ კუნძულების დაპყრობიდან 500 წლის განმავლობაში".

13 აგვისტოს ესპანეთის ხელისუფლებამ კომპანია Repsol-ს კანარის კუნძულებთან ახლოს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ჩატარების უფლება მისცა. ამ სამუშაოს წინააღმდეგ ილაშქრებენ ადგილობრივი მცხოვრებლები და ეკოლოგიის დამცველი ორგანიზაციები.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







# ფერგიუსონის სინდრომი

**სენტ-ლუისის შემოგარენში მდებარე პატარა ქალაქ ფერგიუსონში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირება რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა. მღელვარება განაპირობა უიარაღო შავკანიანი მოზარდის — მაიკლ ბრაუნის გარდაცვალებამ, თუმცა ძალადობის ამგვარი ამოფრქვევა, კარგა ხანია, მოსალოდნელი იყო. ბიჭის გარდაცვალების გარემოებები, ასევე პოლიციელების მიერ ბოლო წლებში მოკლული კიდევ რამდენიმე შეუიარაღებელი შავკანიანი მამაკაცის გარდაცვალების ფაქტები ცალსახად იმაზე მიანიშნებს, რომ საზოგადოების მხრიდან რეაგირება გარდაუვალი იყო. ამერიკა განაგრძობს შავკანიანი ღატაკების იზოლირებას ეკონომიკურად დეპრესიულ რაიონებში, სადაც პოლიციის მოქმედების დაუნდობელი ტაქტიკა მხოლოდ ამძაფრებს მოსახლეობის მხრიდან უნდობლობასა და მტრულ დამოკიდებულებას.**




ფერგიუსონი უკანასკნელი წლების მანძილზე „თეთრკანიანების გაქცევას“ განიცდის, ეს კი სტრუქტურული სიღატაკის ანკლავებსა და შავკანიანი მოქალაქეების ღრმა იზოლაციას განაპირობებს. ერთ დროს, ძირითადად, თეთრკანიანთა ქალაქის მოსახლეობის 65% ახლა შავკანიანია. აღწერის ბიუროს მონაცემების თანახმად, ფერგიუსონის მკვიდრთა 22% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ეს ორჯერ აღემატება 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ამის გათვალისწინებით, პოლიციის საქციელში უჩვეულო არაფერია. ხელისუფლებას ხშირად აუცილებლობად მიაჩნია წესრიგის კონტროლის გამკაცრება ქალაქებში, სადაც შავკანიანებისა და ღატაკების რაოდენობა იზრდება. ამგვარი ზედამხედველობა, რომელიც პერიოდულად შევიწროებაში გადაიზრდება ხოლმე, „ჩამტვრეული ფანჯრების თეორიას“ უკავშირდება.

ამ თეორიის თანახმად, მსგავსი მეთოდები აუცილებელია დამნაშავეობასთან გასამკლავებლად. ეს თეორია თავის დროზე ჯეიმს უილსონმა წამოაყენა. ის ირწმუნება, რომ უწესრიგობა კრიმინალს აჩენს. უილსონის აზრით, ქალაქში ნაგვის გატანა და ჩამტვრეული ფანჯრების შეცვლა, წვრილმანი დანაშაულისთვის სამართალდამრღვევების დაუყოვნებლივ დასჯა ამცირებს დანაშაულთა რაოდენობას, ანუ წვრილმანებზე ზრუნვა თავიდან აგაცილებს დიდი პრობლემების გარკვეულ ნაწილს.

ამ თეორიამ მშვენივრად გაიდგა ფესვები და ხელისუფლება მას მთელი ქვეყნის მასშტაბით იყენებს. მაგალითად, მერმა რუდოლფ ჯულიანიმ და პოლიციის კომისარმა ბილ ბრატონმა ის ნიუ იორკში გამოიყენეს და დამნაშავეობა, როგორც ჩანს, მართლაც შეამცირეს. მაგრამ „დაკავებისა და გაჩხრეკის“ თეორია, რომელმაც პოლიციელებს საშუალება მისცა, საკუთარი სურვილისა და შეხედულებისამებრ გაჩხრიკონ მოქალაქეები, რომელთაც კანონი არ დაურღვევიათ და მათ ჯიბეში ნარკოტიკები, იარაღი ან რაიმე სხვა აკრძალული ნივთი ეძებონ, „ფერად“ მოსახლეობასა და პოლიციას შორის დაძაბულობის ზრდის საბაბად იქცა და განაპირობა უმცირესობების უამრავი წარმომადგენლის დაპატიმრება.

პრაქტიკაში „ჩამტვრეული ფანჯრების თეორიის“ გამოყენება, როგორც წესი, ახალგაზრდა შავკანიანი მამაკაცების დევნას გულისხმობს. ამრიგად, ის იმავე დოზით თესავს მტრულ განწყობას, რა დოზითაც აღკვეთს დამნაშავეობას.



ნიუ იორკის პოლიცია იყენებს „დაკავებისა და ჩხრეკის“ სადავო პრაქტიკას ძირითადად სწორედ შავკანიანი და ლათინოამერიკელი ახალგაზრდების მიმართ. კონსტიტუციური უფლებების ცენტრის უკანასკნელი მონაცემების თანახმად, ამ პროგრამის ფარგლებში შავკანიან და ლათინოამერიკელ მოქალაქეებს გაცილებით უფრო ხშირად აჩერებენ, ვიდრე თეთრკანიანებს; ამასთან, იგივე ვრცელდება შერეულ ან უმეტესად თეთრკანიან მოსახლეობაზეც. გარდა ამისა, როგორც ანგარიშში ირწმუნებიან, შავკანიან და ლათინოამერიკელ მოქალაქეებს გაცილებით უფრო მკაცრად ექცევიან, ვიდრე თეთრკანიანებს — უფრო ხშირად აპატიმრებენ, ნაცვლად იმისა, რომ, უბრალოდ, უწყება გადასცენ და პოლიციაც უფრო ხშირად იყენებს ძალას მათ წინააღმდეგ.

ამგვარი ქცევის საფუძველში ჩადებული რასობრივი ცრურწმენები პოლიციის მუშაობის სხვა სფეროებზეც ვრცელდება. შედეგად, შავკანიან მოსახლეობაში პოლიცია ასოცირდება დამცირებასა და უსამართლობასთან, ქალაქების „შავ“ რაიონებში კი მას, უბრალოდ, არ ენდობიან.

**ღატაკ შავკანიანთა რაიონებში გაძლიერებული პოლიციური კონტროლი მოსახლეობაში ნეგატიურ ასოციაციას ადრეული ასაკიდანვე აჩენს. ჯერ კიდევ ბავშვობაში ადამიანები ხედავენ, რომ მათი სკოლების დერეფნებში პოლიციელები ისე დააბიჯებენ, როგორც ციხეში. თუ შავკანიანი მოსწავლე ჩხუბში მონაწილეობს ან გაკვეთილზე ცუდად იქცევა, მისთვის ეს ძალიან ხშირად მთავრდება ხელბორკილებითა და პოლიციაში აღრიცხვაზე აყვანით. შავკანიან მამაკაცებს გამოცდილება ასწავლის, რომ პოლიცია არსებობს არა მათ დასაცავად, არამედ მათ დასამცირებლად და დამნაშავეებად გამოსაცხადებლად.** მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს, ისე იცხოვროს ახალგაზრდობის წლებში, რომ პოლიციისგან შევიწროების მსხვერპლი არ გახდეს, მაგრამ, რაც დრო გადის, ამგვარი შევიწროების ისტორიები მატულობს.

**პოლიციის აგრესიული ტაქტიკა შავკანიანებს საეჭვო ობიექტებად და განსაკუთრებული ყურადღების საგნებად აქცევს, რაც დევნას განაპირობებს, იმისდა მიუხედავად, რეალურ დანაშაულებებზეა საუბარი თუ გამოგონილსა და სავარაუდოზე.** შავკანიან მამაკაცებს ხელისუფლება დამნაშავეებად აღიქვამს მაშინაც კი, როდესაც ისინი, უბრალოდ, მაღაზიიდან შინ ბრუნდებიან და ყოველი ამგვარი შემთხვევისას სამართალდამცავების მიმართ წყენა, ცხადია, მატულობს. ადამიანები გამოიმუშავებენ თავდაცვით მექანიზმებს და უფრო ხისტები ხდებიან საკუთარი სიამაყისა და პატივისცემის უფლების დასაცავად. შედეგად ორმხრივი მტრობა მატულობს და წვრილი სამართალდარღვევების გამო გაჩენილი კონფლიქტები ტრაგედიებად იქცევა.

ეს ისტორიაში პირველი პერიოდი არ არის, როდესაც პოლიცია განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა შავკანიანთა რაიონებში, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ახლანდელი ახალგაზრდობა მზად არაა, საკუთარ თავზე ითმინოს ამგვარი ექსპერიმენტები. **თავის ბებია-ბაბუებთან შედარებით, 2000-იანი წლების თაობა რასისაგან დამოუკიდებელია — ნაკლებადაა მიდრეკილი, ბრმად სცეს პატივი ძალაუფლებას და ენდოს მას.**

2011 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ თაობის რესპონდენტების 70%-ის აზრით, „უფროსებთან წარმატებით შეიძლება მოლაპარაკებების გამართვა ნებისმიერ საკითხზე“. კიდევ ერთმა გამოკითხვამ კი ცხადყო, რომ ეს თაობა თავს იერარქიული ინსტიტუტებიდან დაშორებულად მიიჩნევს და საერთო ჯამში ადამიანებს არ ენდობა. შესაბამისად, ხელისუფლების მას არ ეშინია.

ყველაფერს ემატება ისიც, რომ შავკანიანი მამაკაცების მიმართ პოლიციის სისასტიკის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება ინტერნეტით და მოვლენები, რომლებიც ადგილებზე, შესაძლოა, ცალკეულ ინციდენტებად გამოიყურებოდეს, ადვილად გარდაიქმნება ნაციონალური მასშტაბის პრობლემებად.

ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა „დაკავება და ჩხრეკა“, დაძაბულობას ამწვავებს შავკანიან მოსახლეობასა და პოლიციას შორის. ამასთან, პოლიცია სულ უფრო ძლიერად მილიტარიზდება და სულ უფრო ხშირად იყენებს საბრძოლო იარაღს მოქალაქეების წინააღმდეგ — განსაკუთრებით მათ წინააღმდეგ, ვისაც დამნაშავეებად მიიჩნევს. ფაქტობრივად, **პოლიცია ახდენს შავკანიანთა ყოველდღიური ცხოვრების კრიმინალიზებას. ავტორიტარული კონტროლისა და ნორმად ქცეული პოლიციური დევნის პირობებში ახალგაზრდებს აუცილებლად უნდა გასჩენოდათ შეგრძნება, რომ ეს უკვე მეტისმეტია და ფერგიუსონის მსგავსი არეულობები გარდაუვალი იყო. პოლიციასა და მის მიერ დასაცავ საზოგადოებას შორის ურთიერთობა ცალსახად გადახედვას საჭიროებს...**

**ელაიჯა ანდერსონი,**
**იელის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი, საქალაქო ეთნოგრაფიის წამყვანი სპეციალისტი**

The Washington Post

## მოკლედ

### ერაყში 80 იეზიდი მამაკაცი მოკლეს

**ერაყის ჩრდილოეთით, სოფელ კოჩოში დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა 80 იეზიდი მამაკაცი მოკლეს, ათობით ქალი და ბავშვი კი გაიტაცეს. ბოევიკები იეზიდებს აიძულებდნენ, უარი ეთქვათ საკუთარ რელიგიაზე და ისლამი მიეღოთ.** რამდენიმე დღის წინათ იმავე დაჯგუფების ბოევიკებმა 500-მდე ადამიანი მოკლეს, რადგან მათ უარი თქვეს ისლამის მიღებაზე. ზოგიერთის ცნობით, ქალები და ბავშვები ცოცხლად დამარხეს. ერაყის ადამიანის უფლებათა დაცვის მინისტრის — მუჰამედ შია ალ-სუდანის განცხადებით, ასევე ტყვედ აიყვანეს დაახლოებით 300 ქალი, რომელთაც მონებად იყენებენ.



### ერაყში ჰუმანიტარული კრიზისია

**გაერომ ერაყში ჰუმანიტარული კრიზისის ყველაზე მაღალი დონე გამოაცხადა.** ქურთების ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ლტოლვილების რაოდენობამ 150 ათასს მიაღწია და აღნიშნავენ, რომ სიტუაცია მთა სინჯართან მდებარე რაიონში კრიტიკულია. გაეროს მონაცემებით, ერაყის შიგნით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 1,2 მილიონს აღწევს. ათობით ადამიანი, ძირითადად კი უმცირესობების წარმომადგენლები — იეზიდები და ქრისტიანები მთა სინჯართან მდებარე რაიონში ალყაში იმყოფებიან.

**პაკისტანს ბირთვული იარაღის შექმნის უზარმაზარი პროგრამა აქვს და ჯიჰადისტური ამბოხის ზღვარზე დგას. ჯიჰადისტებმა კი სამიზნედ უკვე აირჩიეს სამხედრო ბაზები, რომლებშიც, შესაძლოა, ბირთვული იარაღი ინახებოდეს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეუწყნარებლობა შეუწყნარებლობის მიმართ




**პოლიციის შესახებ ფილმებში დაღლილი სერჟანტი ხშირად ასწავლის ახალბედა პატრულს, თუ ვის უნდა მიაქციოს ყურადღება, რაზე დახუჭოს თვალი და რა აღკვეთოს. მსგავსი რამ ახლა ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში რომ ტარდებოდეს, პოლიციას მარტივი ამოცანა ექნებოდა: იპოვოს ისინი, ვინც ჯიჰადისტური დროშა ააფრიალეს მუნიციპალურ საცხოვრებელ კომპლექსზე თაუერ-ხამლეტსში და კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯოს.**

შესაძლოა, ეს ხუმრობა იყო, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, კარგად მოიფიქრეს — პოპლარ-ჰაის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის — „უილ-კრუკსის“ თავზე აღმართული დროშის გარშემო პალესტინური დროშები და ლოზუნგები ფრიალებდა.

შესაძლოა, ეს პროტესტის გამოხატულება იყო. სოლიდარობის ჟესტი მათ მიმართ, ვინც ახლა ღაზაში იტანჯებიან. ნებისმიერი, ვინც ახალ ამბებს ადევნებს თვალს, გულგრილი ვერ რჩება იმ ადამიანების მიმართ, ვინც საშინელი სისხლისმღვრელი კონფლიქტის მახეში გაება.

პროტესტის უფლება მუდამ იმსახურებს დაცვას, ეს თავისუფალი საზოგადოების ერთ-ერთი ქვაკუთხედია, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია არა მხოლოდ მასზე, არამედ საზოგადოებრივ სივრცეზეც.

ამ დროშის აფრიალების აზრი თავად საცხოვრებელ კომპლექსზე რაღაცის თქმის სურვილსაც შეიცავს. ვინც ეს გააკეთა, ამ გზით ტერიტორია მონიშნა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როგორც კი ჟურნალისტები მივიდნენ დროშის გადასაღებად, მათ უმალ დაესხა თავს ოცამდე ახალგაზრდა, რომლებიც დაუყოვნებლივ წასვლას მოითხოვდნენ რეპორტიორებისგან. მანამდე დროშის გადასაღებად მისულ მამაკაცს ჰკითხეს, ებრაელი ხომ არ იყო. „რა მნიშვნელობა აქვს?“ — იკითხა მამაკაცმა. უპასუხეს, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ხულიგნურ გამოხდომებს რომ თავი დავანებოთ, საუბარია თვითნებულ ქცევაზე, რომელიც დამნაშავეებს არ უნდა შერჩეთ. საზოგადოებრივი სივრცე იმიტომაც არის საზოგადოებრივი, რომ ყველას ეკუთვნოდეს. საცხოვრებელი კომპლექსი არ ეკუთვნის აგრესიულ ახალგაზრდებს, რომლებიც, შესაძლოა, ცხოვრობენ ან არ ცხოვრობენ ამ კომპლექსში. ეს არის მუნიციპალური საცხოვრებელი საზოგადოებრივ მიწაზე. მათ შეუძლიათ, იცხოვრონ იქ ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, მაგრამ მხოლოდ მანამდე, ვიდრე კანონს ემორჩილებიან.

რამდენიც უნდა ვიდავოთ ბრიტანულ ღირებულებებზე, მათ რიცხვში უდავოდ შედის შემწყნარებლობა. თანამედროვე ბრიტანეთში ეს აუცილებელია. მის ქალაქებში ცხოვრობენ სხვადასხვა კონტინენტიდან და ქალაქიდან ჩასული ადამიანები. უკანასკნელი აღწერის თანახმად, ლონდონის თითქმის ყველა რაიონში ასამდე ენაზე საუბრობენ. იქ წარმოდგენილია სხვადასხვა ხალხი, სხვადასხვა რელიგიისა და სექსუალური ორიენტაციის ადამიანები. ეს კი კონფლიქტებისთვის უზარმაზარი პოტენციალია. ამ კონფლიქტების სიმცირე 21-ე საუკუნის ბრიტანეთის ერთ-ერთი უპირატესობაა.

როგორც წესი, რასობრივი, რელიგიური თუ კულტურული ბალკანიზაციის საფრთხე ბრიტანელებს სერიოზულად აშფოთებთ.

ადამიანები, რომლებიც საცხოვრებელ კომპლექსს საკუთარი იდეოლოგიის გამოსახატ ტერიტორიად მიიჩნევენ, სწორედ ბალკანიზაციისკენ მიისწრაფვიან. ისინი არც პირველები არიან და არც უკანასკნელნი. სულ ცოტა ხნის წინათ იყო „გეებისაგან თავისუფალი ზონის“ ისტორია; ზოგიერთები ბედავენ, განდევნონ ალკოჰოლის მომხმარებელნი, ასევე, მათი აზრით შეუფერებლად ჩაცმული ქალები და ა. შ. ბრიტანელები არ აპირებენ, ვინმეს დაეჭვების საფუძველი მისცენ, რომ შეუწყნარებელნი იქნებიან შეუწყნარებლობის მიმართ.

**The Guardian**



# მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი ახალი ბირთვული იარაღი

**არავინ უარყოფს საფრთხეს, რომელიც ბირთვულ იარაღს უკავშირდება, მაგრამ ეს საფრთხე გაცილებით მეტია საბრძოლო მოქმედებების ზონაში, სადაც ბირთვული მასალები და იარაღი, შესაძლოა, მოიპარონ, ხოლო რაკეტები ბომბებისა და რაკეტების სამიზნედ იქცეს. ეს რისკები ყველაზე თვალსაჩინოა ქაოსში ჩაფლულ ახლო აღმოსავლეთში.**



ბოლო დროს მომხდარი ორი ამბავი ცხადყოფს, თუ რამდენად დიდია ფსონი. 9 ივლისს ბოევიკების ჯგუფმა, რომელიც ახლა „ისლამური სახელმწიფოს“ სახელითაა ცნობილი, ერაყში, მოსულას უნივერსიტეტში, ურანის 40-კილოგრამამდე შენაერთები ჩაიგდო ხელთ. ეს არ იყო იარაღის ურანი. საერთაშორისო ინსპექტორებმა 1991 წელს სპარსეთის ყურეში გაჩაღებული ომის შემდეგ ყველა სახიფათო მასალა გაიტანეს ქვეყნიდან, მაგრამ **როგორი იქნებოდა საერთაშორისო რეაქცია (და იქნებოდა თუ არა საერთოდ), ბოევიკების ხელში გამდიდრებული ურანი რომ მოხვედრილიყო?**

იმავე დღეს ჰამასმა ღაზას სექტორში ისრაელის რეაქტორ დიმონას მიმართულებით ირანში შექმნილი სამი მძლავრი რაკეტა გაუშვა. საბედნიეროდ, ორი რაკეტა მიზანს ასცდა, მესამის შეჩერება კი ისრაელმა შეძლო. მიუხედავად ამისა, ამან განაპირობა საომარი მოქმედებების სერიოზული ესკალაცია და ეს მნიშვნელოვანი შეხსენებაა იმისა, რომ საომარი მოქმედებების ზონაში განლაგებული ბირთვული რეაქტორები სათანადოდ არაა დაცული.

სინამდვილეში ჰამასს უკვე ჰქონდა ანალოგიური მცდელობა, 2012 წელს თავს დასხმოდა დიმონეში მდებარე კომპლექსს, რათა რადიოლოგიური ზიანი მიეყენებინა ისრაელის მოსახლეობისთვის.

შესაძლოა, ეს შემთხვევები ფაქტების გარკვეულწილად დამახინჯებაა. ბოლოსდაბოლოს ამ დრომდე ისტორიაში მხოლოდ ერთადერთი კონფლიქტია ცნობილი, რომლის დროსაც ხელისუფლებამ კონტროლი დაკარგა სახიფათო ბირთვულ მასალებზე — აფხაზეთის ომის დროს დაუდგენელმა პირებმა გამდიდრებული ურანის მცირე რაოდენობა გაიტაცეს კვლევითი ინსტიტუტიდან.

ამის ანალოგიურად, მიუხედავად ბირთვული რეაქტორების მშენებლობების დროს მათზე შეტევის მრავალი მცდელობისა, საბრძოლო მოქმედებების ზონაში მოქმედ სადგურს მხოლოდ ერთხელ დაემუქრა საფრთხე ყოფილ იუგოსლავიაში, როდესაც სერბი ნაციონალისტები სლოვენიის ატომურ ელექტროსადგურზე თავდასხმას გეგმავდნენ და მისკენ საბრძოლო თვითმფრინავები გაგზავნეს. სადგურის ოპერატორებმა დროებით გათიშეს რეაქტორები, რათა მინიმუმამდე შეემცირებინათ რადიაციული გამოფრქვევის რისკი, საბედნიეროდ, მუქარა მუქარად დარჩა.

**ყოველთვის, როდესაც ბირთვული აქტივები ყველაზე დიდ საფრთხეში იყო — საბჭოთა კავშირის დაშლისას, ჩინეთის კულტურული რევოლუციისას და ალჟირის პუტჩისას, მათგან ბირთვული მასალების გაჟონვა არ მომხდარა. დღესაც კი, მიუხედავად უკრაინაში სამოქალაქო კონფლიქტის ესკალაციისა, ქვეყნის 15 ატომური ენერგობლოკი ხელუხლებელია.**

შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს სასიკეთო ტენდენცია, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის უკანასკნელი მოვლენები ადასტურებს, რომ სხვა არასტაბილურ ქვეყნებში — პაკისტანში, ჩრდილოეთ კორეასა და ირანში საფრთხე ძალზე დიდია.

პაკისტანს ბირთვული იარაღის შექმნის უზარმაზარი პროგრამა აქვს და ჯიჰადისტური ამბოხის ზღვარზე დგას. ჯიჰადისტებმა კი სამიზნედ უკვე აირჩიეს სამხედრო ბაზები, რომლებშიც, შესაძლოა, ბირთვული იარაღი ინახებოდეს. მართალია, პაკისტანში ბირთვული საწვავის გაჟონვა ჯერ არ მომხდარა და ხელისუფლება ირწმუნება, რომ უსაფრთხოება უმაღლეს დონეზეა, მაგრამ არასტაბილურობის გახშირებული და დამძიმებული შემთხვევები სერიოზულ კითხვებს აჩენს.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული არსენალი მნიშვნელოვნად ნაკლებია, მაგრამ რეჟიმის მდგრადობასთან დაკავშირებული სერიოზული ეჭვები მასაც მნიშვნელოვანი მღელვარების საბაბად აქცევს. რეჟიმის კრახის შემთხვევაში, რაც მოსალოდნელია, ძალზე ძნელი იქნება მისი იარაღის გამოყენების თავიდან აცილება.

ირანი შედარებით სტაბილურად გამოიყურება, უკიდურეს შემთხვევაში, მეზობლებთან შედარებით. მაგრამ ის გაურკვეველი პოლიტიკური მომავლის წინაშე დგას. თუ ხელისუფლებისთვის ბრძოლა გაჩაღდება, ბუშერაში მდებარე დიდი რეაქტორი, შესაძლოა, საფრთხეში აღმოჩნდეს.

**ამგვარი რისკების შესამცირებლად საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია, ტრადიციული პოლიტიკა შეინარჩუნოს და წყნარად იჯდეს იმის იმედად, რომ ხელისუფლებები საკუთარ ბირთვულ ინფრასტრუქტურაზე კონტროლს არ დაკარგავენ. მაგრამ, როგორც მედია იუწყება, აშშ-მა გადაწყვიტა, სპეცდანიშნულების ძალები გამოიყენოს პაკისტანის ბირთვული არსენალის გასაუვნებელყოფად, თუ ხელისუფლება მასზე კონტროლს დაკარგავს. ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის დამხობის შემთხვევაშიც ანალოგიური ქმედებებია მოსალოდნელი.**

ამგვარი გეგმები საიმედოდ ვერ ჩაითვლება, ვინაიდან, სხვა თუ არაფერი, ბირთვული საცავები და რეაქტორები დამალული და დაცულია. გარდა ამისა, ახალ საომარ ავანტიურაში ჩართვისთვის ამერიკის საზოგადოების მზაობა, მსუბუქად რომ ითქვას, საეჭვოა.

**Project Syndicate**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ენის, მამულისა და სარწმუნოების დასაცავად, საქართველოს გასაერთიანებლად და გასაძლიერებლად, „აბრეშუმის გზის“ აღსადგენად, ანუ ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნით სატრანსპორტო ტვირთბრუნვის მომსახურების უზრუნველსაყოფად ნავსადგური უნდა აშენდეს არჩილ კიკნაძისა და ჯუანშერ მხეიძის წინადადების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მდინარე ენგურის შესართავთან კალაპოტის გაფართოებას 200 მეტრამდე, კალაპოტის სიღრმე უნდა იყოს 18-22 მეტრი, სიგრძე — 1კმ და სოფელ განმუხურის სანაპიროსთან გაკეთდება ნავსადგურის აკვატორია შესაბამისი სიღრმით.**

# მეორე ღია წერილი საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს!

**ბატონო პრემიერმინისტრო!**

**სამეგრელოს რეგიონის უხუცესთა კავშირი „სხუნუ“, სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და საზოგადოების წარმომადგენლები მადლიერია თქვენი გადაწყვეტილებით ანაკლიის ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელსაც სიხარულით შეხვდა არა მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის, არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობა.**

ანაკლია-განმუხურის ღრმაწყლიანი სახმელეთო ნავსადგურის აშენების საკითხი საფუძვლიანად შეისწავლა აკადემიკოსმა, ბატონმა არჩილ კიკნაძემ გასული საუკუნის მეორე ნახევარში. ამჟამად კი საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, ბატონ ჯუანშერ მხეიძესთან ერთად წარმოადგინა ინჟინრული წინადადება...

არჩილ კიკნაძისა და ჯუანშერ მხეიძის წინადადების საფუძველზე ჯერ კიდევ 1999 წლის 17 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა №28 განკარგულება ანაკლიაში ღრმაწყლიანი სახმელეთო ნავსადგურის მშენებლობის თაობაზე და შექმნა სამთავრობო კომისია სახელმწიფო მინისტრის, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, რომელიც სამთავრობო კომისიის წევრებთან ერთად შეხვდა ანაკლია-განმუხურის მოსახლეობას, შემდგომ კი ზუგდიდში ჩაატარა პირველი სხდომა. ამ სხდომაზე, სხვებთან ერთად, სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს ბიზნესისა და საინვესტიციო პოლიტიკის სამმართველოს იმდროინდელი უფროსი, ბატონი ჯუანშერ მხეიძე; რეგიონის გუბერნატორი, ბატონი ბონდო ჯიქია და საზოგადოების სახელით, ბატონი ოთარ ფაცაცია.

2000 წლის 10 იანვარს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ვ. ლორთქიფანიძემ, პრეზიდენტის ზემოხსენებული №28 განკარგულების მე-5 მუხლის შესაბამისად, მიიღო №1/10 გადაწყვეტილება „ანაკლიის ღრმაწყლიანი ნავსადგურის კომპლექსის მშენებლობისთვის შერჩეული მიწის ფართობის გამოყოფის შესახებ“.

საქართველოს პრეზიდენტმა 2000 წლის 28 მარტს გამოსცა №260 განკარგულება ანაკლიის ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობაზე ტენდერის გამართვის თაობაზე, რომლის მე-5 მუხლი გვამცნობს: „ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სანავსადგურო პოტენციალის განვითარების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 იანვრის №28 განკარგულება“, ანუ შეგნებულად დაიხურა ანაკლიის ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობა, ტენდერის გამოცხადება კი იყო ფიქტიური, რითაც ედუარდ შევარდნაძემ შეწყვიტა ანაკლიის ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობა, რომელიც განაპირობა მისმა დაინტერესებამ სხვა საკითხით. ედუარდ შევარდნაძემ 1999 წლის 8 სექტემბერს გამოსცა №1081 განკარგულება ხობის რაიონის სოფელ ყულევში, მდინარე ხობის შესართავთან ნავთობპროდუქტების საზღვაო ტერმინალის მშენებლობის შესახებ. როგორც ამბობენ, ეს ტერმინალი კორუფციონერთა ხელშია, რასაც არაპირდაპირ ადასტურებს შევარდნაძის №1081 განკარგულების მე-5 მუხლი: „ნავთობპროდუქტების ტერმინალის დაპროექტებისა და მშენებლობის ძირითადი საკითხები გადაწყდეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით“.

**ცნობისათვის:** ყულევის ტერმინალიდან აირისა და სითხის გაჟონვის შედეგად ახლომახლო მცხოვრები ხალხი დაავადებულია მძიმე სნეულებებით.

ენის, მამულისა და სარწმუნოების დასაცავად, საქართველოს გასაერთიანებლად და გასაძლიერებლად, „აბრეშუმის გზის“ აღსადგენად, ანუ ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნით სატრანსპორტო ტვირთბრუნვის მომსახურების უზრუნველსაყოფად ნავსადგური უნდა აშენდეს არჩილ კიკნაძისა და ჯუანშერ მხეიძის წინადადების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მდინარე ენგურის შესართავთან კალაპოტის გაფართოებას 200 მეტრამდე, კალაპოტის სიღრმე უნდა იყოს 18-22 მეტრი, სიგრძე — 1კმ და სოფელ განმუხურის სანაპიროსათან გაკეთდება ნავსადგურის აკვატორია შესაბამისი სიღრმით.

ამ პროექტის სისწორესა და აშენების აუცილებლობას ადასტურებენ: მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, ნაპირთა გეომორფოლოგიის საერთაშორისო კომისიის წევრი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის სანაპირო ზოლის ლაბორატორიის გამგე, პროფესორი ვსევოლოდ ზენკევიჩი; ქართველი მეცნიერები, რომლებსაც აქვთ მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნა. ამ პროექტს მხარი დაუჭირა 2000 წლის 4-5 თებერვალს მოსკოვის ოკეანოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულმა XX საერთაშორისო კონფერენციამ, რომლის თემა იყო „ადამიანი და ოკეანის სანაპირო ზონა XI საუკუნეში“.

**ჩვენ დავადგინეთ, რომ „ენგურჰესი“ სრულყოფილად არ არის აშენებული. მას არ აქვს პროექტით გათვალისწინებული სპეციალური არხი, რომელიც უბედურების შემთხვევაში (მიწისძვრა, ბუნებრივი კატაკლიზმები, დივერსიული აქტი) უზრუნველყოფს მოვარდნილი ღვარცოფის შავ ზღვაში უსაფრთხოდ ჩადინებას. ამიტომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იმყოფება სიცოცხლისთვის მომეტებული საფრთხის ქვეშ.**



აღნიშნული საკითხი დავაყენეთ შესაბამის სამინისტროებში, მაგრამ ან დუმილია, ან არადამაკმაყოფილებელი, აბსურდული პასუხი.

ენგურის კალაპოტის ამოწმენდა ნიშნავს „ენგურჰესის“ თაღოვანი კაშხლიდან მოსალოდნელი ღვარცოფის სანრეტი არხის აშენებას. გარდა ამისა, ეს საკითხი დაკავშირებულია ანაკლია-განმუხურის ღრმაწყლიანი სახმელეთო ნავსადგურის მშენებლობასთან, რადგანაც ენგურის შესართავიდან ნავსადგურის აკვატორიის ჩათვლით მოხდება მდინარის გაფართოება-ამოწმენდა (ცალკე იქნება 4- კილომეტრიანი არხი ნავსადგურის დაცვის მიზნით). ენგურის შესართავიდან ზღვის სიღრმეში გაკეთდება მოლი, რომლის ორივე მხარეს სპეციალური მანქანა მდინარიდან ამოღებულ მასას გადაყრის. მეცნიერთა დასკვნით, მდინარე კოდორის მიერ ზღვაში შეტანილი შლამი და ინერტული მასალა განაწილდება ნაპირზე, შედეგად ზღვა შეწყვეტს სანაპირო ზოლის „წართმევას“ და ხმელეთზე შემოჭრას.

**ბატონო ირაკლი!**

ჩვენ გვჯერა თქვენი პატრიოტობისა და პრინციპულობის, მაგრამ საზოგადოების ნაწილს ეეჭვება ბევრი რამ; მაგალითად, იმიტომ, რომ **ჩვენ მიერ წამოყენებულ საკითხებზე პასუხი არ მიგვიღია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ამახინჯებს სიმართლეს, მალავს მასალებს და ა.შ. ვფიქრობთ, რომ თქვენ საეჭვო მიზეზების გამო, არ გაწვდიან სრულ ინფორმაციას.**

კონკრეტულად:

**1.** ბატონმა ჯუანშერ მხეიძემ 2013 წელს ჰონკონგიდან მოიწვია ინვესტორი. ჩამოვიდა ორი წარმომადგენელი, რომლებმაც გამოთქვეს ღრმაწყლიანი სახმელეთო ნავსადგურის მშენებლობის სურვილი; თქვეს, რომ პარალელურად ააშენებდნენ აეროპორტს და ინვესტიციებს ჩადებდნენ მეცხოველეობის 4 კომპლექსის, რძის ფხვნილის დამამუშავებელი კომბინატის, ტორფისა და წვენების ქარხნის მშენებლობაში, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრომ შეგნებულად ჩაშალა შეთანხმება.

შემდგომში ბატონმა ჯუანშერ მხეიძემ ნავსადგურის საკითხზე ამავე სამინისტროს ჩააბარა მიმართვა და მასალები, რომლებიც დიდი ხნის შემდეგ გადაუგზავნეს საპარტნიორო ფონდს, იქიდან კი ისევ დიდი ხნის შემდეგ მასალები დაუბრუნეს სამინისტროს. **ბატონ ჟუანშერ მხეიძეს დღესაც არ ეუბნებიან გარკვევით, სად არის ეს მასალები და რა ბედი ეწია მათ;**

**2.** შპს „ოლტა-ჯი“-მ თქვენ მოგმართათ ოფიციალური მიმართვით ნავსადგურისა და რიგი ინფრასტრუქტურის დაფინანსების საკითხზე. მიმართვა საბუთების (27 ფურცელზე) დანართით ჩააბარეს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში ამა წლის 2 მაისს (რეგისტრაციის №14655). **გენერალურ დირექტორს, ბატონ ტარიელ ბუზალაძეს პასუხი დღემდე არ მიუღია;**

**3.** სამეგრელოს რეგიონის უხუცესთა კავშირ „სხუნუ“-ს გამგეობის წევრთა ხელმოწერით გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 23-ე ნომერში (25 ივნისი — 1 ივლისი, 2014 წ.) გამოქვეყნდა „ღია წერილი“ თქვენს სახელზე — ღრმაწყლიანი სახმელეთო ნავსადგურისა და „ენგურჰესის“ თაღოვანი კაშხლიდან ზღვამდე ღვარცოფის სანრეტი არხის მშენებლობის საკითხებზე. **ეს წერილი მთავრობის კანცელარიაში ჩაბარებული იქნა მიმდინარე წლის 26 ივნისს, რეგისტრაციის ნომერი 21479.**

არის სხვა შემთხვევებიც, მაგრამ ესეც საკმარისია.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე, საზოგადოების დაინტერესების გამო, გვაქვს შემდეგი კითხვები:

1. საზოგადოების თხოვნა იყო, დაკვირვების დასრულების შემდეგ იაპონელი სპეციალისტები შეხვედროდნენ ქართველ მეცნიერებს, განეხილათ შედეგი და მიეღოთ ერთობლივი, რეალური და საქართველოს მომავლისთვის სასარგებლო დასკვნა, მაგრამ ეს არ მოხდა — იაპონელებმა დასკვნა ჩააბარეს ეკონომიკის სამინისტროს, რომელსაც საქართველოს მეცმიერებათა აკადემიამ მიმართა თხოვნით, — გადაეგზავნათ მასალები გასაცნობად, მაგრამ არ გადაუგზავნეს (ალბათ, არც აპირებენ).

**გვაინტერესებს:**

**1. ა) დაუსვეს თუ არა იაპონელებს კითხვა არჩილ კიკნაძისა და ჯუანშერ მხეიძის წინადადების, ანუ აკვატორიული (სახმელეთო) ნავსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით?**

**ბ) გადაიგზავნება თუ არა იაპონელთა დასკვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და რატომ უმალავენ მის შინაარსს ხალხს?**

**გ) რისთვის დასჭირდა ეკონომიკის სამინისტროს ზედმეტი ხარჯი — იაპონელთა დაქირავება 5 მილიონ დოლარად 1-2 თვეს სამუშაოდ, როცა აკადემიკოსი კიკნაძე და მისი მოწაფეები წლების განმავლობაში სწავლობდნენ ენგურის შესართავთან კანიონსა და ზღვის მიმოქცევას, რომლის შესახებაც წარმოადგინეს შესაბამისი მეცნიერული დასკვნები?**

**2. 15 წელზე მეტია, მდინარე ენგურის კალაპოტის ამოწმენდის გეგმა არსებობს. გასაგებია, რომ ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდებში ეს გეგმა დამალეს და ელოდებოდნენ შესაფერის დროს, რათა თვითონ მიეღოთ სარგებელი, მაგრამ ახლა?! ვინ და რატომ უმალავს ხალხს ამ გეგმას? რატომ არ ტარდება ღონისძიება მის სარეალიზაციოდ?**

**3. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ანაკლიის ღრმაწყლიანი ნავსადგურის აშენებაზე რამდენი პროექტი თუ წინადადებაა? მათ შორის თუ არის არჩილ კიკნაძისა და ჯუანშერ მხეიძის წინადადება სახმელეთო ნავსადგურის მშენებლობაზე, რომელსაც მხარს უჭერენ ზემოჩამოთვლილი მეცნიერები და საღად მოაზროვნე ხალხი?**

სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა ელოდება თქვენს სამართლიან გადაწყვეტილებას, რომელიც გააერთიანებს და გააძლიერებს საქართველოს!

**პატივისცემით,**

**ანზორ ლომაია,**
**სამეგრელოს რეგიონული საზოგადოებრივი უხუცესთა კავშირ „სხუნუ“-ს თავმჯდომარე;**

**ალვერ იზორია,**
**საზოგადოება „მამულის“ თავმჯდომარე;**

**ზურაბ კვარაცხელია**
**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე;**

**შოთა თოდუა,**
**ზუგდიდისა და აფხაზეთიდან დევნილი სამამულო ომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე;**

**ლაურა ადამია,**
**ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დეპარტამენტის სამეგრელოს განყოფილების უფროსი:**

**შუკო ჯიქია,**
**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე:**

**ნაკო მესხია,**
**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**

**რეზო ბენდელიანი,**
**ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების კავშირის თავმჯდომარე;**

**ვაჟა ფიფია,**
**ზუგდიდის რაიონის აგრონომთა ასოციაციის თავმჯდომარე;**

**რევაზ მაქაცარია,**
**ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი**

**რა გვინდა, ხალხო? კავკასიაში გარყვნილ, თახსირ, ულირს ხალხად ვიქცეთ? ჩვენი შვილები და შვილიშვილები ისეთ „სიმპათიურ“ ბაყაყებად აღიზარდონ, როგორადაც ამას წინათ ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეობიდან გაპანღურებული ერთი ამერიკულად განათლებული ახალგაზრდა?**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხალხო, თვალი გაახილეთ, გაუპატიურებენ!

**კარგა ხანია, ევროკავშირისა და აშშ-ის სენატორების შეშფოთება არ მიკვირს. ისე ხშირად „შფოთავენ“ ჩვენს შინაურ, საოჯახო საქმეებზე, ერთი კვირა თუ გავიდა ისე, რომ მათი „შეშფოთება“ ვერ დავინახე, ის მაშფოთებს სწორედ. ლობიოს კერძს ნიახურსა და შაშკვლავს რატომ აკლებთ, ჩაქაფულს წიწაკას ზედმეტს უშვებით, მწვადს წალამზე ნუ წვავთო და ვინ იცის, კიდევ რა არ აშფოთებთ ამ ჩემ... კეთილდღეობაზე მზრუნველებს. მე, პირადად, სულ ფეხზე მკიდია, რაზე შფოთავენ მაკკეინი და მისი ამფსონები, მაგრამ ის კი მაწუხებს, რომ ჩემი ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებიც ქვეყნისა და ხალხისთვის საარსებო საკითხების გადაწყვეტისთვის უნდა ირჯებოდნენ, მთელ დროს იმას ახმარენ, მორიდებით როგორ აუხსნან ოკეანის გაღმელ თუ გამოღმელ „შეშფოთებულებს“ ის, რის შესახებაც კითხვას არც წარსულში და არც ახლა დასვამს ჭკუათმყოფელი, თავმოყვარე კაცი და მასზე პასუხის გასაცემად კი არც არასოდეს შეიწუხებს თავს.**



**ანაკლიაში თუ «კაზანტიპის» ფესტივალი გაიმართა, მაშინ ჩვენი ქართველობა, დიდი ალბათობით, ეჭვქვეშ დადგება. არა მგონია, ჩვენს ხელისუფლებას ეს არ ესმოდეს, მაგრამ, «კაზანტიპზე» რომ უარი თქვან, დასავლელი ლიბერალები და აქაური ლიბერასტები შეშფოთდებიან და იმის ეშინიათ, — ე, მანდ, დემოკრატიის ღალატი და რუსეთის მოკავშირეობა არ დაგვწამონო**

ეჰ, თავმოყვარეობა სად არის, ნეტავი! შორეულ თუ ახლო მეზობელს იმის უფლებას როგორ მივცემ, ჩემს სამზარეულოში ჩემი ცოლისა თუ დედის საქმიანობაში ჩაერიოს და პრეტენზიები წაუყენოს მათ. ასეთი ვინმე ჩემს სამეზობლოში, ცხადია, არ მოიძებნება; ეს ისე ვთქვი, მაგალითისთვის, რადგან ძალიან უპრიანად მომეჩვენა შეშფოთებულ ამერიკელ სენატორებთან დაკავშირებით.

გული მიგრძნობს, ვიღაც „ქვეშეშფოთებული“ მეტყვის: ნუთუ არ გაგიგონია ქართული ანდაზა: „ბატონს ეურჩებოდე, დღე გიმოკლდებოდესო“. გამიგონია, როგორ არა, ჩემო თანამემამულევ, მაგრამ ეგ ანდაზა იმდროინდელია, როცა ბატონს „პირველი ღამის“ უფლება ჰქონდა. ახლა თუ იმდროინდელ ანდაზებს მივყევით, კარგად გვქონია საქმე! არადა, შენნაირების სიმრავლის გამო, მართლაც მივყვებით! აბა, ასე თუ არ არის, როგორ დაუშვა ჩვენმა ხელისუფლებამ „კაზანტიპის“ ფესტივალი ანაკლიაში?

ასეა და უარესადაც! მაშინდელი ბატონი თავისი ერთი ყმის ახლადმოყვანილ ცოლს აუპატიურებდა, ახლანდელი ჩვენი დასავლელი პატრონები (თუ ბატონები!) მთელი ერის გაუპატიურებას ცდილობენ. ჩვენი ხელისუფლება კი, ოკეანისგაღმელი „დამრიგებლებისა“ და მათი აქაური ხელის ბიჭების შიშით, ხალხის გაღვიძებას არ აპირებს, პირიქით — წყალწყალა სუპში ბანგსაც ხშირად ურევს.

**ერთმა ყოფილმა (თუ ახლანდელმა!) „ერის ბელადმა“ მაღალჩინოსნების ფანტასტიკური ხელფასების აუცილებლობა ასე აგვიხსნა: მაღალ ხელფასებს იმიტომ ვნიშნავთ, რომ კორუფციაში არ ჩაეფლონ და ვინმეზე დამოკიდებულნი არ იყვნენო. მერე რა გამოვიდა აქედან? ჩვენი მთავრობა დამოუკიდებელი გახდა? დამოუკიდებელი კი არა, ევროვიღაცა ბაროზუმ თუ ფულემ ერთი რომ დააცემინონ, ამათ შიშით გულები ელევათ და ერთმანეთს ასწრებენ „ხეირისა“ და „ჯანმრთელობის“ დაძახებას. ვაი მაშინ, თუ შემოუბღვირეს.** თავზე ნაცარს წაიყრიან და ტირილ-სლუკუნით შეჰღაღადებენ ევროპატრონებს: ნუ გაგვირისხდებით, თქვენი ჭირიმე, ჩვენც ევროპელები ვართ, ნამდვილი ევროპელები და ევროპელებზე უარესებიცო.

ახლა ვინმე „გულკეთილი“ კაცი მეტყვის: ეგრე მკაცრიც ნუ იქნები, ხომ იცი, პატარა ერისა და ქვეყნის ხვედრი ეგეთია — ძლიერს უნდა დაემორჩილოსო.

კი, ბატონო, ძლიერის სიძლიერე უნდა აღიარო და იქნებ მისი ვასალობაც იკისრო, მაგრამ ეს ღირსების დაკარგვას როდი ნიშნავს. ულირსი კაცი არც ვასალად უნდოდეს იქნებ სიუზერენს. ულირსის ხვედრი მონობაა, მონობაში ყოფნა კი ნაზრახი სიცოცხლეა მხოლოდ. სწორედ ამგვარ სიცოცხლეზე გვითხრა დიდმა რუსთაველმა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. აღარ გვინდა, ვიწამოთ რუსთაველის შეგონება და ხელი უნდა ავიღოთ ღირსეულ სიცოცხლეზე? ეს გვინდა განა?

მართლაც, ანაკლიაში თუ „კაზანტიპის“ ფესტივალი გაიმართა, მაშინ ჩვენი ქართველობა, დიდი ალბათობით, ეჭვქვეშ დადგება. არა მგონია, ჩვენს ხელისუფლებას ეს არ ესმოდეს, მაგრამ, „კაზანტიპზე“ რომ უარი თქვან, დასავლელი ლიბერალები და აქაური ლიბერასტები შეშფოთდებიან, იმის ეშინიათ, — ე, მანდ, დემოკრატიის ღალატი და რუსეთის მოკავშირეობა არ დაგვწამონო (რუსეთმა ხომ პედერასტების პროპაგანდა აკრძალა, რაც დიდ „ცოდვად“ ჩაუთვალეს მას ჩვენმა ევროპელმა დამრიგებლებმა!).

ვინმე ღირსეული კაცის ღირსეულ საქციელს რომ წავაწყდები ხოლმე, თუნდაც უცხოტომელი იყოს, იმედი მეძლევა, იქნება ჩვენშიც გამოჩნდნენ-მეთქი ასეთი კაცები. აი, ამას წინათ სწორედ ასეთი კაცების კაცური ქცევის მოწმენი გავხდით (ჩვენც და ჩვენთან ერთად მთელი მსოფლიოც).

ისრაელსა და პალესტინას შორის გაღვივებულ კონფლიქტში ვინ მართალია და ვინ მტყუანი, არ ვიცი, ის კი ყველამ იცის, რომ ღაზის სექტორში უკვე ბევრია დაღუპული. ისრაელს ამჯერად მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს სამხედრო თვალსაზრისით და ამიტომ არაბების დანაკარგები ბევრად მეტია. როგორც ჩანს, აშშ-სა და ევროკავშირს ამჯერად ხელს არ აძლევთ მთელ არაბულ სამყაროში ანტიამერიკული და ანტიევროპული უკმაყოფილების ზრდა და გადაუწყვეტიათ ისრაელის შეჩერება (ისრაელი არაბულ სამყაროში აშშ-ის სატელიტად ითვლება!). ჯერ იყო და ამის თაობაზე აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ესაუბრა ნეთანიაჰუს. ამ უკანასკნელმა კი თავისი სტრატეგიული პარტნიორის ინტერესებზე მაღლა თავისი ეროვნული ინტერესები დააყენა და, ხალხურ ენაზე თუ ვიტყვი, არ დაუჯერა „დიდ ბატონს“. მერე კი დანიის, შვედეთის, ჰოლანდიის ელჩები და დიდი ბრიტანეთის, იტალიის, უნგრეთის, ავსტრიისა და გერმანიის ოფიციალური წარმომადგენლები ისრაელის პარლამენტის (ქნესეტის) დეპუტატებს შეხვდნენ, რა უთხრეს ევროპელმა ემისრებმა ისრაელელებს, ეს არ არის საინტერესო. საინტერესო ის არის, რა პასუხი გასცეს მათ ქნესეტში! ებრაელმა დეპუტატმა იოველ ჰასონმა განუცხადა: „ნატომ კოსოვოში 5 ათასი მშვიდობიანი მოსახლე დაბომბა; ერაყში შეჭრისას ამერიკელთა ხელით 27 ათასი ერაყელი დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ვითომ საფრთხეს უქმნიდნენ აშშ-ს, ახლა კი თქვენ შეიჭერით უკრაინაში და იქ ფაშისტებს აქეზებთ, ომს აწარმოებთ სამხრეთ-აღმოსავლეთში. ვფიქრობთ, რომ ბრიყვები ხართ! ეს ზღაპრები დაბეჩავებულ ევროპას მოუყევით!“ — აი, თავმოყვარე და პატრიოტი კაცის პასუხი თავლაფდასხმულ და ულირსებო მრჩევლებს.

პარლამენტში ნაცდეპუტატები (ანუ ნაცბანდა!) კატეგორიულად მოითხოვენ, ჩვენც დავუწესოთ სანქციები რუსეთს, როგორც ეს ევროკავშირმა გააკეთაო. ამის მომთხოვნები სურამის ერთ დაწესებულებაში უნდა გაეგზავნა (ძალით, ცხადია!), ჰუმანიზმზე თუ დებდა თავს ჩვენი ხელისუფლება. მაგრამ ამის ნაცვლად, სერიოზული ახსნა-განმარტებები დაიწყეს: იმიტომ ვერ ვუწესებთ სანქციებს, რომ ევროკავშირის წევრები არ ვართო. ევროკავშირის წევრები რომ ვიყოთ, მაშინ — ჰოო...

ვის უნდა დაუწესოთ სანქციები, თქვე რძენაწყენებო, ან როგორი სანქციები? ისეთი ხომ არა, სამტრედიის ყოფილმა პრეფექტმა და ახლა პარლამენტის წევრმა ზვიად ძიძიგურმა რომ დაუწესა რუსეთს (სამტრედიაში გაჩერებული რუსეთში მიმავალი სატვირთო ეშელონი რელსებზე მიადუღებინა და რუსეთის ეკონომიკას ბლოკადა გამოუცხადა!)?

ვაი, თქვენს პატრონს!

**ძიძიგურებისა და მისნაირი ეროვნული მებლოკადეების „მოღვაწეობის“ შედეგად საქართველოს აღარც ეკონომიკა აქვს და, შესაბამისად, აღარც პოლიტიკა, სხვისი ხელის შემყურე და გამათხოვრებულია.** აი, ბელარუსმა, რომელმაც არც ბლოკადა გამოუცხადა ვინმეს, „დიქტატორი“ ლუკაშენკოც ტაშისკვრით აირჩია და არც ის უმტკიცებია ვინმესთვის, ბელარუსი ვარ, მაშასადამე, ევროპა ვარო, ეკონომიკა სრულად შეინარჩუნა და განავითარა; არც საგარეო ვალი აქვს (ჩვენი ვალი 12 მილიარდ დოლარზე მეტია!), არც „ტანკში“ უძვრება ვინმეს და ვერც ფეხებს მოსჭამს ვინმე (მათ შორის ჩვენი „ჩე-გევარები“ და ძია სემის „ტანკში“ შემძვრალი „რევოლუციონერები“!).

გაიღვიძეთ, თანამემამულენო! ჩვენი გაუპატიურება უკვე დაწყებულია. გონებრივი გაუპატიურება უკვე აშკარაა. იმ „საგანმანათლებლო“ რეფორმამ ქნა ეს, რომელზეც, სამწუხაროდ, უშედეგოდ ვყვიროთ, ჩვენი სახალხო განათლება სახალხო დაბნელებას ისახავს მიზნადო. არ ისმინეს და, ა, ბატონო, შედეგი: **ამას წინათ ერთმა ქართულმა ტელევიზიამ ასეთი გამოკითხვა ჩაატარა: თბილისში, ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე ახალგაზრდებს (20-30 წლის) ასეთი შეკითხვა დაუსვეს: მონღოლეთმა 200 მეტრით გადმოსწია საზღვარი და საქართველოს მიწა მიითვისა. როგორ ფიქრობთ, მონღოლეთი წამოვა მშვიდობიან მოლაპარაკებაზე თუ ომი გარდაუვალიაო?**

**როგორ ფიქრობთ, რა უპასუხა „ახალგაზრდა საქართველომ“? ასიოდე გამოკითხულიდან მხოლოდ ერთმა თქვა, — საქართველოსა და მონღოლეთს საერთო საზღვარი არ აქვსო (ალბათ, გეოგრაფიის მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი ჰქონდა!). დანარჩენებს მონღოლეთი და საქართველო მოსაზღვრე ქვეყნები ჰგონიათ.**

ამ მდგომარეობაში მყოფ ხალხს შეგიძლია ისე მოექცე, როგორც მძინარეს — თუ გინდა, გააუპატიურებ კიდეც. ამას ცდილობენ სწორედ დასავლელი კაზანტიპელები.

რა გვეშველება, არ ვიცი. ხალხი ვერც პატრიარქის არაერთგზის მოწოდებამ გამოაღვიძა, ვერც ფხიზელი ქართველების შეგონებამ, რომელიც უკვე ორი ათეული წელი გრძელდება. აჰა, უკვე „კაზანტიპამდე“ მივედით!

**რა გვინდა, ხალხო? კავკასიაში გარყვნილ, თახსირ, ულირს ხალხად ვიქცეთ? ჩვენი შვილები და შვილიშვილები ისეთ „სიმპათიურ“ ბაყაყებად აღიზარდონ, როგორადაც ამას წინათ ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეობიდან გაპანღურებული ერთი ამერიკულად განათლებული ახალგაზრდა?**

ჰოდა, თუ ეს არ გვინდა, თვალი გაახილეთ და დაინახავთ, რომ გვაუპატიურებენ სულიერად, გონებრივად და არც ფიზიკურად გაუპატიურებაა შორს.

**ზურაბ ცუცქირიძე**

## აშშ-ში დააპატიმრეს ერთადერთი ქალი ყველაზე ძებნილი ბოროტმოქმედების სიიდან

**ამერიკელმა სამართალდამცველებმა დააპატიმრეს 43 წლის ჯანეტ კილოუ ბარეტო, რომელიც ნაშვილები ორი წლის გოგონას მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ის ქმართან ერთად წლების განმავლობაში იმალებოდა. წყვილი სხვა გვარით ცხოვრობდა და ხშირად იცვლიდა გარეგნობას.**

ცოლ-ქმარი ბარეტოები ქალაქ პორტლენდის (ორეგონის შტატი) ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში დააპატიმრეს.

2013 წელს ბარეტო ამერიკის ყველაზე ძებნილი 15 ბოროტმოქმედის სიაში მოხვდა. მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის აშშ-ის ხელისუფლებამ ჯილდოდ 25 ათასი დოლარი დააწესა.

ბარეტო 2008 წლის მაისში დააპატიმრეს ნაშვილები გოგონას მკვლელობის გამო. ნახევარი წლის შემდეგ ის გირაოს სანაცვლოდ გამოუშვეს, ამის შემდეგ კი იმალებოდა.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლონდონის „მეცნიერების მუზეუმში“ ეგვიპტის ფარაონთა მე-18 დინასტიის კოსმეტიკურ საშუალებათა კომპლექტი ინახება. სწორედ მისი გამოყენებით მუზეუმში „ეგვიპტური სტილის“ კოსმეტიკის მასტერკლასი ჩატარდა. „ეგვიპტურ სახედ“ კი ორგანიზატორებმა მოდელი ფლიპ დრაივერი შეარჩიეს.**



# ყველაფერი მაკიაჟის შესახებ

**მაკიაჟი არის ერთ-ერთი საშუალება იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას სილამაზეს, ნაკვთებს ან გარკვეული კორექცია შეიტანოს მასში. გავრცელებულია მოსაზრება, რომ პირველად კოსმეტიკური საშუალებები ეგვიპტეში გამოიგონეს. ეგვიპტის სახელგანთქმულმა დედოფალმა კლეოპატრამ პირველად შეიღება თვალები და წაისვა ტუჩის საცხი.**

ეგვიპტურ მაკიაჟში განსაკუთრებული ყურადღება თვალებს ექცეოდა: სპეციალური ჩხირისა და სქელი შავი სითხის მეშვეობით თვალებზე კონტურს იკეთებდნენ. სახისთვის ტონალობის მისაცემად კი იყენებდნენ ყვითელ და წითელ ჟანგმიწას. სხვათა შორის, კლეოპატრა, იმისათვის, რომ ტუჩებისთვის მაცდუნებელი, წითელი შეფერილობა მიეცა, დანაყილი მოწითალო ხოჭოების ნარევით სარგებლობდა.

ეგვიპტელებმა გამოიგონეს პირველი კოსმეტიკური პროდუქტი, რომელიც საკმაოდ მიახლოებული იყო დღევანდელ მაღალხარისხიან კოსმეტიკასთან. მას შეეძლო სახის ნაკლოვანებების დაფარვა და კანისთვის პრიალა ზედაპირის უზრუნველყოფა. ძველად ქალები თვალის შესაღებად დამწვარ ასანთსაც კი იყენებდნენ.

**საუკუნეების განმავლობაში ქალები რისკის ქვეშ აყენებდნენ თავიან ჯანმრთელობას შინ დამზადებული კოსმეტიკური პროდუქციით. ისინი იყენებდნენ დარიშხანს, ტყვიას, ვერცხლისწყალს და წურბელებსაც კი, რათა სახისთვის ფერმკრთალი იერი მიეცათ, რომელიც იმ დროს განსაკუთრებით ლამაზად ითვლებოდა.**

**დღეს კოსმეტიკის შემადგენლობა მკაცრად კონტროლდება და ზიანი, რაც მისგან შეიძლება მიიღო, მინიმუმამდეა დაყვანილი. თუმცა ჯერ კიდევ არსებობს კოსმეტიკური ნაწარმი, რომელიც კანისათვის არც თუ სასარგებლოა.**

ისინი, ვინც კარგად იცნობენ ქალის ბუნებას, დარწმუნებულნი არიან, რომ კოსმეტიკის ისტორია იმდენივე საუკუნეს ითვლის, რამდენსაც თავად კაცობრიობა, რადგან ქალებს ყველა ეპოქაში თანაბრად სურდათ, ლამაზები და ახალგაზრდები ყოფილიყვნენ. რა თქმა უნდა, კოსმეტიკამ დროთა განმავლობაში ბევრჯერ განიცადა ცვლილება. სიტყვა „კოსმეტიკა“ მომდინარეობს ბერძნული ტერმინიდან cosmo, რაც ქართულად წესრიგის დამყარებას, მოწესრიგებას ნიშნავს.

სხვათა შორის, თანამედროვე კოსმეტიკის მრავალი პროცედურა სწორედ უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მაგალითად, სხეულზე არასასურველი თმების მოსაცილებლად კოსმეტიკურ სალონებში ამჟამადაც იყენებენ „შუგარინგის“ მეთოდს, რომელსაც შაქრის ეპილაციასაც უწოდებენ. მსგავს პროცედურას ხანგრძლივი ისტორია აქვს: გამომწვარ შაქარს უმატებდნენ ლიმნის წვენს და ისვამდნენ კანზე. მიღებული ეფექტი ძალიან ჰგავდა დღევანდელ შედეგებს. ოღონდ, დღემდე უცნობია, ვინ მოიფიქრა ეპილაციის ეს საშუალება — ნეფერტიტმა თუ თაის ათენელმა.

ჩვენს წ. აღ.-მდე V-IV საუკუნეებში ბერძენი ქალბატონები კოსმეტიკურ ფხვნილებად დანაყილ პარკოსან მცენარეებს, ფქვილსა და ცარცს იყენებდნენ. ბაგეებს იღებავდნენ წითელი საღებავით, რომელსაც ბალახისმჭამელი მწერის — ბუჟღენდისგან ამზადებდნენ. წამწამებს მურით იღებავდნენ, მათ დასაფიქსირებლად კი ფიჭვის ფისისა და კვერცხის ცილის ნარევს ხმარობდნენ. ამავე პერიოდს განეკუთვნება ძალზე საინტერესო ნაშრომი „ტრაქტატი სილამაზის შენარჩუნების შესახებ“, რომელიც იმ დროისთვის ცნობილ კურტიზან ქალს — ასპაზიას ეკუთვნოდა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მანამდეა შედგენილი კლეოპატრას წერილობითი რეკომენდაციების კრებული, სახელწოდებით „მალამო კანისთვის“, რომელიც თავის სწორად მოვლას ეხება. ეს წარმოადგენს რამდენიმე მეტრის სიგრძის პაპირუსს, რომელზე ჩამოთვლილი რჩევებიც კოსმეტიკის სამყაროში დღესაც პოპულარობით სარგებლობს.





**დღეს კოსმეტიკის შემადგენლობა მკაცრად კონტროლდება და ზიანი, რაც მისგან შეიძლება მიიღო, მინიმუმამდეა დაყვანილი. თუმცა ჯერ კიდევ არსებობს კოსმეტიკური ნაწარმი, რომელიც კანისათვის არც თუ სასარგებლოა**

ეს რჩევები ზოგადია, მაგრამ მიზნად ისახავს ქალბატონებისთვის თავის მოვლის შესახებ ელემენტარული ინფორმაციის მიწოდებას. აი, რამდენიმე რჩევა:

**თმა უფრო სქელი გვექნება, თუ გამოვიყენებთ წვრილად დაჭრილი ღორის ქადასგან (მცენარეა) მომზადებულ ნიღაბს;**

შავი გაზელის (ცხოველია) დანაყილი რქებისა და ზეითუნის ზეთის ნარევი კარგია საფეთქლებთან გაჩენილი ჭაღარისთვის. რქა შეგვიძლია შევცვალოთ ვირის ღვიძლით.

სხეულიდან არასასურველი თმების მოსაშორებლად საჭირო პასტის მომზადების წესი: ფრინველის სკორეს შევურიოთ წვრილად დაქუცმაცებული ცხოველის ძვლები, ნეკერჩხლის წვენი, მუხის ფისი და გახეხილი კიტრი.

ნაოჭების საწინააღმდეგო ნელსაცხები ათენელმა ჰეტერა ქალმა ფრინამ გამოიგონა. კრემის შემადგენლობაში შედიოდა ვირის რძე. ცნობილია, რომ ნერონის მეუღლე პოპეა ვირის რძისგან მომზადებული აბაზანებით სარგებლობდა. როდესაც პოპეა სადმე მიემგზავრებოდა, ყველგან თან მიჰყავდა მდედრი ვირების ჯოგი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინგრედიენტი კოსმეტიკაში დღემდე გამოიყენება.

ჩინეთის იმპერატორთა მეუღლეები კი ახალგაზრდულ კანს იმით ინარჩუნებდნენ, რომ დღეში ორჯერ სახეზე მასაჟს იკეთებდნენ ნატურალური აბრეშუმის ნაჭრით. ბოლო პერიოდში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აბრეშუმის სახეზე ზემოქმედების დროს წარმოიქმნება სტატიკური ელექტრობა, რომელიც ასტიმულირებს კანის რეგენერაციას.

რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, მხოლოდ ქალებს როდი შეჰქონდათ თავიანთი წვლილი კოსმეტოლოგიის განვითარებაში. ამ თემის მიმართ არც სწავლული მამაკაცები იყვნენ გულგრილნი. მაგალითად, ჰიპოკრატე ამზადებდა განსაკუთრებულ ნელსაცხებლებს და სამედიცინო საშუალებებს არა მარტო ნაოჭების გასაშლელად და დამჭკნარი კანის გასაახალგაზრდავებლად, არამედ პირიდან ცუდი სუნის გასაქრობადაც, თუმცა მისი რეცეპტები დღეს ცოტა უცნაურად და არაცივილიზებულად გამოიყურება. მისი რეკომენდაციით, ახალგაზრდული იერის შესანარჩუნებლად უნდა გამოვიყენოთ ზეითუნის ზეთის, წითელი ღვინისა და ხვლიკის ღვიძლის ნაზავი.

უძველესი დროიდან დიდი ყურადღება ეთმობოდა დეკორატიულ კოსმეტიკასაც. ძველ ეგვიპტეში უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა, თუ ადამიანი ხალხში შეუღებავი გავიდოდა. ეგვიპტელთა მაკიაჟში განსაკუთრებული ყურადღება თვალებს ექცეოდა. თვალებზე სპეციალური ჩხირით და სქელი შავი სითხის მეშვეობით კონტურს იკეთებდნენ. ამავე მიზნით საუკუნეების მანძილზე მწვანე ფხვნილსაც იყენებდნენ.



ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გამოიგონეს სპეციალური ინსტრუმენტები და საშუალებები თავის მოსავლელად და გასალამაზებლად. დედოფალ ხათშეფსუტის სამარხის გათხრისას სილამაზის სალონი აღმოაჩინეს: უამრავი ჭურჭელი არომატული ზეთებით, საღებავები, ნილბები, მოწყობილობა თმის დასახვევად, პემზა და საღებავი ფეხის ფრჩხილებისთვის.

ხანგრძლივი ისტორიისა და მდიდარი გამოცდილების მიუხედავად, შუა საუკუნეების ევროპაში კოსმეტიკას სერიოზული მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა: მას სატანის გამოგონებად თვლიდნენ და ანათემასაც კი გადასცეს. მაგრამ ამ ფაქტმა მისადმი ინტერესი ვერ გაანელა. იგი განაგრძობდა მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა გონებისა და გულის დაპყრობას. აღსანიშნავია, რომ ევროპამ უდიდესი წვლილი შეიტანა კოსმეტიკის განვითარებაში.

მაკიაჟის გაკეთების ტექნიკა მე-16 საუკუნეში ისე გართულებული იყო, რომ ამ მიზნით მხატვრებსაც კი იწვევდნენ. ბუნებრივია, აქ ყოველდღიური მაკიაჟი არ იგულისხმება. ეს იყო ხანგრძლივ დროზე გათვლილი მაკიაჟი. იმ დროს მიღებული არ იყო პირის დაბანა, ასე რომ, სახე საღებავს დიდხანს ინარჩუნებდა. სწორედ ამ ტრადიციამ ჩაუყარა საფუძველი პერმანენტულ, ყოველდღიურ მაკიაჟს.

იმ დროს პირადი ჰიგიენის საკითხი სათანადო დონეზე არ იდგა. არა მარტო პირის დაბანა, არამედ აბაზანის მიღებაც იშვიათი მოვლენა იყო. ცდილობდნენ, დაუბანელი სხეულის არასასიამოვნო სუნი წარმოუდგენელი რაოდენობის სხვადასხვა არომატული საშუალებით ჩაეხშოთ. დიდებულებს შორის დიდი მოთხოვნა იყო სუნამოებზე, კოსმეტიკურ ფხვნილებსა და ტუჩსაცხებზე.

კოსმეტიკის თანამედროვე ისტორია მოიცავს და სათანადო ადგილზე აყენებს კოსმეტიკის პრინციპებს, რომლებიც ძველ მსოფლიოსა და შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა.

ქალების უმრავლესობისთვის მაკიაჟი ყოველდღიური რიტუალია, თუმცა ყველამ როდი იცის, რომ არასწორად გაკეთებული მაკიაჟი ხაზს კი არ უსვამს, არა- ▶

**ძველ ეგვიპტეში უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა, თუ ადამიანი ხალხში შეუღებავი გავიდოდა. ეგვიპტელთა მაკიაჟში განსაკუთრებული ყურადღება თვალებს ექცეოდა. თვალებზე სპეციალური ჩხირით და სქელი შავი სითხის მეშვეობით კონტურს იკეთებდნენ. ამავე მიზნით საუკუნეების მანძილზე მწვანე ფხვნილსაც იყენებდნენ**

**მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული კოსმეტიკური ინგრედიენტი ბულბულის ექსკრემენტისგან მზადდება. მას იყენებდნენ იაპონელი მსახიობი კაბუკი და გეიშები მაკიაჟის სქელი ფენის ჩამოსაშორებლად. ის ასევე „გამაბრწყინებელ“ საშუალებას წარმოადგენდა. მისი შეძენა დღესაც შესაძლებელია ინგლისში სულ რაღაც 135 ფუნტად.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მედ ჩქმალავს ქალის ღირსებებს. ასე რომ არ მოხდეს, აუცილებელია მაკიაჟის წესების ცოდნა.

**ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომაა ტონალური კრემის არასწორად წასმა.** სქლად წასმული ტონალური კრემი სახეს ნიღაბს ამსგავსებს. სწორად წასმული ტონალური სახეზე შესამჩნევი არ უნდა იყოს, მაგრამ წარმატებით უნდა ნიღბავდეს ყველა ნაკლს. კრემის წასმამდე აუცილებლად გაისუფთავეთ სახის კანი, კრემი წაისვით თხლად, კიდეები ისე გადაასწორეთ, რომ არ ჩანდეს გამყოფი ხაზი. სახის ფერი კისრისგან არ უნდა განსხვავდებოდეს. სახის კანისა და ტონალური კრემის ფერი ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. განსხვავებული ელფერი შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც სახის გარკვეული ნაწილის ჩამუქება გვჭირდება.

**მეტად გავრცელებული შეცდომაა მკვეთრი წითელი ლოყები და დიდი რაოდენობით პუდრი.** მკვეთრი რუჯი აბერებს, ხოლო ბევრი პუდრი კანის გამოშრობას იწვევს.

სახეზე პუდრი უნდა წავისვათ ზემოდან ქვემოთ. ასე კანი აბრეშუმისებრ ელფერს შეიძენს. სახლის პირობებში უმჯობესია ვისარგებლოთ ფხვიერი პუდრით, მისი თანაბრად წასმა ბევრად უფრო ადვილია. მაკიაჟის კორექციისთვის გამოგადგებათ კომპაქტური პუდრი, მაგრამ მისი თანაბრად წასმა რამდენადმე უფრო ძნელია, ამიტომ ის საგზაო ვარიანტად შეიძლება გამოვიყენოთ. მას ღრუბლით ისვამენ. რამდენიმე გადასმა და კანი თითქოს ცოცხლდება.

შუბლის შუა ნაწილს, ცხვირსა და ნიკაპს O-ზონას უწოდებენ. ამ ადგილებში ბევრი საოფლე და ცხიმოვანი ჯირკვალია, ამიტომ მასზე რამდენიმეჯერ უნდა გადავატაროთ ფუნჯი. ფხვიერ პუდრს ბუმბულის სპეციალური ფუნჯით ისვამენ. ის კანს ჰაეროვანს აჩენს, თავად პუდრი კი შეუმჩნეველი რჩება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თვალების მაკიაჟი. აქ შეცდომა ჩრდილების ფერის არასწორი შერჩევით გამოიხატება. თვალების შეღებვისას უნდა გვახსოვდეს: ჩრდილი თვალების ფერის მიხედვით უნდა შევარჩიოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი ფერი ემთხვეოდეს თვალების ფერს — ამ შემთხვევაში თვალების მაგივრად დიდი ფერადი ლაქა გამოჩნდება. ჩრდილის მიზანი თვალების ფერის ხაზგასმაა და არა მასთან შერწყმა.

ლურჯმა და რუხმა ჩრდილებმა შეიძლება ხაზი გაუსვას თვალის ქვეშ არსებულ მუქ რგოლებს. ამ ფერების გამოყენება შეიძლება, უბრალოდ უნდა დავიცვათ ზომიერება და სწორად შევარჩიოთ ფერი.

თვალის კონტური მთლიანად უნდა მოვხაზოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თვალი უფრო პატარა გამოჩნდება, ხოლო მაკიაჟი — დაუსრულებელი.

ტუჩების მაკიაჟის დროს გავრცელებული შეცდომაა მეტისმეტად მკვეთრი ფერის საცხი. ტუჩების მაკიაჟის დროს ფანქარი არ უნდა იყოს საცხზე მუქი. კონტური უნდა წავისვათ თანაბრად, ტუჩის ბუნებრივ საზღვარზე და არა მის გარეთ.

შესაძლოა, მთელი ცხოვრება იყენებდე დეკორატიულ კოსმეტიკას, მაგრამ ბოლომდე არ იცოდე მისი შესაძლებლობები. სპეციალისტები გვირჩევენ, თუ ხელთ არ გაქვთ მოცულობის მიმცემი ტუში, გამოვიყენოთ ჩვეულებრივი ფხვიერი პუდრი. პუდრი მიიფრქვიეთ წამწამებზე, შემდეგ წაისვით ტუში — წამწამები უფრო ხშირი და ფუმფულა გამოჩნდება. გამოხედვა უფრო გამჭოლი და მბრწყინავი რომ გახდეს, გამოიყენეთ თეთრი სადაფისფერი ჩრდილი, რომელსაც წაისმევთ თვალის შიდა კუთხეში, ზედა და ქვედა ქუთუთოზე ასო V-ს ფორმით.

მოშვებულ, დაღლილ კანს სიხალისე შეჰმატეთ მაკიაჟის წასმამდე, რისთვისაც ლიმონის წვენი აურიეთ წყალში (წვენი წყალზე ნაკლები უნდა იყოს) და წაისვით სახეზე. მიღებული ეფექტი უტოლდება ძვირადღირებული ლიფტინგსაშუალებების მოქმედებას. თვალები რომ ბრწყინავდეს, თვალის კუთხეში დასვით პაწაწინა, წითელი წერტილი, ამისთვის ფუნჯი და პომადა დაგჭირდებათ.



# 14 შვილის მარტოხელა დედას ცუდ დედობაში ადანაშაულებენ

**39 წლის ნადია სულემანი, რომელსაც მსოფლიო „ოქტოდედის“ სახელით იცნობს, 14 შვილს მარტო ზრდის. მაგრამ, როგორი დედაა, ეს ცალკე საკითხია, რადგან მას ხშირად კიცხავენ სხვადასხვა არაადეკვატური ნაბიჯის გამო და ადანაშაულებენ, რომ შვილები სახელის მოსახვეჭად გააჩინა.**



ნადიამ რამდენიმე წლის წინათ გადაწყვიტა, ანჯელინა ჯოლის დამსგავსებოდა და რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. ძირითადად, მკერდი და ტუჩები გაიდიდა, სახის ნაკვთებიც შეიცვალა და მსოფლიოს გააცნო თავი, როგორც ანჯელინა ჯოლის ორეულმა, თუმცა ეს არ აღმოჩნდა მისთვის საკმარისი.

1996 წელს გათხოვდა და, სანამ ქმართან ცხოვრობდა, ხელოვნური განაყოფიერებით მოასწრო სამი შვილის გაჩენა. მერე ქმარს გაეყარა და ამ ბავშვებს კიდევ სამი მიუმატა. როდესაც მისი უფროსი შვილების ასაკი 2-დან 7 წლამდე იყო, სწორედ მაშინ დაგეგმა „გრანდიოზული პროექტი“ — 8 ტყუპის გაჩენა. მშობიარობის შემდეგ იგეგმებოდა რეალური შოუს ჩვენება, რომელიც ნადიასა და მისი 14 შვილის ცხოვრებას ასახავდა.



ნადია მთელი ორსულობის პერიოდში იღებდა ფოტოებს, მონაწილეობდა სხვადასხვა გადაცემაში, საბოლოოდ წარმატებით იმშობიარა და ახალშობილებს, ისევე, როგორც მის უფროს შვილებს, ბიბლიური სახელები დაარქვა, თუმცა რვავეს მეორე სახელი ერთნაირი აქვს — ანგელოზი.

მოგვიანებით, როგორც „პროექტით“ ივარაუდებოდა, საბუთები შეიტანა ბრენდის — „ოქტოდედის“ დასარეგისტრირებლად და რეალური შოუს გადაღებების კონტრაქტსაც მოაწერა ხელი. თუმცა მერე აღიარა, რომ საკუთარი ძალები ვერ გათვალა... „ყველაფერი გავაფუჭე, ჩემს შვილებსაც დავუნგრიე ცხოვრება... ნეტავ, რაზე ვფიქრობდი? რა გავაკეთე? მაგრამ ძლიერი უნდა ვიყო“, — თქვა მან.



ნადიას არა მხოლოდ ამდენი შვილის მოვლა გაუჭირდა, არამედ მუქარასაც ვერ გაუძლო საზოგადოების იმ წარმომადგენელთა მხრიდან, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ამდენი შვილი მხოლოდ და მხოლოდ ანგარების მიზნით გააჩინა.

როცა მისი ამბავი გაცხადდა, იმ ექიმს, რომელმაც ნება დართო, რვა ტყუპი გაეჩინა, ლიცენზია ჩამოართვეს, ხოლო კლინიკა, რომელშიც ხელოვნური განაყოფიერება მოხდა, სერიოზულად დააჯარიმეს.

ახლა ნადია თავის 14 შვილთან ერთად ცხოვრობს. მათგან სამს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და ინვალიდობის შემწეობას იღებს. გარდა ამისა, ნადიას მათი რჩენაც უჭირს და სხვადასხვა პროვოკაციაზე თანხმდება ამის გამო. ბოლო პერიოდში სტრიპტიზკლუბში ცეკვავდა, რათა ფული ეშოვა, მერე გადასახადებისგან თავის არიდებაში დაადანაშაულეს და კინაღამ ციხეშიც მოხვდა.

# ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## გრიპის საწინააღმდეგო ნაყინი

**ამერიკულმა კომპანია Jenis Splendid Ice Creams-მა, რომელიც ნაყინს აწარმოებს, ორიგინალური დესერტი შექმნა.** ახალი ნაყინი თაფლს, პექტინს, ნაღებს, ასევე ფორთოხლისა და ლიმონის წვენს შეიცავს. მის შემადგენლობაში შედის ბურბონიც და წიწაკაც. თაფლი სიმწარეს ანეიტრალებს. დესერტი შეიცავს გრიპის სამკურნალოდ შეუცვლელ ვიტამინ C-ს, ხოლო წიწაკა სუნთქვას გიადვილებთ. გემრიელი წამალი თებერვალ-მარტის პერიოდში 12 დოლარად გაიყიდება.



## კაცმა აღმოაჩინა, რომ ქალი ყოფილა

**ჩინელმა მამაკაცმა ექიმს მუცელში ტკივილების გამო მიმართა. გაირკვა, რომ სინამდვილეში ის ქალი ყოფილა.**

როცა მისი ტკივილები სხვაგვარად ვერ ახსნეს, პაციენტს ჩაუტარდა ტომოგრაფიული გამოკვლევა, რამაც საშვილოსნო და საკვერცხეების არსებობა გამოააშკარავა. პაციენტი დაქორწინებულია და ამტკიცებს, რომ ჯანსაღი სექსუალური კავშირი აქვს ცოლთან, რასაც ექიმები სკეპტიკურად უყურებენ. იგი ცდილობს, ექიმებს დაუმტკიცოს, რომ მამრია, ხოლო მთელი წყება მედიკოსებისა საპირისპირო აზრზე დგას.

როგორც გაირკვა, სარძევე ჯირკვლები იწვევდა ჰიპერპლასტიას, რომლის შედეგადაც მამაკაცის ჰორმონები გამომუშავდებოდა ორგანიზმში. ჯირკვალი ამოჭრეს, მაგრამ რომელი სქესის წარმომადგენლად სურს დარჩენა პაციენტს, ჯერ ცნობილი არაა.

# თურქ ქალებს სიცილი აუკრძალეს

**თურქეთის პრემიერმინისტრის მოადგილე ბულენტ არინცი თვლის, რომ ქალებმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხმამაღლა არ უნდა გაიცინონ.**



ამასთან, არინცი ფიქრობს, რომ ქალებს უნდა აიძულონ, ტელეფონზე „უსარგებლო" საუბარი შეწყვიტონ. ის სატელევიზიო პროგრამებს „მორალურ გარყვნილებაში" სდებს ბრალს და თვლის, რომ სატელევიზიო სივრცე თინეიჯერებს სექსზე დამოკიდებულს ხდის.

პრემიერმინისტრის მოადგილე მიიჩნევს, რომ თურქებმა საკუთარ ღირებულებებს უღალატეს და ყურანის თავიდან აღმოჩენა სჭირდებათ. მან არც თურქი მამაკაცები დაინდო; არინცი თანამემამულეებს მოუწოდებს, რომ არ იქცნენ კაცებად, რომელთაც ქალებთან ხანმოკლე სექსუალური ურთიერთობები იზიდავთ. თურქი პოლიტიკოსის აზრით, თურქ ქალსა და მამაკაცს სირცხვილისა და პატიოსნების გრძნობა სჭირდება. მას ყველაზე მეტად ნერვებს ახალგაზრდა თურქი ქალები უშლიან.

**„სად არიან ჩვენი გოგონები, რომლებიც წითლდებოდნენ, თავს დაბლა ხრიდნენ და თვალებს გვარიდებდნენ, როდესაც სახეში შევხედავდით?"** — ამბობს ის.

განცხადებას თურქეთის პრემიერმინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანი „ტვიტერის" საშუალებით გამოეხმაურა; ერდოღანის აზრით, **„თურქეთს ქალების სიცილი სჭირდება, რათა მათი ბედნიერება მოისმინოს".**

მართალია, თურქეთი სხვა მუსლიმანურ ქვეყნებთან შედარებით ქალთა უფლებების დაცვის კუთხით მეტად პროგრესულია, მაგრამ კვლავ რჩება გადაუჭრელ პრობლემად ღირსების გამო მკვლელობა ან ოჯახური ძალადობა.



## ფასტფუდში — საავადმყოფოს საწოლით

**აშშ-ის ქალაქ ჰემპტონის მცხოვრები ფასტფუდში საავადმყოფოს გორგოლაჭებიანი საწოლით მარტო მივიდა. მამაკაცი საწოლზე პირდაღმა იწვა და მასზე სპეციალური ღვედებით იყო მიმაგრებული. თვითმხილველებმა მამაკაცი დაინახეს და ვიდეოც გადაიღეს.**

**ფასტფუდის მოყვარული ტროტუარზე მოხერხებულად მოძრაობდა.**

# რას შევჭამთ 2050 წელს?

**მეცნიერებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ჩვეულებრივი ჰამბურგერი შეიძლება მივიღოთ ლაბორატორიაში ძროხის სულ რამდენიმე უჯრედის საშუალებით. შესაძლებელია, ძალიან მალე დადგეს ისეთი დრო, რომ ჩვეულებრივი კვების პროდუქტები, რომლებსაც ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ სასადილო მაგიდაზე, მიღებული იქნება სოფლის მეურნეობის გვერდის ავლით.**



დიზაინერმა ჯოანა შმეერმა თავისი პროექტის ფარგლებში სცადა, ეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ჩვენი საკვები უახლოეს მომავალში.

მან შექმნა შვიდი სხვადასხვა პროდუქტი, რომლებსაც თეორიულად შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილება მისი არსებობისათვის საჭირო ნივთიერებებით, კერძოდ: წყლით, ვიტამინებით, უჯრედისით, საქაროზით, ცილებით, ცხიმებითა და მინერალებით.

ბიოპლასტიკის უჯრედებს, რომლებიც სავსეა ცოცხალი ფერმენტებით, შეუძლია მოახდინოს ცოცხალი უჯრედების იმიტაცია და გამოიმუშაოს საჭირო ნივთიერება ხელოვნური ფოტოსინთეზის გზით.

დიზაინერი შთააგონა ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულმა სამეცნიერო გამოკვლევებმა, რომელშიც აღწერილი იყო, რომ შესაძლებელია, მივიღოთ „პლასტიკური უჯრედი", რომელსაც შეეძლება ქიმიური რეაქციის განხორციელება.

გამოკვლევის ავტორები თვლიან, რომ მომავალში ისინი შეძლებენ ბიოპლასტიკური უჯრედის შექმნას, რომელიც გარეგნულად ნამდვილ უჯრედს ემგვანება და ისევე იფუნქციონირებს, როგორც ბუნებრივი.

„ეს სუფთა კონცეპტუალური პროექტია, მაგრამ დღესდღეობით ტექნიკურად შეუძლებელია, ეს კონცეფცია რეალობად ვაქციოთ, — ამბობს ჯოანა შმეერი, — თუმცა 40-50 წლის შემდეგ ტექნიკური პროგრესი იმდენად წავა წინ, რომ ეს იდეა აბსურდულად სულაც აღარ მოგვეჩვენება".







დიზაინერის მიზანს წარმოადგენს, გვაჩვენოს, რომ ხელოვნური პროდუქტების საკვებად გამოყენება ისევე სასიამოვნო იქნება, როგორც ბუნებრივისა.

ღრუბლისმაგვარი თეთრი პროდუქტი, რომელიც უზარმაზარ არაქისს ჰგავს, გამოიმუშავებს საქაროზასა და ჟანგბადს.

ერთ-ერთი მოდელი გამოაფრქვევს ვიტამინების წითელ ღრუბლებს, ხოლო მისი პატარა ტომსიკები ცილებს გამოყოფს.





ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ზრდადი მკერდი

**ქალი იძულებული გახდა, მკერდის ზომა დაეპატარავებინა — ორი წლის განმავლობაში მისი მკერდი ცხრა ზომით გაიზარდა.** დასავლეთ მიდლენდსის მცხოვრები შერონი ყვება, რომ მკერდის გაზრდა საშვილოსნოს ამოკვეთამ გამოიწვია. ასეთმა მატებამ ქალს ზურგსა და კისრის არეში ისეთი ტკივილები გაუჩინა, რომ მოსახსნელად მორფინის მიღება უხდებოდა. შერონს ოპერაციის შემდეგ 6 კილოგრამი მასა მოაშორეს.

# უხელო დედა-შვილი ყველაფერს ფეხებით აკეთებს

**ბევრისთვის საოჯახო საქმეები მოსაბეზრებელი და რთულია. ამ 35 წლის დედისთვის კი ისეთი რამეები, როგორიცაა ვახშმის მომზადება, რეცხვა და დალაგება, თითქმის შეუძლებელი უნდა იყოს, რადგან ლინდა ბანონი უხელო დაიბადა, იშვიათი დაავადების – ჰოლტ-ორამის სინდრომის გამო, რომელიც ძვლების ზრდაზე მოქმედებს და გულის დაავადებებს იწვევს. მაგრამ ქალმა შეზღუდულ შესაძლებლობებს უფლება არ მისცა, მისი ცხოვრება დაენგრია და ისწავლა, ყველაფერი ფეხებით ეკეთებინა.**



ეს უნარი გადასცა მან თავის ვაჟს — ტიმისაც, რომელიც ამავე დაავადებით გაჩნდა. როგორც დედა, ბიჭიც არ აპირებს ავადმყოფობას დაემორჩილოს. ტიმის შეუძლია ცურვა, რეგულარულად ვარჯიშობს და ვიდეოთამაშებითაც ერთობა, როგორც მისი ასაკის სხვა ბავშვები.

ლინდამ კი ფეხების მეშვეობით დანა-ჩანგლის ხმარებაც იცის, მაკიაჟის გაკეთებაც და კერვაც კი. „ტიმი ისეთივეა, როგორც სხვა ბიჭები. საშინაო დავალებებს აკეთებს, კონსტრუქტორებით თამაშობს და ფეხების დახმარებით ოთახსაც ალაგებს... ექოსკოპიაზე გავიგე, რომ ისიც უხელო დაიბადებოდა. რა თქმა უნდა, ძალიან ვინერვიულე, შემეშინდა, მაგრამ ყველაფერი გავაკეთე, რომ შეძლებისდაგვარად ნორმალური ცხოვრებით ეცხოვრა“.

ლინდას მშობლებმა კი არ იცოდნენ მისი დაავადების შესახებ და, რომ გაჩნდა, მაშინ დადგნენ ფაქტის წინაშე. **„ეს მშვიდად მიიღეს და არასდროს ჰქონიათ ჩემ მიმართ რაიმე განსაკუთრებული დამოკიდებულება“,** — იხსენებს ლინდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ლინდა დაწყებითი კლასების მასწავლებელი გახდა. მერე გაიცნო მომავალი ქმარი რიჩარდი, რომელსაც 2004 წელს გაჰყვა ცოლად.

როცა ტიმი გაჩნდა, ექიმებმა მშობლებს უთხრეს, რომ ბავშვს თავისი ძირითადი პრობლემის გარდა, გულზეც ჰქონდა პრობლემები. ახალშობილი ორი თვე საავადმყოფოში იწვა, სანამ სახლში წაყვანის ნებას დართავდნენ. რომ წამოიზარდა, დედამ თავისი უნარები მასაც გადასცა.

**„ვასწავლე, როგორ უნდა ეჭიროს ფეხით კბილის ჯაგრისი და სხვა ნივთები. ზურგზე დაწოლილი ცურავს, ფეხების გამოყენებით. ხანდახან გული სტკივა, რომ ზოგიერთ რამეს ვერ აკეთებს, მაგალითად, ველოსიპედით რომ ვერ სეირნობს, მაგრამ არასდროს დიდხანს არ მიჰყვება ეს წუხილი“.**



# ეშმაკის მესიჯები

**პოლონელი მღვდელი, მამა მარიან რეიჯჩელი იაროსლავიდან, რომელმაც თინეიჯერ გოგონაზე ეგზორციზმის რიტუალი ჩაატარა, ამტკიცებს, რომ ეშმაკი მესიჯებით ეკონტაქტება.**

როგორც მღვდელი ამბობს, მან გოგონას სულიდან ეშმაკის გამოდევნისას წარუმატებლობა განიცადა და მას შემდეგ სიძულვილით სავსე მესიჯებს იღებს. მარიანი ფიქრობს, რომ დემონი შეპყრობილ თინეიჯერს იყენებს, რათა მას თავს დაესხას და ამას მობილურის დახმარებით აკეთებს.

**„ამ ტექსტების ავტორი ბოროტი სულია, რომელსაც გოგონას სული ჰყავს შეპყრობილი“,** — ამბობს მღვდელი.

როგორც დასავლური გამოცემები წერენ, მღვდელს მსგავსი შინაარსის ტექსტები მისდის: **„ის ამ ჯოჯოხეთიდან არ ამოვა. ის ჩემია. ვინც მისთვის ილოცებს, მოკვდება“; „მოკეტე მქადაგებელო. თავს ვერ გადაირჩენ, იდიოტო. პათეტიკურო ბებერო მქადაგებელო“.**

მარიანი ამბობს, რომ გოგონა უდავოდ შეპყრობილია და დახმარებას საჭიროებს.

# ფასდაკლება მლოცველებისთვის

**აშშ-ში, ჩრდილოეთ კაროლინის შტატში, რესტორან Mary’s Gourmet Diner-ის ხელმძღვანელი კლიენტებს, რომლებიც ჭამის წინ ლოცულობენ, 15%-იან ფასდაკლებას სთავაზობს. დაწესებულების მფლობელი მერი ჰაგლუნდი აცხადებს, რომ ეს არა ყოველთვის, არამედ რესტორნის პერსონალის შეხედულების მიხედვით ხდება.**

ჭამის წინ ლოცვის გამო მიღებული ფასდაკლების ქვითრის ფოტო Facebook-ზე ერთ-ერთმა მადლიერმა კლიენტმა გამოაქვეყნა. რამდენიმე დღეში ფოტომ 10 000 მოწონება დააგროვა. კომენტარებში მომხმარებლები რესტორნის ხელმძღვანელებს მადლობას უხდიან.

მერი ჰაგლუნდმა განაცხადა, რომ მსგავსი პრაქტიკა რესტორანში უკვე რამდენიმე წელი არსებობს. **„არასდროს მითქვამს, რომ ეს, როგორც წესი, ისე უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუკი ვხედავ, რომ ვიღაც ლოცულობს ჩემს რესტორანში, მისდამი პატივისცემასა და მადლიერებას ფასდაკლებით გამოვხატავ“,** — ამბობს რესტორნის მფლობელი.




# ქალი «ფეისბუქს» სასამართლოში უჩივის

**მერიემ ალი სოციალურ ქსელ „ფეისბუქისგან“ 123 მილიონი დოლარის კომპენსაციას ითხოვს, რადგან მათ არ წაშალეს ფოტოები, რომლებიც მისმა ძველმა მეგობარმა აუტვირთა „ფეისბუქზე“. ფოტოებზე ალი ფოტოშოპით იყო გაშიშვლებული. სასამართლო სარჩელში წერია, რომ ალის მეგობარმა ადილ შაჰ ხანმა შექმნა ყალბი პროფილი და ატვირთა ქალის ფოტოშოპში დამუშავებული შიშველი ფოტოები, რითაც მოხდა ალის დისკრედიტაცია.**






ალი აცხადებს, რომ „ფეისბუქს“ სწრაფი რეაგირება არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ მან ფოტო მრავალჯერ დაარეპორტა. მიზეზი, რატომაც 123 მილიონს ითხოვს დაზარალებული, არის ის, რომ მისი ფოტოები, სავარაუდოდ, მილიარდ 23 მილიონმა „ფეისბუქის“ მომხმარებელმა ნახა, ამიტომ ქალი თითო შემთხვევიდან 10 ცენტით დაჯარიმებას ითხოვს.

ალის ადვოკატი მიიჩნევს, რომ სიტუაცია ძალიან სერიოზულია, რადგან „ფეისბუქი“ ალის საჩივარს სერიოზულად არ მიუდგა, რის გამოც მოხდა მისი უფლებების შელახვა.



# ბავშვმა დედა სიმსივნისგან განკურნა

**„ჩემმა შვილმა, რომელიც ჯერ არც იყო გაჩენილი, გადამარჩინა“, — ამბობს აღტაცებული დედა — ბრიტანელი ნიკოლა ველერი. ქალს საშვილოსნოში აღმოუჩინეს სიმსივნე. გადიოდა მკურნალობის კურსს და უკვე სარისკო ოპერაციისთვის ემზადებოდა.**

როდესაც საავადმყოფოში მივიდა, გაირკვა, რომ ორსულობის მეშვიდე კვირაში იყო. არადა, ნიკოლა არ აპირებდა ბავშვის ყოლას და თავს იცავდა, კონტრაცეპტივებსაც კი სვამდა. შედეგად, იმ ჰორმონების წყალობით, რომლებსაც ქალის ორგანიზმი გამოიმუშავებს ორსულობის დროს, სიმსივნე განადგურდა. ესეც გამოკვლევის დროს აღმოაჩინეს გაოცებულმა ექიმებმა.

„ეს ნამდვილი საოცრებაა. თავად ორსულობაც საოცრება იყო, მე ხომ არ ვაპირებდი შვილის გაჩენას. მაგრამ ჩემმა ჯერ არ გაჩენილმა შვილმა რომ განმკურნა, ეს ნამდვილი სასწაულია“, — ამბობს ნიკოლა.

როდესაც სიმსივნე აღმოუჩინეს, ექიმებმა მაშინვე ამცნეს ქალს, რომ საოპერაციო იყო. მაშინ მისი ქალიშვილი ოთხი წლის გახლდათ და ნიკოლა ძალიან ღელავდა, რომ შეიძლებოდა, პატარა ობლად დაეტოვებინა. ამდენი დარდის მერე კი უცებ აღმოჩნდა, რომ მისმა მოულოდნელმა სიხარულმა — პატარა ბიჭუნამ გადაარჩინა დედიკო.

ნიკოლამ ჯანმრთელი ბავშვი გააჩინა, რომელსაც ბრენდონი დაარქვეს.



**მსოფლიო პერიოდიკის ყურადღების ცენტრში რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების პრობლემასთან ერთად პუტინის მიერ განხორციელებული კონტრზომები მოექცა. ამ დაპირისპირების შედეგად გამოთავისუფლდა გარკვეული ნიშები რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის სფეროში. გამოიყენებს თუ არა საქართველო ამ უნიკალურ შანსს თავისი პროდუქციის გატანის არეალის გასაფართოებლად?**

# ჩაენაცვლება თუ არა გორული ვაშლი პოლონურს?

## მომენტის გამოყენება შესაძლებელია

**საუბარი ნაპოლეონ ქარქაშაძესთან, სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსთან, რომელიც ავტორია მონოგრაფიისა მსოფლიოს სოფლის მეურნეობის შესახებ, ასეთი შეკითხვით დავიწყეთ:**

**— საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია უპასუხებს მსოფლიო ბაზრის სტანდარტებს?**

— მსოფლიო ბაზარი შეფარდებითი ცნებაა. ჩვენ ახლაც გაგვაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაწილი საზღვარგარეთის ქვეყნებში გასაყიდად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უკვე გავედით მსოფლიო ბაზარზე... პარადოქსია არა? მსოფლიოს ბაზარზე გასვლა და დამკვიდრება ხანგრძლივი პროცესია. როცა ოფიციალურად შეგვაქვს პროდუქტი ამა თუ იმ ქვეყანაში, ეს არის პირველი ეტაპი იმისა, რომ ამ ქვეყნის ათვისების პროცესი დაიწყო. მეორე ეტაპია პროდუქციის ისეთი რაოდენობით რეალიზაცია, რომელიც ეკონომიკურ სარგებელს გაძლევს. მნიშვნელოვანია ფასებიც და ა. შ. ნუ დაგვავიწყდება, რომ პროდუქციის შეტანას არალეგალურადაც ახერხებენ. მაგალითად, საქართველოს ბაზარზე შემოტანილი პროდუქციის ნახევარზე მეტი არალეგალურია!

**— პირდაპირ მიპასუხეთ: შევძლებთ, გამოვიყენოთ შანსი იმ ფონზე, როდესაც რუსეთმა ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის პროდუქციის თავის ბაზარზე შეტანა აკრძალა?**

— თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი საქართველოს აძლევდა საშუალებას, ჩვენი პროდუქცია უპრობლემოდ შეგვეტანა რუსეთის ბაზარზე. ქვეყანა ამ შანსს ავად თუ კარგად იყენებდა, თუმცა არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა და არც ორგანო, რომელიც ამ საკითხზე იმუშავებდა. დღემდე გაურკვეველია, რატომ გაუქმდა საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, რომელიც დამოუკიდებელი ქვეყნისთვის აუცილებელი იყო და აქტუალურია დღესაც. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა არის ის, რომ არ გვაქვს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა და არც ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობაა ფედერაციაში. ერთიც და მეორეც აუცილებელია, რათა დაცული იქნას ექსპორტიორთა და საერთოდ ქვეყნის სავაჭრო (და არა მარტო) ინტერესები.

რაც შეეხება რუსეთის გადაწყვეტილებას, აქ მარტო თავმოყვარეობასა და პრესტიჟზე არაა საუბარი. პარტნიორობა, პირველ რიგში, ურთიერთსარგებლიანობას გულისხმობს. ურთიერთსარგებლიანობა ვერ იქნება ურთიერთპატივისცემის გარეშე. ევროკავშირის ქვეყნებმა ეს ბალანსი დაარღვიეს, ამიტომ რუსეთმაც გადადგა შესაბამისი ნაბიჯები. სხვათა შორის, ამ გადაწყვეტილებით ორივე მხარე ზარალდება, ამიტომ იგი დიდხანს ვერ იმუშავებს, მალე დადგება დრო, როცა ორივე მხარე გადახედავს გადაწყვეტილებებს, მაგრამ ხინჯი, რომელიც უკვე გაჩნდა, დიდხანს დარჩება.

ჩვენ მოგვეცა სერიოზული შანსი, ფეხი მოვიკიდოთ რუსეთის ბაზარზე და ეს შანსი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

რუსეთი ჩვენი უშუალო მეზობელია და მის ბაზარს ქართველი მწარმოებლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის მომხმარებელი კარგად იცნობს ქართულ პროდუქციას და ერთგვარი ნოსტალგიაც კი აქვს ჩვენს ნაწარმზე. რუსეთში დიდია ქართული დიასპორა, რომელიც იქაურ ბაზარზე დამკვიდრებაში სერიოზულად შეგვიწყობს ხელს. ქართველებმა კარგად ვიცით, თუ რა პროდუქციაზეა მოთხოვნილება რუსეთში და ა. შ. ფაქტორი ბევრია, მათ შორის, წვრილმანიც, რომლებიც ასევე გასათვალისწინებელია.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორ შევაღწიოთ რუსულ ბაზარზე, რა ბერკეტები არსებობს?**

— საქმე ისაა, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა რუსეთი მოაქციეს იზოლაციაში და ცდილობენ სხვა ქვეყნების აყოლიებას. ვთვლი, რომ რუსეთთან ურთიერთობაზე საუბრისას ჩვენი პრემიერმინისტრის მოზომილი ტონი, რომელიც ბევრს აღიზიანებს, დღევანდელი საქართველოსთვის მისაღებია. იმედია, ამას შესაბამისი მოქმედებაც მოჰყვება.

ევროკავშირის ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ გამოთქვა სერიოზული პროტესტი სანქციების შემოღებასთან დაკავშირებით — მათი ეკონომიკა უკვე მნიშვნელოვნად დაზარალდა. პერსპექტივა უარესია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ წლის ბოლოსთვის რამდენიმე ქვეყანა კვლავ განაახლებს ვაჭრობას რუსეთთან, ფინეთმა უკვე უარყო ევროკავშირის წინადადება, სხვებიც მიბაძავენ.

პირდაპირ გეტყვით, რომ სწორედ ეს მოკლე პერიოდია ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელი, იგი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.



**პოლონეთის სოფლის მეურნეობამ, კერძოდ მებაღეობამ, დიდი დარტყმა განიცადა, რადგან რუსეთმა პოლონური ვაშლის შეტანა აკრძალა, ამიტომ მათმა დარგობრივმა მინისტრმა დამატებით ორასი მილიონი ევროს კომპენსაცია მოითხოვა ევროკავშირისგან**

## ჯერ ფეხზე უნდა დავდგეთ

**იმავე პრობლემაზე ვესაუბრებით ცნობილ ეკონომისტს, პროფესორ დავით იაკობიძეს.**

**— დაუპირისპირდება თუ არა პოლიტიკურ კონიუნქტურას ეკონომიკური მიზანშეწონილობა?**

— უწინარეს ყოვლისა, კარგად უნდა გავიაზროთ, რა მოხდა. **მოხდა კი ის, რომ სამხედრო ესკალაციამ, იარაღის ჟღარუნმა მსოფლიო გადაიყვანა ცივი ომის მდგომარეობაში. დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ დააწესა ეკონომიკური სანქციები.**



**ვაშლი ჩვენი მოხმარებისთვის სომხეთიდან შემოგვაქვს... და საერთოდ, ქვეყნის სავარგულები დახნულია 350 ათასი ჰექტრის ოდენობით, რაც საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს**

რუსეთს უნდა დაენახვებინა მსოფლიოსთვის და, უპირველესად, თავისი ხალხისთვის, რომ მასაც შესწევს ძალა ქადილისა და განახორციელა კონტრსანქციები — შეზღუდა სასურსათო პროდუქციის შემოტანა მის საკუთარ ბაზარზე ევროკავშირიდან და სხვა ქვეყნებიდან; განსაკუთრებით, ნორვეგიიდან, ფინეთიდან, პოლონეთიდან...

**ფინეთში წარმოებული თხევადი ყველის 20 პროცენტი იყიდებოდა რუსეთში. ამ ბაზრის დაკარგვა ფინელებმა მაინცდამაინც არ განიცადეს. ნორვეგიელების პრობლემა კი უფრო სერიოზულია, რადგან აქედან რუსეთში ძალიან დიდი რაოდენობით შემოდიოდა ნორვეგიული ორაგული — „წითელი თევზი“.** პოლონეთის სოფლის მეურნეობამ, კერძოდ მებაღეობამ, დიდი დარტყმა განიცადა, რადგან რუსეთმა პოლონური ვაშლის შეტანა აკრძალა, ამიტომ მათმა დარგობრივმა მინისტრმა დამატებით ორასი მილიონი ევროს კომპენსაცია მოითხოვა ევროკავშირისგან. საეჭვოა, დაუკმაყოფილონ ეს მოთხოვნა.

საქონლის ხორცით რუსეთს არგენტინა მოამარაგებს, ღორის ხორცით ბრაზილია ჩაენაცვლება ევროპულ სამყაროს და ამით არაფერი დაშავდება.

**— ამ ვითარებაში საქართველომ რა უნდა გააკეთოს?**

— საქართველო, რაც შეუძლია, იმას აკეთებს. ჩვენთვის ემბარგო არავის გამოუცხადებია. დაწესდა საბაჟო ზედამხედველობა იმ პროდუქციაზე, რომელიც ჩვენგან შედის. თუ რამე გვაქვს, რუსი მეწარმეები დაიწყებენ ამ ყველაფრის ჩვენგან შეძენას. ჩვენ არ გვიმუშავია იმ დამატებით პროდუქციაზე, რომელზეც რუსეთი ევროკავშირის ქვეყნებს ემბარგოს თუ დაუწესებს, ჩვენ შევიტანდით და ხელს მოვითბობთ.

ასე რომ, პოლიტიკური ასპექტი ამ პრობლემას არ აქვს. ჩვეულებრივი საბაზრო ასპექტით ხასიათდება — თუ გვექნება კარგი პომიდორი, გაიტანენ, გვექნება ჭარბი კომბოსტო, გაიტანენ.

**— ვაშლი?**

— გვაქვს კი, რომ გავიტანოთ? ვაშლი ჩვენი მოხმარებისთვის სომხეთიდან შემოგვაქვს... და საერთოდ, ქვეყნის სავარგულები დახნულია 350 ათასი ჰექტრის ოდენობით, რაც საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

**— რამდენი უნდა დაიხნას?**

— კომუნისტები 800 ათას ჰექტარზე მეტს ხნავდნენ. შევარდნაძის დროს 600 ათასი, 700 ათასამდე ჰექტარი იხვნებოდა, ასე იყო 1997 წელს. მიშას პერიოდში 250 ათასს არ ასცილებია, ახალმა ხელისუფლებამ 350 ათასი ჰექტარის მოხვნა შეძლო.

რა მოსავალი უნდა მივიღოთ ამ სავარგულებიდან ისეთი, რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი ხალხის მოთხოვნა სოფლის დოვლათით?! ვთქვათ, შემოვიდა რუსი კომერსანტი საქართველოში და გასატანი პროდუქციის შეგროვება დაიწყო. მაშინვე დაგვიდგება ადგილობრივი ბაზრის დაცარიელების პრობლემა.

**— ესე იგი, თუ გვინდა მოვლენების განვითარებით შექმნილი შანსი გამოვიყენოთ, გავაფართოოთ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების არეალი, ჯერ მოსავლის ოდენობისა და ხარისხის გაზრდაზე უნდა ვიზრუნოთ?**

— დიახ. ახლავე უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს ბაზარს არ მოუვიდეს კოლაფსი.

მაშასადამე, ჯერ ფეხზე უნდა დადგე, მსოფლიო ბაზრის რომელიმე გარემოში უნდა იყო ინტეგრირებული და შემდეგ იფიქრო რეალური მიზნების განხორციელებაზე.

ახლა ვის ვეჯიბრებით? აზერბაიჯანს, რომელიც მთელი სამხრეთ კავკასიის პროდუქციის 70 პროცენტს აწარმოებს?! (ჩვენი და სომხეთის წილი 30 პროცენტია). ან სომხეთთან შეგვიძლია პაექრობა, როცა სოფლის მეურნეობის 15 დასახელების პროდუქტი: გარგარი, სტაფილო, წითელი ჭარხალი, ნიორი, ვაშლი, ატამი საგვიანო და ა. შ. საქართველოში შემოაქვს? ვიღაცებს ეს მეათეხარისხოვანი მნიშვნელობისა ჰგონია. მაგრამ ამის უკან დგას ხალხის დასაქმება, ფული, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა.

ამიტომ სიტუაციით სარგებლობა ამ წუთას არ შეგვიძლია და მას სახელმწიფო მნიშვნელობას ჯერჯერობით ვერ მივანიჭებთ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



მოგემსახურებით მსუბუქი კომფორტული ავტომობილით სახლიდან სახლამდე
თბილისი — ბათუმი — თბილისი.
ტელ. 585-79-99-69

**მკურნალობა მამაკაცებისთვის**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894